316(
ფ-65

ალეკო ფიცხელაძე

სოციოლოგია

თბილისი
2008

UDC(ეაკ) 316(075.8)
ფ-641

ავტორისაგან

სოციოლოგიის დამხმარე სახელმძღვანელო შედგენილია თანამედროვე ამერიკელი, ევროპელი, რუსი და ქართველი სოციოლოგების შრომებზე დაყრდნობით.

ჩვენს სინამდვილეში, სოციოლოგიას, ჯერ კიდევ, არ ექცევა სათანადო ყურადღება. უმაღლეს სასწავლებლებში სოციოლოგიას, როგორც წესი, გადიან ერთი ან, უკეთეს შემთხვევაში, ორი სემესტრის განმავლობაში. ამ მოკლე პერიოდში კი არ ხერხდება სოციოლოგიის სრული კურსის გავლა; ამიტომ ჩვენს მიერ შედგენილ სოციოლოგიის მოკლე კურსში წარმოდგენილია როგორც ზოგადი სოციოლოგიის მნიშვნელოვანი და აუცილებელი თემები, ასევე, კონკრეტული სოციოლოგია.

სოციოლოგიის ამ ორი დონის – ზოგადის და კონკრეტულის ერთ წიგნში თავმოყრა გაუადვილებს და დაეხმარება მკითხველს სოციოლოგიის თეორიული და პრაქტიკული დანიშნულების აღქმასა და შესწავლაში.

რედაქტორი: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი
რეცენზენტები: პროფესორი ვ. ლაფერაშვილი
პროფესორი მ. შონია

იბეჭდება გამომცემლობა „ბეორგიკა“-ს სტამბაში (ჯიქიას ქ. №10)

ISBN978-9941-0-0635-7

შინაარსი

შესავალი — 5
ნაწ. I. ზოგადი სოციოლოგია
თავი I.
1.1. სოციოლოგიის საგანი — 8
1.2. სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურა — 10
1.3. სოციოლოგიის დამოკიდებულება სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან — 14
1.4. სოციოლოგიის ამოცანები და ძირითადი ფუნქციები — 17
თავი II.
2.1. მიმდინარეობები სოციოლოგიაში — 22
2.2. სოციოლოგიის კლასიკური თეორიები — 24
2.3. თანამედროვე დასავლური სოციოლოგია — 33
თავი III.
3.1. საზოგადოება, ადამიანი, როგორც სოციოლოგიის საგანი – 41
3.2. საზოგადოების არსებობის, ცვალებადობისა და განვითარების ფაქტორები — 51
თავი IV.
4.1. საზოგადოების სტრუქტურა — 78
4.2. სოციალური სტრუქტურის თეორია — 99
თავი V.
5.1. სოციალური მობილობა — 105
5.2. სოციალური ცვალებადობა და მისი ფორმები — 106
თავი VI.
6.1. ინდუსტრიული საზოგადოება — 115
6.2. სიუხვის, საყოველთაო კეთილდღეობის და მომხმარებლური საზოგადოება — 128

6.3. დია და დახურული საზოგადოება ——————— 136
6.4. პოსტინდუსტრიული საზოგადოება ——————— 143
6.5. საზოგადოებრივი პროგრესი ———————
151
ნაწ. II. კონკრეტული სოციოლოგია
თავი I.
1.1. კვლევის წინასწარმოსამზადებელი სამუშაოები ——— 164
1.2. კვლევის პროგრამა და სამუშაო გეგმა ——————— 172
1.3. კვლევის მეთოდები: შერჩევითი კვლევის მეთოდი; საველე კვლევის მეთოდი; გამოკითხვის მეთოდი; სოციომეტრული მეთოდი; ინტერვიუ. ——————————— 175
თავი II.
2.1. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება: დოკუმენტების ანალიზი; კონტენტანალიზი; ——————————— 187
2.2. ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება ——————— 190
2.3. მონაცემთა ინტერპრეტაცია. დასკვნები და რეკომენდაციები 192
2.4. ანგარიშის მომზადება ——————————— 193
ლიტერატურა ———————————
196

შესავალი

კაცობრიობას XXI საუკუნეში მეტად რთულ და დაძაბულ ვითარებაში უწევს არსებობა. თანამედროვე ცხოვრების პირობები მეტად განსხვავებულია როგორც სამრეწველო რევოლუციამდელ, ისე მის შემდგომ პერიოდთან შედარებით იგი მეტად დინამიურია და ხასიათდება საზოგადოებრივი მოვლენების მეტად სწრაფი ცვალებადობით.

შესაბამისად, თანამედროვე პირობებში, იმატებს მნიშვნელობა და ინტერესი სოციოლოგიისადმი, როგორც საზოგადოებაში მიმდინარე პროცესების შემსწავლელი მეცნიერებებისადმი.

საზოგადოების შესახებ მოძღვრებები ანტიკური პერიოდიდან არსებობდა, მაგრამ სოციოლოგიის როგორც ცალკე მეცნიერებად ჩამოყალიბება დაკავშირებულია 18-19 საუკუნეების ევროპაში მომხდარ სამრეწველო რევოლუციებთან, რომლებმაც მძლავრი სტიმული მისცეს საზოგადოების შემდგომ სწრაფ წინსვლას. სამრეწველო-ტექნიკურმა გარდაქმნებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოიწვია რადიკალური ცვლილებები. საზოგადოებრივი პროცესების აჩქარება, დაძაბულობა, დაპირისპირებულობა, კონფლიქტები. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ტექნიკური პროგრესი, ახალი ტექნოლოგიების შექმნა, ხშირად წინააღმდეგობაში მოდის ადამიანთან, საზოგადოებასთან, ბუნებრივ გარემოსთან ანგრევს მას და საბოლოო ჯამში ემუქრება კაცობრიობის შემდგომ განვითარებასა და მსოფლიო წესრიგს.

რატომ ხდება და რა იწვევს საზოგადოებრივ ცვლილებებს და გარდაქმნებს? რა კანონზომიერებები და ტენდენციები მოქმედებენ და განაპირობებენ საზოგადოების ამგვარ განვითარებას? როგორ და რამდენად არის შესაძლებელი ყოველივე იმის შეცვლა, რაც აბრკოლებს და აფერხებს

საზოგადოების განვითარებას და როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება და გაკეთილშობილება? სწორედ ასეთ და ამგვარ კითხვებზე პასუხის გასაცემად არის მოწოდებული სოციოლოგიის მეცნიერება.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ დამხმარე სახელმძღვანელოში განხილული თემებით არ ამოიწურება სოციოლოგიის სრული კურსი. სოციოლოგიის სფერო ფართო და მასშტაბურია, იგი საზოგადოების შესახებ ყოვლის მომცველი და მისი ობიექტურად შემსწავლელი მეცნიერებაა – დაწყებული საზოგადოების რიგითი წევრით, დამთავრებული საზოგადოების როგორც ერთიანი, მთლიანი სიციალური ორგანიზმით, მისი სტრუქტურული შემადგენლობით, დიდი და მცირე სოციალური ჯგუფებით, ორგანიზაციებით, სოციალური ურთიერთობებით, პოლიტიკით, ეკონომიკით, მორალით, რელიგიით, ხელოვნებით და სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი ურთიერთობებითა და სოციალური პროცესებით.

საზოგადოება, თავისთავად, მეტად მნიშვნელოვანი და რთული ფენომენია, იგი თავის თავში მოიცავს განსხვავებულ მხარეებსა და სფეროებს, რომლებიც ვითარდებიან და იმართებიან გარკვეული კანონზომიერებებითა და კანონებით, რომელთა გაცნობიერება და ცოდნა აუცილებელია, როგორც ნებისმიერი მოქალაქისათვის, ისე მითუმეტეს საუნივერსიტეტო განათლების მქონე ახალგაზრდისთვის.

ამგვარად, თუკი არსებობს მეცნიერებები სინამდვილის ნებისმიერ სფეროზე – მცენარეებზე, ცხოველებზე და სხვა მიკროორგანიზმებზე, უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა არსებობდეს ყველაზე მნიშვნელოვანზე – მოძღვრება საზოგადოებაზე, როგორც ერთიანზე, მთლიანზე თავისი მრავალფეროვანი შემადგენელი ნაწილებით, თავისი შესასწავლი ობიექტითა და საგნით, თავისი მიზნებითა და ამოცანებით, ცნებებითა და კატეგორიებით, კანონებითა და

კანონზომიერებებით და რომელსაც ყოველივე ამის შესასწავლად გააჩნია თავისი შესაბამისი მეთოდები და მეთოდოლოგია.

თუმცა არსებობენ სკეპტიკოსები, რომლებიც სოციოლოგიურ კვლევებში დახარჯულ დროსა და ფინანსებს ფუჭად მიიჩნევენ, რადგან სოციოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული ფაქტები და დასკვნები ხშირად, ადრე უკვე ცნობილ და ახლის არაფრისმთქმელ ინფორმაციად წარმოუდგენიათ. ამგვარად მოაზროვნეთა საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ სწორედ შერჩეული, დაგეგმილი და განხორციელებული სოციოლოგიური კვლევა მეტად საჭირო და აუცილებელია საზოგადოების წარმატებით განვითარებისათვის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სოციოლოგიური კვლევის წარმატებით ჩატარებისათვის ყველა დეტალს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ძალზედ მნიშვნელოვანია თვით სოციოლოგიური ჯგუფის პროფესიონალიზმი და კომპეტენტურობა; რა თქმა უნდა, მათი მიუკერძოებლობა ობიექტურობა, პატიოსნება. ასევე მნიშვნელოვანია სოციოლოგიური ჯგუფის წინაშე მდგარი ამოცანის, პრობლემის, სწორად ფორმულირება; საკვლევ ობიექტში ღრმად გარკვევა, კვლევის მეთოდების სწორად შერჩევა, კვლევის წინასწარ მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება, კვლევის პროგრამისა და სამუშაო გეგმის სწორად შედგენა, მოპოვებული ინფორმაციის სწორი კლასიფიკაცია, ანალიზი და განზოგადება, ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება და თეორიული ინტერპრეტაცია ობიექტური საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება და საბოლოო ანგარიშის წარმოდგენა.

ყველაფერი ეს და სხვა დანარჩენიც მოკლედ და თანმიმდევრულად იქნება წარმოდგენილი ჩვენს მიერ, ორი ნაწილისაგან და 8-თავისაგან, შედგენილ წიგნში.

ნაწ. I. ზოგადი სოციოლოგია

თავი I.

1.1. სოციოლოგიის საგანი

ტერმინი სოციოლოგია შემოიღო ფრანგმა ფილოსოფოსმა ოგიუსტ კონტმა. ტერმინი „სოცი“ (ლათ. – საზოგადოებას) „ლოგოს“ (ბერძნ. – მოძღვრებას) ნიშნავს. ეტიმოლოგიურად სოციოლოგია არის მოძღვრება საზოგადოების შესახებ; მაგრამ, საზოგადოებას ხომ სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებებიც შეისწავლიან? მათგან განსხვავებით, სოციოლოგიას აქვს თავისი კვლევის საგანი. საზოგადოება მისი შემადგენელი მხარეებისა და სფეროების მექანიკური ჯამი როდია, იგი, ცალკეული მხარეების გარდა, ერთიანი, მჭიდროდ შეკავშირებული ფენომენია და მისი ცალკეული სფეროების შესწავლა ვერ მოგვცემს საზოგადოების როგორც ერთიანი მთელის შესახებ მეცნიერულ წარმოდგენას. მართალია საზოგადოების, როგორც ერთიანი მთელის შესწავლა შეუძლებელი იქნება მისი შემადგენელი მხარეებისა და სფეროების სტრუქტურული ანალიზის გარეშე. მაგრამ, აუცილებელია იმისი ცოდნაც, თუ რა წესით არიან ერთმანეთთან დაკავშირებული საზოგადოების შემადგენელი სხვადასხვა ნაწილი და რა საერთო კანონზომიერებას ექვემდებარებიან ისინი. სწორედ ამას იკვლევს სოციოლოგია, მისი სპეციფიკა სწორედ იმაშია, რომ დაადგინოს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარეების, მათი ცვლილებების კანონზომიერი აუცილებელი კავშირები. სოციოლოგია ადგენს, თუ რა აუცილებელი ელემენტებისაგან შედგება საზოგადოება და რა არსებითი,

განმეორებადი კავშირებია ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურულ ელემენტებს შორის. მხოლოდ სოციოლოგიაა მოწოდებული, დაადგინოს საზოგადოებრივი ცხოვრების შიგა სოციალური კავშირები, შეიმუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები და არეგულიროს საზოგადოებრივი ურთიერთობები. ამგვარად, სოციოლოგია შეისწავლის საზოგადოების განვითარების კანონებსა და ტენდენციებს.

თანამედროვე სოციოლოგია შეისწავლის არა მხოლოდ საზოგადოების სტრუქტურის კანონზომიერებებს, არამედ იმ კანონებსა და ტენდენციებს, რომლებიც მის ცვალებადობას განსაზღვრავენ (საზოგადოება ვითარდება პროგრესულად თუ განიცდის რეგრესს, ის მაინც საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებითაა განსაზღვრული).

ამგვარად, სოციოლოგია სწავლობს საზოგადოების არა მხოლოდ შემადგენლობასა და აგებულებას, არა მხოლოდ მთლიან საზოგადოებასა და მისი ცვალებადობის კანონზომიერებებს, არამედ მთლიანი საზოგადოების შემადგენელ ჯგუფებსა და მათ ურთიერთმიმართებებს, განსაზღვრავს ადამიანთა დიდ და მცირე ჯგუფებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, სწავლობს მათ მოქმედებებსა და ქცევებს. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც, რომ საერთო კანონები და ტენდენციები ვლინდებიან თვით ინდივიდების სოციალურ ქცევებში. საზოგადოებრივი ვითარებები აუცილებელ და განმეორებად რეაქციებს იწვევს სხვადასხვა ინდივიდების ქცევაში და მოქმედებაში. ე.ი. საერთო, აუცილებელი ტენდენციები აღიბეჭდება პიროვნულ დონეზე, რასაც ტრადიციული სოციოლოგია ყურადღებას არ აქცევდა. თანამედროვე სოციოლოგიამ კი, სწორედ, საზოგადოებრივ ჯგუფებისა და

ინდივიდების ურთიერთმიმართების საკითხი აქცია სოციოლოგიის ძირითად შესასწავლ საგნად.

აქედან გამომდინარე, საზოგადოების სტრუქტურის, მისი ცვალებადობის, სოციალური ჯგუფებისა და პიროვნებათა მოქმედების და ქცევის ტენდენციების კვლევა თანამედროვე სოციოლოგიის ძირითად საგანს წარმოადგენს.

1.2. სოციოლოგიური ცოდნის სტრუქტურა

სოციოლოგია ტევადი და ფართო მნიშვნელობის მეცნიერებაა. არსებობს სოციოლოგიური ცოდნის სამი დონე:

1. ზოგადი სოციოლოგია;
2. სპეციალური ანუ კერძო სოციოლოგია;
3. კონკრეტული ანუ დარგობრივი სოციოლოგია.

1. ზოგადი სოციოლოგია ფილოსოფიურ დისციპლინათა შემადგენელი ნაწილია და იგი, უძველესი დროიდან, ფილოსოფიის ორგანულ ნაწილად მოიაზრებოდა.

საერთოდ, სოციოლოგიის ცნება თავისი მოცულობით გაცილებით ფართოა ზოგადი სოციოლოგიის ცნებასთან შედარებით. იგი სოციოლოგიის ზოგადთეორიული ნაწილია, რომლის ამოცანასაც წარმოადგენს იმ სოციალური კანონზომიერებებისა და პირობების დადგენა, რომლებიც ზოგადია, არსებითია, განმეორებადია და საერთოა ყველა საზოგადოებისათვის; მიუხედავად იმისა, თუ განვითარების რა სტადიაზე იმყოფება და რომელ ეპოქას ეკუთვნის ესა თუ ის საზოგადოება და ხალხი.

ზოგადი სოციოლოგია ეხება და განიხილავს საზოგადოების განვითარების გლობალურ და სიღრმისეულ მოვლენებს. იგი მსოფლმხედველობრივ და მეთოდოლოგიურ

ფუნქციას ასრულებს, როგორც საზოგადოებრივი მეცნიერებისთვის ასევე, სპეციალური და დარგობრივი სოციოლოგიების მიმართ.

თავის მხრივ, ზოგადი სოციოლოგია ემყარება და იყენებს საზოგადოებრივი მეცნიერებებისა და კონკრეტულ სოციოლოგიურ მონაპოვრებსა და მოცემულობებს; მაგრამ, ამავე დროს ზოგადსოციოლოგიური კანონზომიერებებისა და პრინციპების არცოდნისა და მათი გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნება სხვადასხვა ეპოქის, წყობის საზოგადოებრივი სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობის დადგენა და მოსალოდნელი სოციალური ცვლილებების განჭვრეტა.

2. 2. სპეციალური ანუ კერძო სოციოლოგია, რომელსაც რ. მერტონი საშუალო დონის თეორიასაც უწოდებს, მოწოდებულია სინამდვილის ცალკეული განსაკუთრებული სფეროების გამოსაკვლევად.

სპეციალურ ანუ კერძო სოციოლოგიურ თეორიას გააჩნია თავისი მეთოდოლოგია და ცნებათა თავისი სისტემა; იგი აკეთებს გარკვეულ თეორიულ განზოგადებებსა და დასკვნებს მხოლოდ შეზღუდულ მასშტაბებში მაშინ, როცა საქმე ეხება კერძო განსაკუთრებულ კანონზომიერებათა კვლევას.

სპეციალურ სოციოლოგიურ თეორიას ახასიათებს პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირი.

სპეციალური ანუ კერძო სოციოლოგია, როგორც წესი მიმართულია საზოგადოების ცალკეული, განსაკუთრებული სფეროების კვლევისაკენ – როგორიცაა: ახალგაზრდობის პოლიტიკური პარტიების, ოჯახის, ეთნიკური პრობლემების რელიგიის, კულტურის, პიროვნების და სხვა.

თანამედროვე სოციოლოგია არ კმაყოფილდება და არ იფარგლება ზოგადი სოციოლოგიით; იგი ამოცანად ისახავს საზოგადოების განვითარების განსაკუთრებული, სპეციფიკური კანონზომიერებებისა და კავშირურთიერთობების კვლევას, საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებულ სფეროებში.

3. **კონკრეტული ანუ დარგობრივი სოციოლოგია** განსხვავებული დონის მეცნიერებაა; იგი შეისწავლის არა ყველა დროში და ეპოქაში მოქმედ ზოგად, საერთო ან განსაკუთრებულ, სპეციფიკურ კანონებს, არამედ ამა თუ იმ კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ქცევებსა და ურთიერთობებს. ადამიანებზე დაკვირვებისა და კონკრეტული სოციალური ჯგუფების გამოკითხვის შედეგად მიღებული კვლევის მასალებზე დაყრდნობით აკეთებს გარკვეულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, საზოგადოებრივი ურთიერთობების გაჯანსაღების მიზნით (კონკრეტულ სოციოლოგიას ეძღვნება ამ წიგნის II ნაწილი). აქ კი, უნდა აღვნიშნოთ ის გარემოება, რომ სოციოლოგიის აღნიშნული დონეები ორგანულ ერთიანობაში მოიაზრებიან; ისინი არ არიან იზოლირებულნი, თუმცა, მათ განსხვავებული ფუნქციები აკისრიათ. ზოგადი სოციოლოგია მსოფლმხედველობრივ და მეთოდოლოგიურ ფუნქციას ასრულებს სპეციალური და დარგობრივი სოციოლოგიების მიმართ და მხოლოდ მასზე დაყრდნობით არის შესაძლებელი კონკრეტული კვლევების წარმატებით განხორციელება. თავის მხრივ, ზოგადი სოციოლოგიაც იყენებს და ემყარება კონკრეტულ სოციოლოგიურ მოცემულობებს და ამ მონაპოვრებით ამდიდრებს თავის თეორიას.

სოციოლოგია წარმოშობიდან სწრაფად დაისახსრა. დღეისათვის ჩამოყალიბებულია 40-მდე დარგობრივი სოციოლოგია

და, პრინციპში, შეიძლება იარსებოს იმდენმა კონკრეტულმა სოციოლოგიამ, რამდენიც სოციალური ცხოვრების საინტერესო სფერო და დარგია.

კონკრეტული ანუ დარგობრივი სოციოლოგია, სულ მცირე ორ მიზანს ისახავს: 1. განსაზღვროს საკვლევი ობიექტის არსი და ადგილი საზოგადოებრივ სისტემაში; 2. დაადგინოს საზოგადოებრივი კავშირები და ის პრობლემები, რომლებიც ამა თუ იმ დარგის წინაშე დგას.

სოციალური პრობლემების მიხედვით არსებობს სოციოლოგიის **რეგიონალური** და **გლობალური** დაყოფა. პრობლემებით, რომელთა მოგვარება ადგილობრივი რესურსებითა და ძალისხმევით არის შესაძლებელი, რეგიონალური სოციოლოგიაა დაკავებული; მაგრამ, არსებობენ ისეთი გლობალური პრობლემები, როგორიცაა: ჩვენი პლანეტის დაცვის მისი ბუნებისა და ატმოსფეროს, ზღვებისა და ოკეანეების დაბინძურების, დემოგრაფიის, ენერგეტიკის, სურსათისა და სხვა მასშტაბური პრობლემები, რომელთა მოგვარება ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა და მათთან ბრძოლა წარმატებული ვერ იქნება, თუკი მსოფლიო საერთო ძალისხმევით არ იზრუნებს არსებული და მოსალოდნელი კატასტროფების თავიდან ასაცილებლად.

1.3. სოციოლოგიის დამოკიდებულება სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან

სოციოლოგიას ფართო ურთიერთმიმართება გააჩნია სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან, რაც გარკვეულ სპეციფიკურობას გულისხმობს. საზოგადოებრივი მეცნიერებები სოციალური სინამდვილის სხვადასხვა სფეროებს სწავლობენ. სოციოლოგია ამ კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებებიდან სარგებლობს; მაგალითად, ეკონომიკური მეცნიერებიდან იღებს ეკონომიკურ მონაცემებს და იყენებს მათ თავისი მეცნიერების გასამდიდრებლად; ასევეა პოლიტიკურ თუ სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებთან მიმართებაში. მეორეს მხრივ, კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებებიც ვალდებულნი არიან, ყოველ კონკრეტულში რაღაც ზოგადი მოიძიონ თავიანთი კონკრეტული სფეროების სრულად შეცნობისათვის. ამდენად, კონკრეტული საზოგადოებრივი მეცნიერებები, თავის მხრივ, იყენებენ სოციოლოგიას როგორც მეთოდოლოგიას.

სოციოლოგიასა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ურთიერთმიმართების საკითხს შევეხებით შეზღუდულად – მხოლოდ მათ, რომლებიც ერთმანეთთან განსაკუთრებით მჭიდრო კავშირურთიერთობაში არიან.

სოციოლოგია საზოგადოებას შეისწავლის როგორც მთლიანს და, ამ მხრივ, მას ძალიან ემსგავსება ისტორია; მაგრამ, თუ სოციოლოგია იკვლევს საზოგადოების როგორც ერთიანისა და მთლიანის კანონზომიერებებს, განვითარების ყველა საფეხურზე, მისგან განსხვავებით, ისტორია ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებასა და საქმიანობას საყოველთაობას ვერ მიაწერს. საზოგადოების განვითარების კანონზომიერ პროცესებს ისტორია

განიხილავს ქრონოლოგიურად, როგორც საზოგადოების ზოგადი კანონების გამოვლენის კერძო შემთხვევებს.

მართალია, სოციოლოგიასა და ისტორიას ერთი ამოსავალი აქვთ, მაგრამ მათი მიზნები და ამოცანები განსხვავებულია; მართალია, ისტორიაც მთელ რიგ საზოგადოებრივ მეცნიერებებს იყენებს (არქეოლოგიას, ენათმეცნიერებას, ეთნოგრაფიას და ა.შ.) თავისი დასკვნების გასაკეთებლად, მაგრამ სოციოლოგიისა და ისტორიის დანიშნულება სხვადასხვაა, რადგან სოციალური სინამდვილე ზოგადისა და კერძოს ორგანული მთლიანობაა. ისტორია აღწერს სხვადასხვა ხალხებისა და სახელმწიფოების ყოფა-ცხოვრებას, მაგრამ როგორი განსხვავებული ყოფა-ცხოვრებაც არ უნდა ჰქონდეთ სხვადასხვა ქვეყნებსა და ხალხებს ეს არ გამორიცხავს მათი ცხოვრების საერთო და განმეორებადი კანონზომიერებების არსებობას, რასაც სოციოლოგია იკვლევს; მაგალითად, პირველყოფილი თემური წყობილების შეცვლა მონათმფლობელობით და ა.შ. ასევე, რელიგიის, სახელმწიფოს სამართლის წარმოშობის და სხვა, რომლებიც სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად მოხდა; მაგრამ მათში არსებობს საერთო, განმეორებადი კავშირები, რომელსაც სოციოლოგია ადგენს. ე.ი. ზოგადსოციოლოგიური კანონები ყოველ ცალკეულ ქვეყანასა და ხალხში მოქმედებენ.

ამგვარად, სოციოლოგია და ისტორია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან. სოციოლოგია ისტორიისთვის მეთოდოლოგიური საფუძველია, ხოლო კონკრეტული ისტორიული მონაცემები აუცილებელი პირობაა ზოგადსოციოლოგიური განზოგადებისათვის.

ბოლო პერიოდში, განსაკუთრებული დავის საგანი გახდა სოციოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის ურთიერთმიმართების საკითხი.

ზოგიერთი მეცნიერი სოციალურ ფსიქოლოგიას სოციოლოგიის ნაწილად თვლის; ზოგი კი, მას ფსიქოლოგიას მიაკუთვნებს. ამგვარი მიდგომა გამოწვეულია იმით, რომ თანამედროვე სოციოლოგიამ ინტენსიურად დაიწყო ადამიანთა კოლექტიური და ინდივიდუალური მოქმედებებისა და ქცევების კვლევა, რასაც სოციალური ფსიქოლოგია შეისწავლის, რითაც იქმნება პრეცენდენტი ამ ორი მეცნიერების საზღვრების დარღვევისა. ამ შემთხვევაში, აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ და გავმიჯნოთ ქცევისა და მოქმედების სოციალური და ფსიქოლოგიური კანონზომიერებები. სოციალურ ფსიქოლოგიას აინტერესებს სოციალიზებული მოქმედების შინაგანი ფსიქოლოგიური თავისებურებები და კანონზომიერებები, ხოლო სოციოლოგიის მიზანია საზოგადოებრივ ჯგუფებსა და კოლექტივებში გამოვლენილი ადამიანური არა ფსიქიკური, არამედ სოციალური მხარე; სოციალური სტრუქტურის, მისი შემადგენელი ელემენტების, მათი მნიშვნელობისა და გავლენის დადგენა.
სოციალური ფსიქოლოგია არკვევს ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებს, რომლებიც საფუძვლად უდევს ადამიანურ ქცევებს სოციალურ გარემოში, ასევე, ინდივიდუალურ და ჯგუფურ ქცევებს განიხილავს სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედების ტვალსაზრისით. მისთვის მთავარია სოციალურის დანახვა ადამიანთა ქცევებში და ქმედებებში. მართალია, ადამიანთა ქცევებში აქვე მონაწილეობს ფსიქოლოგიური ფაქტორები: განწყობა, ემოციები, ნებელობა და ა.შ., მაგრამ სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორები ერთმანეთისაგან თვისობრივად განსხვავდებიან. მართალია, ისინი ამოდიან ერთიდაიგივე ფაქტიდან,

მაგრამ სოციალური ფსიქოლოგია აქცენტს აკეთებს სოციალურში ფსიქიკის მონაწილეობაზე; სოციოლოგია კი – ფსიქიკურში სოციალურის გამოვლენაზე.

1.4. სოციოლოგიის ამოცანები და ძირითადი ფუნქციები

ყოველ მეცნიერებას გააჩნია თავისი მიზნები და ამოცანები, თავისი საკვლევი ობიექტი და საზღვრები, თავისი პრაქტიკულ-გამოყენებითი ამოცანები, მითუმეტეს, როცა საუბარია სოციოლოგიაზე, რომლის თეორიული და პრაქტიკული დანიშნულება ძალზედ მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთმანეთთან.

სოციოლოგია, როგორც ცნობილია, იკვლევს საზოგადოების არსებობის და ფუნქციონირების კანონებს, ადგენს საზოგადოებაში მომხდარი და მოსალოდნელი ფაქტების მიზეზებს, სწავლობს სოციალური ორგანიზაციების, ჯგუფების, პიროვნებების არსს, განსაზღვრავს შესასწავლი ობიექტის შემეცნების მეთოდებს; არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულად იკვლევს სოციალურ მოვლენებს საზოგადოებრივ პრაქტიკაში გასვლით, სოციალური სინამდვილის ადექვატურად გამოკვლევის საფუძველზე. იგი სახავს ადამიანთა მოქმედების ოპტიმალურ გზებსა და საშუალებებს.

თეორიული კვლევა და მოპოვებული ცოდნის პრაქტიკული რეალიზება არის სოციოლოგიის უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება სოციოლოგიის მეცნიერების წარმოშობისთანავე შეუძლებელი იყო, იმ ეპოქის ისტორიული შეზღუდულობის გამო. ამ დროს სოციოლოგია უპირატესად თეორიული სფეროთი იფარგლებოდა. არსებითად, მხოლოდ XX საუკუნიდან ხდება შესაძლებელი სოციოლოგიის

სსიპ-ბ... ... ...

ამოცანების სრულად და წარმატებით შესრულება. შეცვლილმა ისტორიულმა ვითარებამ გააქტიურა ხალხები, ერები; შექმნა დიდი და მცირე სოციალური ჯგუფები; დაძაბა ადამიანთა შორის ურთიერთობები; განმტკიცდა ეკონომიკური, პოლიტიკური კულტურული ურთიერთობები მსოფლიო ხალხებს შორის; გაჩნდა მანამდე არარსებული სპეციფიკური მოთხოვნილებები, ინტერესები; ამასთანავე, შესაბამისად იცვლებიან ადამიანები და საზოგადოებრივი ურთიერთობები. ყოველივე ამის ახსნა და გარკვევა იკისრა სოციოლოგიის მეცნიერებამ, რომლის საკვლევ ობიექტს დაემატა მცირე სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდების ქცევის კანონზომიერებათა კვლევა.

შესასწავლი ობიექტების გაფართოებამ და კვლევის მეთოდოლოგიის გამრავალფეროვნებამ ახალი ამოცანები დაუსახა სოციოლოგიას. საზოგადოებრივი ჯგუფების მიკროსტრუქტურებისა და პიროვნებების ქმედებათა კანონზომიერებების კვლევა, პრაქტიკული გადაწყვეტა და მოგვარება გახდა თანამედროვე სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ამოცანა. როგორც 1901 წელს, ამერიკელი სოციოლოგი წერს: „სოციოლოგია უნდა გახდეს გამოთვლითი მეცნიერება, თუ ჩვენ გვსურს დავაინტერესოთ მისთ მრეწველები და მეწარმეები“.

სოციოლოგიის პრაქტიკულმა დანიშნულებამ განაპირობა მოწინავე ქვეყნებში მისი სწრაფი განვითარება და მოუპოვა დიდი ავტორიტეტი. წამყვან უნივერსიტეტებში გახსნილია სოციოლოგიის ფაკულტეტები, კათედრები, ინსტიტუტები. 1894 წლიდან, აშშ-ში სოციოლოგიის კურსი იკითხებოდა 29 უმაღლეს სასწავლებელში. 1901 წლიდან კი – 169 უნივერსიტეტსა და კოლეჯში. ამჟამად, იგი სავადებულია – ყველა უნივერსიტეტსა და კოლეჯში.

აღმოსავლეთის ქვეყნებსა და, კერძოდ, რუსეთის იმპერიაში სოციოლოგია 1920 წლიდან შემოდის, მაგრამ 30-იანი წლებიდან იგი მიუღებელი გახდა სოციალისტური საზოგადოებისათვის და ბურჟუაზიული საზოგადოების დამახასიათებელ მოვლენად გამოცხადდა 1960-იანი წლებიდან, ჩვენში, სოციოლოგიისადმი დამოკიდებულება იცვლება; მხოლოდ ეს საქმე ნომენკლატურულ მუშაკებს უნდა ეკეთებინათ. იგი ჩაყენებული იქნა პარტიულ ფუნქციონერთა სამსახურში, რათა სოციალისტური წყობა წარმატებულად წარმოეჩინათ.

თანამედროვე დემოკრატიზაციის პირობებში, შესაძლებელი გახდა სოციოლოგიის ჭეშმარიტ გზაზე დაყენება. ჩვენი სოციოლოგები მონდომებით ცდილობენ, დაძლიონ ის ჩამორჩენა, რაც არსებობდა დასავლეთისა და ჩვენს სოციოლოგიურ სკოლებს შორის.

სოციოლოგიური სამსახურები ახორციელებენ საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, იკვლევენ ადამიანთა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თუ მთელი მოსახლეობის დამოკიდებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების აქტუალურ საკითხებზე. გამოყენებითი სოციოლოგია დიდ დახმარებას უწევს წარმოებებს, ორგანიზაციებს და სხვებს მართვის ორგანიზებაში. დამკვეთ ორგანიზაციებს სთავაზობს, ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე, პრაქტიკულ რეკომენდაციებს. სოციოლოგიას აქვს პროგნოზისტული ფუნქცია; მას შეუძლია გვიჩვენოს, თუ საითკენ მიემართება საზოგადოებრივი განვითარება, როგორი იქნება მისი მომავალი. ყოველივე ამის გათვალისწინებით, კ. პოპერმა დაამკვიდრა „სოციალური ინჟინერიის“, „სოციალური ტექნოლოგიის“ ცნებები, რაც წარმატებით მუშაობს და ღია საზოგადოებისათვის აუცილებელი დარგია.

სოციოლოგიას გააჩნია შემდეგი ძირითადი ფუნქციები:

1. შემეცნებითი; 2. პრაქტიკული და 3. იდეოლოგიური. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. შემეცნებითი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ სოციალური მოვლენების შესწავლის მიზნით, იგი იკვლევს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს; კავშირებს სოციალურ ჯგუფებს შორის; კავშირებს სხვადასხვა სოციალურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს შორის; კავშირ-ურთიერთობებს სხვადასხვა სუბიექტებსა და სოციალურ ჯგუფებს შორის.

სოციალური პროცესების ანალიზის საფუძველზე აკეთებს გარკვეულ დასკვნებს და პროგნოზებს საზოგადოების განვითარების როგორც მატერიალურ, ისე სულიერ სფეროში.

აღსანიშნავია, რომ ზოგადთეორიული კვლევის დონეზე კეთდება უფრო ზოგადი დასკვნები საზოგადოების განვითარების გლობალურ და გრძელვადიან ტენდენციებზე; ხოლო, სპეციალურ ან კონკრეტულ სოციოლოგიურ კვლევებში კი მოცემულია კონკრეტული ადამიანების, სოციალური ჯგუფების თუ ორგანიზაციების ყოველდღიური, მოკლევადიანი საქმიანობის ანალიზი და კეთდება შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

2. პრაქტიკული ფუნქცია გულისხმობს იმას, რომ კონკრეტული სოციოლოგიური კვლევის დროს შემუშავებული გარკვეული პრაქტიკული რეკომენდაციები სასარგებლო იყოს როგორც ჩამორჩენათა დასაძლევად, ისე მეტი სტიმულირების, ეფექტურობისა და წარმატების მისაღწევად.

თანამედროვე რთულ საზოგადოებრივ ურთიერთობებში განსაკუთრებით იზრდება პრაქტიკული სოციოლოგიის ფუნქცია, რომელიც ასრულებს მნიშვნელოვან კვლევებს პირველადი ინფორმაციის მოძიებიდან დაწყებული, დამთავრებული მისი

ანალიზითა და მეცნიერულად დასაბუთებული პრაქტიკული რჩევებით, დასკვნებითა და რეკომენდაციებით. აგრეთვე, ძალზედ მნიშვნელოვანია გამოკვლევებზე დაყრდნობით გარკვეული ტენდენციების დადგენა და მომავლის პროგნოზირება.

3. იდეოლოგიური ფუნქცია. სოციოლოგია იდეოლოგიურად ორიენტირებული მეცნიერებაა, რადგან იგი, ამა თუ იმ დონით, გამოხატავს ინდივიდების, სოციალური ჯგუფების პარტიების, სოციალური მოძრაობების ინტერესებს. ამასთანავე თვით სოციოლოგიც გარკვეულ პოზიციაზე მდგომი პიროვნებაა და შეიძლება ამა თუ იმ პარტიის წევრიც იყოს და, შესაბამისად თავისი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, აფასებდეს მოვლენებს. ამდენად, იდეოლოგიზირებულ მიდგომებს სრულად ვერ გამოვრიცხავთ, მითუმეტეს, როცა საქმე ეხება დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავებას. მართალია, ჭეშმარიტი მეცნიერება თავისუფალი უნდა იყოს ყოველგვარი სუბიექტივიზმისა და მსოფლმხედველობრივი იდეოლოგიზი-რებისაგან, რისგანაც განთავისუფლება ძალიან რთულია; მაგრამ, გამოსავალი იმაშია რომ ეს პრობლემა მკვლევარებს მუდამ უნდა ახსოვდეთ და ცდილობდნენ ზედმეტი პოლიტიზირებისა და იდეოლოგიზირებისაგან განთავისუფლებას.

თავი II.

2.1. მიმდინარეობები სოციოლოგიაში

სოციოლოგიის ისტორიაში ჩამოყალიბდა განსხვავებული პოზიციები და მიმართულებები საზოგადოებრივ ცხოვრებაში კანონზომიერებების არსებობა – თუ არარსებობის, მათი უნიკალურობის თუ არაუნიკალურობის შესახებ. ეს მიმდინარეობებია: მექანისტური მიმართულება, ბიოლოგისტური მიმართულება, სოციალ-დარვინისტული მიმართულება და ნეოკანტიანური მიმართულება.

მექანიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები: ჰოლბახი, დიდრო, ჰელვეციუსი საზოგადოებაში კანონზომიერებების არსებობას აღიარებენ; თუმცა, ამ კანონების სპეციფიკას ვერ ამჩნევენ. მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანი, საზოგადოება, ბუნების ნაწილია და ბუნებაში მოქმედი კანონები საზოგადოებაზეც ვრცელდება. ე.ი. საზოგადოებაში არსებული კანონები ბუნების კანონებისაგან არ განსხვავდებიან. ბუნების კანონები კი მექანიკის კანონებს ექვემდებარება, შესაბამისად, საზოგადოებასაც მიზიდულობის, ინერციის და სხვა მექანიკური კანონები მართავენ; მაგალითად, ადამიანთა თვით შენახვის ინსინქტში თავს იჩენს ინერციის კანონის მოქმედება, ადამიანთა შორის ჩხუბი და ომები თვითშენახვის პრინციპის მიხედვით ხდება, ხოლო მათი ახლო კავშირები და ურთიერთობები მიზიდულობის კანონით არის განპირობებული. უნდა ითქვას, რომ მექანიკური კანონებით საზოგადოების ახსნა შეცდომაა.

ბიოლოგიური მიმართულების დამფუძნებელი ჰ. სპენსერი საზოგადოებაში მოქმედ კანონებს ბიოლოგიის კანონებთან

აიგივებს; იგი ანალოგიის მეთოდს იყენებს. მისი აზრით, ადამიანებსა და ცხოველებს აქვთ ანალოგიური ნიშნები. ამ მსგავსების საფუძველზე იგი აკეთებს დასკვნებს, რომ საზოგადოება თვისობრივად მსგავსია ცხოველთა სამყაროსი.

ბიოლოგიური მიმართულების მეორე ფრთის – სოციალ-დარვინიზმის წარმომადგენლებს: ლიაპუნს, ვოლტმანს და სხვებს ცხოველთა სამყაროში მომქმედი კანონები მექანიკურად გადმოაქონდათ საზოგადოებაზე. ისინი უარყოფდნენ ბიოლოგიური და სოციალური კანონების თვისობრივ განსხვავებას. მართალია, ამ კანონებს შორის მსგავსება თვალსაჩინოა, როგორც ბუნების, ისე საზოგადოების კანონები ობიექტურნი არიან, მაგრამ თუ ბუნებრივი კანონები მოქმედებენ ბრმად, საზოგადოებრივი კანონები – შეგნებულად, მაგრამ არა თვითნებურად. ადამიანები შეგნებულად ცვლიან კიდევაც არსებულ პირობებს.

ნეოკანტიანური მიმართულების წარმომადგენლები: ვ. ვინდელბანდი, ჰ. რიკერტი, მ. ვებერი და სხვები აღიარებენ ბუნებასა და საზოგადოებაში მოქმედი კანონების თვისობრივ სხვაობას. მათი მიხედვით, თუ ბუნებრივ კანონებს ახასიათებთ აუცილებლობა და განმეორებადობა, თუ საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ცდილობენ, დაადგინონ ზოგადი განმეორებადი და აუცილებელი კავშირები, ე.ი. თუ ბუნებაში არსებობს მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება, ნეოკანტიანელები ამგვარ დამოკიდებულებას საზოგადოებაში არ ცნობენ, ვერ ამჩნევენ. მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოებრივ ურთიერთობებში ერთიდაიგივე მიზეზს სხვადასხვა შედეგი შეიძლება მოჰყვეს, რომ საზოგადოებაში მოქმედ კანონებს არ ახასიათებთ ობიექტურობა და განმეორებადობა; უნდა ითქვას, რომ ობიექტურობისა და

განმეორებადობის გარდა, საზოგადოებრივ კანონებს, ბუნებრივი კანონების მსგავსად, ახასიათებთ ზოგადობა, არსებითობა, აუცილებლობა; მაგრამ, მიუხედავად ამ კანონებს შორის არსებული საერთო მახასიათებლებისა, განსხვავდებიან ზოგიერთი ნიშნითაც: თუ ბუნებრივი კანონები ვლინდება შედარებით წმინდად, შეუფერხებლად, სოციალური კანონები გზას იკაფავს დიდი წინააღმდეგობებითა და დაბრკოლებებით. საზოგადოებრივი კანონების აუცილებლობას თავის დაღს ასვამს ადამიანთა სუბიექტურობისა და ნების ფაქტორი; აქტიური ჩარევით ადამიანებს შეუძლიათ საზოგადოებრივი კანონების დინების დაჩქარება ან შენელება.

ობიექტურ კანონებთან ერთად, საზოგადოებაში მოქმედებს ნორმატული კანონები, რომელსაც ქმნიან თვითონ ადამიანები. მათ შეუძლიათ მათი შეცვლა და გაუქმება, მაგრამ სახელმწიფოს მიერ სანქცირებულ ნორმატულ კანონებს მინიჭებული აქვთ ობიექტურობა და მათი შესრულება აუცილებელია.

22. სოციოლოგიის კლასიკური თეორიები

ამ თავში განხილული იქნება სოციოლოგიის კლასიკოსები, რომლებმაც უაღრესად დიდი გავლენა მოახდინეს სოციოლოგიის შემდგომ განვითარებაზე: ო. კონტის, ჰ. სპენსერის, ე. დიურკჰეიმის, მ. ვებერის და სხვების შრომები სამაგიდო წიგნებად ითვლება მათი შემდგომი და თანამედროვე თეორეტიკოსი სოციოლოგებისათვის.

ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგიის ფუძემდებელი, ენციკლოპედიური განათლების მოაზროვნე ო. კონტი(1798-1857წწ) რომელმაც შემოიღო და დაამკვიდრა ტერმინი „სოციოლოგია“ რომელსაც „სოციალურ ფილოსოფიასაც“ უწოდებდა. მან შემოიტანა, აგრეთვე, სოციოლოგიის ძირითადი ცნებები. კონტი თავის ფილოსოფიასა და სოციოლოგიას პოზიტიურს უწოდებს რადგან მისი აზროვნება ეყრდნობა არა წარმოსახვებსა და მიხვედრებს, არამედ მხოლოდ მეცნიერულ დაკვირვებებს. ამიტომაც ითვლება იგი პოზიტივიზმის – როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური მიმდინარეობის ფუძემდებლადაც.

ო. კონტის მნიშვნელოვან აღმოჩენას წარმოადგენს კაცობრიობის ინტელექტუალური ევოლუციის ძირითადი კანონი. ამ კანონის მიხედვით, როგორც ადამიანურმა, ისე საზოგადოებრივმა ცნობიერებამ განვლო განვითარების სამი სტადია: თეოლოგიური, მეტაფიზიკური და პოზიტიური.

თეოლოგიურ სტადიაზე ადამიანი ზებუნებრივი ძალების ტყვეობაშია. იგი აფეტიშებს ბუნებრივ მოვლენებს. განვითარების ამ ეტაპზე, რელიგიური და მითოლოგიური აზროვნების ფორმებია გაბატონებული. თეოლოგიური სტადიის დასასრულს ხდება გადასვლა პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე და, თანდათანობით ცნობიერებაში რელიგიურ-მითოლოგიური წარმოსახვებიდან – სინამდვილის ასახვის მეცნიერულ პოზიციებზე.

მეტაფიზიკურ სტადიაზე წარმოსახვითი აზროვნება გადადის ცნებით აზროვნებაზე, მაგრამ განვითარების დაბალი დონის გამო, ცნებები აბსტრაქტულნი არიან. შემეცნებისადმი მიდგომილი მეტაფიზიკური მეთოდი ვერ იძლეოდა ბუნებრივი და სოციალური მოვლენების რეალისტურად ასახვის სურათს მოუმეტეს, რომ აზროვნება, ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული მითოლოგიური და რელიგიური ცრურწმენებიდან.

პოზიტიურ სტადიაზე ადამიანური ცოდნა ეყრდნობა მეცნიერულ დაკვირვებებს; ადამიანები ადგენენ კანონზომიერებებს და მოქმედებენ მათ შესაბამისად. ო. კონტის აზრით, პოზიტიური ცოდნა მიიღწევა მეცნიერული დაკვირვების საფუძველზე, რაც გვაძლევს წინასწარი ხედვის შესაძლებლობას, ანუ მეცნიერულად უნდა შეისწავლო ის, რაც არის და აქედან გააკეთო დასკვნა იმაზე, თუ რა უნდა მოხდეს, ბუნებრივი კანონზომიერების შესაბამისად.

ო. კონტის მიხედვით, საზოგადოების პროგრესული განვითარება ექვემდებარება ბიოლოგიურ და კოსმოლოგიურ კანონებს, მაგრამ, ძირითადად მიიჩნევს ინტელექტუალური ევოლუციის კანონს, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მეცნიერებას, როგორც ინტელექტუალური ევოლუციის უმაღლეს გამოვლენას.

ო. კონტის აზრით, სოციალური პროგრესი, საზოგადოების ჰარმონიული განვითარება შესაძლებელია მეცნიერების განვითარების გზით.

ო. კონტის მიხედვით, ადამიანები დამოუკიდებელ ინდივიდთა, ანუ „სოციალურ ატომთა" უბრალო ჯამი კი არ არის (როგორც ვოლტერს, რუსოს, ჰერდერს, ლესინგს მიაჩნდა), არამედ საზოგადოება ერთიანი სოციალური ორგანიზმია. საზოგადოება განსაზღვრავს მისი შემადგენელი ადამიანების ორიენტაციას, საქმიანობასა და მის მომავალს – იქნება ეს პიროვნება თუ სხვადასხვა სოციალური ჯგუფი.

დასავლური სოციოლოგიის კლასიკოსთა შორის მეტად მნიშვნელოვანია ინგლისელი მოაზროვნის ჰერბერტ სპენსერის (1820-1903 წწ.) წვლილი სოციოლოგიის მეცნიერების

შემდგომ განვითარებაში. იგი არის სოციოლოგიაში ბიოლოგიური მიმართულების დამფუძნებელი. ჰ. სპენსერი ბუნებრივ და სოციალურ ფაქტორებს ერთ მთლიან სისტემად განიხილავს. იგი იყენებს ანალოგიის მეთოდს, რომლის მიხედვითაც ადამიანებსა და ცხოველებს აქვთ ანალოგიური ნიშნები. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო ორგანულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ამ კავშირების გარეშე ფუნქციონირება არ შეუძლიათ. სპენსერი საზოგადოებას განიხილავს როგორც ცოცხალ ბიოლოგიურ ორგანიზმს და, ამის საფუძველზე, ეძებს საზოგადოებისა და ბიოლოგიური ორგანიზმების ფენომენური მსგავსების არგუმენტებს:

1. როგორც ბიოლოგიური ორგანიზმების, ისე საზოგადოების მასა მატულობს თავის ზრდისა და განვითარების დროს; 2. ზრდასა და განვითარებაში ერთიც და მეორეც თანდათან რთულდებიან; 3. მათი ნაწილები უფრო მეტად ხდებიან ურთიერთდამოკიდებულნი; 4. ერთიც და მეორეც გვარეობრივად აგრძელებენ არსებობას, თუმცა მათი შემადგენელი ნაწილები (ადამიანები საზოგადოებაში და უჯრედები ცოცხალ ორგანიზმებში) მუდმივად იცვლებიან, ე.ი. აქვთ თავიანთი გენეტიკური კოდი.

ამგვარი პოზიციის გასამაგრებლად სპენსერს მოჰყავს შედარებები. მაგალითად, სახელმწიფოს მართვას იგი ადარებს ადამიანის ტვინს (როგორც ტვინი მართავს ადამიანის ცხოვრებას, ასევე მთავრობა მართავს საზოგადოების ყოფას); ვაჭრობის პროცესს აიგივებს სისხლბრუნვის პროცესთან; სისხლის ბურთულაკებს – ფულთან; ინფორმაციის გადამცემი სატელეფონო

ხაზები თუ სხვა საშუალებები გაიგივებული აქვს ნერვულ სისტემასთან და ა.შ.

მნიშვნელოვანია სპენსერის ევოლუციის და განსაკუთრებით, სოციალური ევოლუციის თერია. ევოლუციაში ძირითად მომენტებად მას მიაჩნია: სვლა მარტივიდან რთულისაკენ (ინტეგრაცია); ერთგვაროვნებიდან – მრავალგვაროვნულობისკენ (დიფერენციაცია); განუსაზღვრელიდან – განსაზღვრულისაკენ (წესრიგის ზრდა). სწორედ ამაშია სოციალური ევოლუციის არსი ეს არის საზოგადოების პროგრესული განვითარება სოციალური ინსტიტუტების სრულყოფისა და გართულების გზით; ეს ეხება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს.

ო. კონტისა და ჰ. სპენსერის თეორიების კრიტიკული გააზრება და მისი განვითარება მოგვცა დიდმა ფრანგმა სოციოლოგმა ემილ დიურკჰეიმმა (1858-1917 წწ.), რომელიც სოციალური მოვლენების ახსნაში აქტიურად უპირისპირდება ფსიქოლოგისტურ და ინდივიდუალისტურ მიდგომებს, რომელთა მიხედვითაც ადამიანთა ქცევებში და ცხოვრებაში საერთოდ უმნიშვნელოვანეს . როლს თამაშობს ადამიანთა შინაგანი ფაქტორები: ადამიანთა მიზნები, მისწრაფებები, სურვილები და ა.შ. თავის შრომაში – „სოციალური რეალიზმის თეორა" ე. დიურკჰეიმი ასაბუთებს, რომ სოციალური მოვლენები, უნდა აიხსნას არა ინდივიდუალური და ფსიქოლოგიური – არამედ სოციალური ფაქტორებით; რომ ადამიანთა განსხვავებული ქცევების განმსაზღვრელია საზოგადოებრივი სისტემა ანუ სოციალური გარემო.

ე. დიურკჰეიმი აღნიშნავს, რომ ადამიანთა ქცევების ასახსნელად და სხვა სოციალური მოვლენების გამოსაკვლევად, საჭიროა დამუშავდეს სოციოლოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდი, რომლის შექმნაზეც დიდად არ უზრუნიათ მის წინამორბედებს. ო. კონტმა და ჰ. სპენსერმა შექმნეს სოციალური მოვლენების სხვადასხვა თეორიები, მაგრამ მეთოდის საკითხი მათ უშუალოდ არ უკვლევიათ; ამიტომ, თავის უმნიშვნელოვანეს ამოცანად დაისახა მეცნიერული მეთოდის შექმნა.

სოციალური ფაქტორები, იდეები, ნორმები, ღირებულებები, რომლებიც შემუშავებულია საზოგადოების კოლექტიური ცნობიერებით და აიძულებენ ცალკეულ ადამიანებს, იმოქმედონ მათ შესაბამისად. ე.ი. სოციალური ნორმები და ღირებულებები იქმნება კოლექტიური ცნობიერების მეშვეობით და ცალკეულ ადამიანთან მიმართებაში არსებობენ ობიექტურად; სუბიექტებისათვის ისინი არსებობენ მზამზარეული სახით, რომლებიც მათ უნდა აითვისონ და იხელმძღვანელონ იმით; ე.ი. ადამიანის, როგორც სოციალური არსების საქმიანობა განსაზღვრულია სოციალური ნორმებითა და პრინციპებით, რომლებიც ადამიანებისათვის სავალდებულოა შესასრულებლად. სოციალური ფაქტების ადამიანებზე ზემოქმედება გააზრებულია ორგანიზებულად და ხორციელდება საზოგადოებრივი თუ სახელმწიფო ინსტიტუტების საშუალებით.

ე. დიურკჰემი დიდ ყურადღებას აქცევს სოციალურ დაავადებებს და მათი დაძლევის გზებს. როგორც თვითონ აღნიშნავს, უნდა მოიძებნოს მუდმივად ფაქტებთან არსებული ობიექტური კრიტერიუმები, რომლის მიხედვითაც განვასხვავებთ ჯანსრთელ და ავადმყოფურ სოციალურ მოვლენებს.

ე. დიურკჰეიმის მიხედვით, ჯანმრთელია სოციალური მოვლენა, როცა ის ემსახურება ადამიანისა თუ საზოგადოების სასიცოცხლო ძალების ნორმალურ განვითარებას, გარემო პირობებთან ადექვატურ ადაფტაციას; ის, რაც ხელს უწყობს საზოგადოების განვითარებას, სასარგებლო და ჯანსაღია. თუ საზოგადოება დასნეულდა, საჭიროა მისი კომპლექსური მკურნალობა; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოების მორალურ-პოლიტიკურ გაჯანსაღებას, ჰარმონიულ განვითარებას, დაფუძნებულს გონივრულობასა და სამართლიან დისციპლინაზე.

სოციოლოგიის ბრწყინვალე წარმომადგენელი, დიდი გერმანელი მოაზროვნე მაქს ვებერი (1864-1920 წწ.), რომლის გაგების კონცეფციას, სოციალური შემეცნების მეთოდოლოგიას და მის შეხედულებებს ეთიკაზე, კულტურაზე, რელიგიასა და სხვა სოციალურ საკითხებზე, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა და დიდ დახმარებას უწევს თანამედროვე სოციოლოგებს ფუნდამენტური საკითხების განხილვაში.

მ. ვებერი აყალიბებს და აზუსტებს სოციოლოგიის ძირითად ცნებებსა და კატეგორიებს. მისი აზრით, სოციოლოგია უნდა შეისწავლიდეს ადამიანებისა და სოციალური ჯგუფებიდან ამომდინარე სულიერ, გაცნობიერებულ ქცევებსა და ქმედებებს. თავის „გაგების სოციოლოგიაში" მ. ვებერი განმარტავს, რომ სოციოლოგიის კვლევის საგანი არის ისეთი ქცევები, რომლებიც გააზრებული და შინაგანად ორიენტირებულნი არიან სხვა სუბიექტებზე. სოციოლოგი უნდა გაერკვეს არა მხოლოდ მოცემული ქცევის შინაარსში და სხვა ადამიანებზე მოსალოდნელ გავლენაში, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ამ ქმედებათა

სუბიექტურ მოტივებში, იმ სულიერ ღირებულებებში, რომლითაც ხელმძღვანელობს მოქმედი სუბიექტი; ე.ი. უნდა გავიგოთ, გამოსაკვლევი სუბიექტის სულიერი სამყარო, ეს არის სწორედ გაგების სოციოლოგია.

მ. ვებერის აზრით, სოციალური სუბიექტებისა და მათი სოციალური ქმედებების გაგება შესაძლებელია როგორც ლოგიკურად, ასევე ემოციურად. სოციოლოგმა უნდა შეძლოს და შეიგრძნოს სოციალური სუბიექტის შინაგან სამყაროში, რასაც იგი ეძახის „თანაგანცდას". გაგების კონცეფციის აღნიშნული ორი დონიდან უფრო მნიშვნელოვანია ლოგიკური გაგება, ანუ სოციალური პროცესების მეცნიერულ დონეზე გააზრება, ხოლო ემოციურ ანუ განცდების დონე კვლევის მხოლოდ დამხმარე მეთოდია.

სოციალური ქცევებისა და მოქმედებების განსაზღვრისას ძალზედ მნიშვნელოვანია ღირებულებების პრობლემის გარკვევა, რადგან ღირებულებითი ორიენტაცია განსაზღვრავს სოციალური სუბიექტის ქმედებებსა და საქმიანობას. ძალზედ მნიშვნელოვანია გავარკვიოთ, თუ რა ღირებულებებზე დაყრდნობით ანხორციელებს სოციალური სუბიექტი თავის ქმედებებს (კვლევის დროს შეიძლება სოციალური სუბიექტის ღირებულებითი ორიენტაცია დაემთხვეს ან იზიარებდეს მკვლევარის ღირებულებით ორიენტაციას, რაც უარყოფით გავლენას იქონიებს კვლევის შედეგებზე).

საინტერესოა მაქს ვებერის ღირებულებითი ორიენტაციის პრობლემის გადაჭრის ვერსია. ნეოკანტიანელებისაგან განსხვავებით, რომლებისთვისაც ძირითადი ღირებულებები: მორალური, რელიგიური, პოლიტიკური, ესთეტიკური და სხვა

განიხილება როგორც მარადიული, ზეისტორიული; ხოლო, მ. ვებერი ღირებულებებს მიიჩნევს ისტორიულ კატეგორიად „ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის საკუთრებად“, „ეპოქისათვის დამახასიათებელი ინტერესების მიმართულებად“. ღირებულებების ვებერისეული გაგება და მათდამი დამოკიდებულება მნიშვნელოვნად ცვლის საზოგადოების განვითარების სურათსა და პერსპექტივებს.

ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლოა მ. ვებერის თეორია იდეალური სოციალ-ფსიქოლოგიური ტიპების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია ღირებულებით საკითხებთან და დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია.

მ. ვებერის აზრით, არსებობს 4-ძირითადი იდეალური ტიპი, რომლებიც მთლიანად, მართალია, ვერ ამოწურავენ სოციალურ ქმედებათა მრავალფეროვნებას, მაგრამ რადგან ეს ოთხი ტიპი ნათლად არის გამოკვეთილი, ამიტომ ისინი იდეალურნიც არიან. ეს ტიპებია: 1. მიზან-რაციონალური; 2. ღირებულებით-რაციონალური; 3. აფექტური; 4. ტრადიციული. მოკლედ, განვიხილოთ თითოეული ე.წ. იდეალური ტიპი.

1. მიზან-რაციონალური ქმედებაა, როცა სუბიექტს ნათლად აქვს გათვითცნობიერებული საკუთარი მიზნები და მიზანსწრაფულად იღწვის მის მისაღწევად, აგრეთვე, გათვალისწინებული აქვს სხვა ადამიანთა რეაქცია საკუთარ ქმედებაზე. მიზან-რაციონალური ტიპის ქმედების კრიტერიუმია წარმატების მიღწევა.

2. ღირებულებით-რაციონალური ტიპი დარწმუნებულია თავის გონიერ და ჭეშმარიტ ღირებულებებზე დაფუძნებულ

ქმედებაში და დინჯად და რაციონალურად ანხორციელებს თავის საქმიანობას.

3. აფექტური ტიპის ქმედება გაუცნობიერებელ, იმპულსურ გრძნობებზე აყოლილი ქცევებია.

4. ტრადიციული ტიპის ქმედებები დაფუძნებულია და გამომდინარეობს ტრადიციებიდან და ჩვევებიდან.

მ. ვებერის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, ცნობიერების მონაწილეობა იზრდება აფექტურიდან მიზან-რაციონალურისაკენ, თუმცა, ადამიანთა ქცევებში ხშირად ყველა ტიპი მონაწილეობს.

მ. ვებერის აზრით, თანამედროვე საზოგადოების განვითარების პერსპექტივაში სულ უფრო იზრდება და მომავალშიც გაიზრდება მიზან-რაციონალური ქმედებები, როგორც ინდივიდ სოციალურ სუბიექტებში, ისე სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში. რაციონალური ხდება ადამიანთა აზროვნება, მეურნეობის ხელმძღვანელობა, სახელმწიფო-მართვა და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების წესი. რაციონალურობის უმაღლესი ფორმა სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რაციონალურად შედგენილი კანონების უზენაესობა, საზოგადოება, სადაც მიღწეულია მოქალაქეთა რაციონალური თანხმობა და ჰარმონიული ცხოვრება.

2.3. თანამედროვე დასავლური სოციოლოგია

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან დღემდე პერიოდი ეკადემიური სოციოლოგიის ჩამოყალიბების და საბოლოოდ დამკვიდრების პერიოდად ითვლება; განსაკუთრებით ბოლო ხანებში, თანამედროვე დასავლურ სოციოლოგიაში მრავალი

მიმდინარეობა და სკოლა ჩამოყალიბდა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან როგორც თეორიული მიდგომით, ისე პოლიტიკური ორიენტაციებით. სხვადასხვა ორიენტაციებისა და მიდგომების წარმატებული კლასიფიკაცია წარმოდგენილი აქვს თანამედროვე შვედ სოციოლოგს პ. მობსონს, რომელმაც პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაში, სხვადასხვა ორიენტაციებსა და გაგებაში, ოთხი ძირითადი მიდგომა გამოჰყო:

პირველი მიდგომის მიხედვით, სოციოლოგიაში განსაკუთრებული პრიორიტეტი ენიჭება საზოგადოებრივი ურთიერთობების კვლევას, ცალკეულ პირებთან და ინდივიდების კვლევასთან შედარებით; საზოგადოება გაგებულია როგორც ზეინდივიდუალური სისტემა, რადგან მათი გაგებით მთელი არ დაიყვანება მისი შემადგენელი ნაწილების ჯამზე; აქედან გამომდინარე, სოციოლოგიის საგანი უნდა იყოს საზოგადოება, როგორც ერთიანი მთლიანი და არა მისი შემადგენელი ინდივიდები.

სოციოლოგიის ამგვარი გაგება სათავეს იღებს, ჯერ კიდევ, ო. კონტიდან, სპენსერიდან და განმტკიცებულია ე. დიუკჰეიმის სოციოლოგიურ კონცეფციაში; ხოლო, რაც შეეხება თანამედროვეობას, ეს პოზიცია გაზიარებული და აღორძინებული იქნა ტ. პარსონსის – სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზის სკოლის მიერ და ლ. კოზერისა და რ. დარენდორფის კონფლიქტის თეორიაში.

მეორე მიდგომით – სოციოლოგიის ძირითად ამოცანას პიროვნების, ადამიანის, მისი შინაგანი სამყაროს მამოძრავებელი ძალების საზრისის შესწავლა და კვლევა წარმოადგენს და არა საზოგადოებისა მთლიანად. ეს ტრადიცია, მიდგომა მომდინა-

რეობს მაქს ვებერიდან. თანამედროვეებიდან კი ამ მიდგომის მიმხრე და გამტარებლები არიან: გ. ბრუმერი – სიმბოლური ინტერაქციონალიზმი; ა. შულცი, ნ. ლუკმანი – ფენომენოლოგია და გ. გარფინკელი და ა. სიკურელი – ეთნომეთოდოლოგია.

მესამე მიდგომა – ცდილობს ამ ორ უკიდურეს მიდგომათა შორის ოქროს შუალედის გამოძებნას. სოციოლოგიაში საზოგადოებისა და აზროვნების მექანიზმის თანაბრად ახსნას და ორივე ფენომენის კვლევას და მეცნიერულად შესწავლას ეფექტურად მიიჩნევს.

ამგვარი მიდგომის ფუძემდებელია პიტირიმ სოროკინი, ხოლო თანამედროვეთაგან ჯ. ჰომანსის – მოქმედების ანუ ბიჰევიორის თეორია.

მეოთხე მიდგომა ეს მარქსისტულია, რომელიც ემსგავსება პირველ მიდგომას იმ ძირითადი განსხვავებით, რომ მარქსიზმი ეფუძნება საზოგადოების აქტიურ ჩარევას გარე სამყაროს ტრანსფორმაციაში; მაშინ, როცა პირველი მიდგომა სოციოლოგიას აკვლევინებს მხოლოდ გარედან მაყურებლისა და რეკომენდატორის რიგს.

მოკლედ განვიხილოთ ზოგიერთი მათგანის მხოლოდ თეორიულ-კონცეპტუალური შეხედულებები.

ნეოპოზიტივიზმი თანამედროვე დასავლეთის სოციოლოგიაში პოპულარული თეორიაა, რომლის მიხედვითაც სოციოლოგიური მოვლენები ექვემდებარებიან როგორც ბუნებრივ, ისე ისტორიულ კანონებს; მათი აზრით – სოციოლოგიური კვლევის მეთოდებს მოეთხოვებათ ისეთივე სიმკაცრე და სიზუსტე, როგორც ბუნებათმეცნიერულ მეთოდებს; – ადამიანური ქცევის სუბიექტური ასპექტების კვლევა შესაძლებელია მხოლოდ მათი

აშკარად გამოვლენის შემდეგ – მეცნიერული ცნებებისა და დებულებების ჭეშმარიტება უნდა დგინდებოდეს პრაქტიკული პროცედურების საფუძველზე; – საჭიროა და შესაძლებელიც ყველა სოციალური მოვლენის გამოსახვა რაოდენობრივ პარამეტრებში; – სოციოლოგია, როგორც მეცნიერება, თავისუფალი უნდა იყოს ღირებულებითი მსჯელობებისა და იდეოლოგიისაგან.

ე.ი. ნეოპოზიტივისტური სოციოლოგია პრიორიტეტულად მიიჩნევს კონკრეტული სოციოლოგიის განვითარებას. ცდილობს დაასაბუთოს კონკრეტული სოციოლოგიის პრაქტიკული გამოყენების სარგებლიანობა და ჩრდილში აყენებს ზოგადთეორიულ სოციოლოგიას.

ბოლო პერიოდში, კიდევ უფრო იზრდება გამოყენებითი სოციოლოგიის ფუნქციები. სოციალური ინჟინერიის შექმნით და პრაქტიკული კვლევების სფეროს გაფართოებით წინა პლანზე წამოიწია ნეოპოზიტივისტურმა დებულებებმა, რომლის მიხედვითაც მათემატიკური ენა წარმოადგენს სოციოლოგიური ინფორმაციის გამოხატვის ადექვატურ ფორმას; – მონაცემთა ანალიზისას ახალი ლოგიკურ-მეთოდოლოგიური საშუალებების გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს მეცნიერების მეთოდოლოგიურ ერთიანობას; – სოციოლოგია არის სოციალური გამოკვლევების იდეოლოგიურად ნეიტრალური სფერო.

ტ. პარსონსის სტრუქტურულ-ფუნქციონალური ანალიზი.

ტ. პარსონსის მთავარ მიზანს წარმოადგენდა აბსტრაქტული, მაგრამ მუდმივი და საბოლოო სოციოლოგიური სისტემის შექმნა, ამიტომ მისი კონცეფციის მთავარ ცნებას წონასწორობა წარმოადგენს, რადგან მისი დარღვევა სოციალური სისტემის დანგრევას და დაღუპვას ნიშნავს; ამიტომ,

სოციოლოგიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, იზრუნოს და თავისი ძალისხმევა მიმართოს საზოგადოებრივი სტაბილიზაციის შექმნაზე და წონასწორობის შენარჩუნებაზე. მისი მთავარი პრინციპებია: შეგუება გარე სამყაროსთან (ადაპტაცია); – მიზნის ზუსტი ჩამოყალიბება და მის გადასაჭრელად რესურსების მობილიზება; – მიზანდასახულობა; – შინაგანი ერთიანობის მოწესრიგება და დაზღვევა შესაძლო გადახრებისაგან (ინტეგრაცია); – სისტემის თავისთავადობის, შინაგანი სტაბილურობისა და წონასწორობის უზრუნველყოფა (ლატენტურობა – ნიმუშის დაცვა).

თუ როგორ არის შესაძლებელი საზოგადოებაში წონასწორობის, სტაბილურობის შენარჩუნება და ადამიანთა ერთადცხოვრება. ამ კითხვაზე პარსონსი პასუხობს, რომ საზოგადოებას ერთმანეთთან აკავშირებს არა ეკონომიკური ურთიერთობები, არამედ ის, რაც ხდის შესაძლებლად თვით ამ ურთიერთობების არსებობას, კერძოდ: ღირებულებათა ერთობლიობა და სოციალური ქცევის წესები ანუ „თამაშის წესების“ დაცვა.

სოციალური ქმედების სტრუქტურას, პარსონსის მიხედვით, საბოლოოდ განსაზღვრავენ: 1. ღირებულებისა და ნორმების სისტემა; 2. მიზნის მიღწევის გზების თაობაზე ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიღება; 3. არსებული საშუალებები და პირობები. მაშასადამე, სოციალური ქმედების ფორმალიზებული მოდელი გულისხმობს ოთხ ქვესისტემას: სოციალურს, კულტურულს, პიროვნულს და ორგანულს. ეს ყველაფერი კი ხელს უწყობს და უზრუნველყოფს ადამიანთა ინტეგრაციას და სტაბილიზაციას; თუმცა, პარსონსი საზოგადოების განვითარების

მომავალს ბოლომდე ვერ იაზრებს; იგი წერს, რომ „ცოდნის არსებული დონე შეუძლებელს ხდის სოციალური სისტემის ცვალებადობის პროცესების ზოგადი თეორიის შექმნის შესაძლებლობას“. მერწმუნეთ, რომ ეს მართლაც ურთულესი საკითხია საზოგადოების განვითარების პერსპექტივებისა და საბოლოო მომავლის გათვლა და დასრულებული სისტემის ჩამოყალიბება, ჯერჯერობით, მართლაც არა ცოდნის, არამედ რწმენის სფეროში უნდა დავტოვოთ(რ.ღ).

კონფლიქტის სოციოლოგია.

პარსონსის წონასწორობაზე საზოგადოების სტაბილიზაციისაკენ მიმართული სტრუქტურულ-ფუნქციონალური თეორიის საპირისპიროდ არის მიმართული კონფლიქტის სოციოლოგიური თეორია, რომლის წარმომადგენლებიც არიან კ. მილსი, რ. დარენდორფი, ლ. კოზერი და სხვები, რომლებიც კონფლიქტში ხედავენ სოციალური ორგანიზმის ბუნებრივ და პროგნოზირებად შემადგენელ ნაწილს. ამერიკელი სოციოლოგი ლ. კოზერი სოციალურ კონფლიქტს მიიჩნევს ბრძოლად ღირებულებითი ან სტატუსური პრივილეგიებისა და ძალაუფლებისათვის, სადაც დაპირისპირებულ მხარეთა მიზანია არა მხოლოდ მათი ხელში ჩაგდება, არამედ მოწინააღმდეგის ჩამოცილება და ნეიტრალიზება. კონფლიქტი, მისი აზრით, სოციალური ურთიერთობების უმნიშვნელოვანესი და აუცილებელი ელემენტია. იგი საზოგადოების არსებობის დისფუნქციური და, ზოგჯერ, დამანგრეველი ნაწილია.

სოციალური კონფლიქტის ძირითად ფუნქციებად გამოჰყოფენ: სოციალური სტრუქტურების ინტეგრაციას; ჯგუფების

შიგნით სოლიდარობის შენარჩუნებას; ადამიანთა შორის ურთიერთობების განმტკიცებას, სოციალური ცვალებადობის მართვას.

რ. დარენდორფის მიხედვით, სოციოლოგია შეისწავლის ადამიანთა ქცევებს საზოგადოებისა და ცალკეული ადამიანის შეხების წერტილებში. მისთვის საზოგადოება არის სოციალური კავშირების ნებისმიერი სახე. სოციალურ სისტემაში ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობები სოციოლოგიის საფუძველია. დარენდორფისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია სოციალური როლი „რომელიც მდგომარეობს ცალკეული ადამიანის იძულებაში, როგორც ინდივიდს, ასევე საზოგადოებაში არსებობს როლების იერარქია; როლი ეს არის ქცევის დონეზე ხორცშესხმული ძალაუფლება“.

სოციალური უთანასწორობით გამოწვეულ როლებრივ უთანასწორობას მივყავართ კონფლიქტებამდე, რომლის გადაჭრის საშუალებად ძალადობა არ გამოდგება. მისი დარეგულირება შესაძლებელია მხოლოდ მოლაპარაკებით, კონსენსუსის მიღწევით, შუამავლობით, არბიტრაჟით და სხვა.

კონფლიქტის დარეგულირების ოპერატიულობა დამოკიდებულია მის სიმწვავეზე, ურთიერთობების დახურულობასა და ჩაკეტილობაზე (ამ შემთხვევაში, უფრო რთულდება მისი დარეგულირება, თუკი ურთიერთობა ღია და გულწრფელია, ურთიერთდათმობის გზით დარეგულირება შესაძლებელი ხდება).

ამგვარად, სოციალური კონფლიქტების რეგულირებისათვის აუცილებელია შეგნების მაღალი დონე, დემოკრატიული და მაღალმობილური საზოგადოება. უკანასკნელ პერიოდში ძალზედ

აქტუალური გახდა კონფლიქტების მოგვარების პრობლემა. მეცნიერები ინტენსიურად მუშაობენ აღნიშნულ საკითხზე, ამუშავებენ ახალ-ახალ მიდგომებს, ხერხებსა და მეთოდებს, რომლებიც ითვალისწინებენ სოციალურ ურთიერთობათა მრავალგანზომილებადობასა და მრავალდონიანობას.

ჩვენს მიერ წარმოდგენილ, მოკლედ შედგენილ სახელმძღვანელოში სოციოლოგიის თანამედროვე მიდგომებისა და პოზიციების უფრო ფართოდ განხილვა და წარმოდგენა სცილდება ჩვენს მიზანს. ეს მნიშვნელოვანი თემები ცალკე კვლევებსა და გაშუქებას მოითხოვს.

თავი III.

3.1. საზოგადოება, ადამიანი როგორც სოციოლოგიის საგანი

როგორც ცნობილია, სოციოლოგია არის მოძღვრება საზოგადოების შესახებ, მაგრამ თუ რას წარმოადგენს საზოგადოება, ამის დადგენა არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა.

საზოგადოების ცნება სოციოლოგიაში ყველაზე უზოგადესი, ფართოდ მოხმარებადი, ფუნდამენტალური ცნებაა. მისი გარკვევა ისევ მნიშვნელოვანია, რომ მისი სხვადასხვაგვარად გაგების შემთხვევაში, შესაბამისად, სოციოლოგიასაც ეცვლება თავისი ხასიათი, მნიშვნელობა და რაობა; ე.ი. საზოგადოების ცნების განსხვავებულად გაგება განსხვავებულ სოციოლოგიურ თეორიებს გამოიწვევს. როგორც თანამედროვე დიდი სოციოლოგი ნ. სმელზერი აღნიშნავს, ამ ტერმინს თავისუფლად ვიყენებთ ჩვეულებრივ საუბრებში, მაგრამ მასში ყველა ერთ შინაარსს როდი დებს, ამიტომ, მეცნიერებს მისი განსაზღვრება ძალიან უძნელდებათ.

ჩვეულებრივად, საზოგადოებას ადამიანთა ყოველგვარ ერთობასა და გაერთიანებას უწოდებენ, მაგალითად: კორპორატიულ, სპორტულ, სტუდენტურ, მეცნიერულ, ინვალიდთა და სხვა. საზოგადოების ზუსტი შინაარსის დასადგენად, ჯერ-ჯერობით ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ, არსებობს თუ არა ისეთი კრიტერიუმები, რომლის მეშვეობითაც გავარკვევთ, რა ტიპის ადამიანთა ერთობა ჩაითვლება საზოგადოებად.

ჯერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა, რომ ტერმინი „საზოგადოება“ ადამიანთა ერთობასა და მათ ურთიერთკავშირს გამოხატავს. ამის შემდეგ, სოციალური აზროვნების ისტორიაში

მრავალმა მოაზროვნემ მოგვცა თავისებური განმარტებები საზოგადოების რაობის თაობაზე: თ. ჰობსი –საზოგადოებად მიიჩნევდა ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ ადამიანთა ჯგუფებს; ჯ. ლოკი – ხელშეკრულებით, შეთანხმებით გაერთიანებულ ადამიანებს; სოციოლოგიის მამა ო. კონტი – საზოგადოების ცნებაში სოციალური ორგანიზმის შემადგენელი ელემენტების ურთიერთქმედებას გულისხმობდა; ჰ. სპენსერი – ადამიანურ მიმართებათა მუდმივობას; ტარდის მიხედვით – საზოგადოება არის ადამიანთა ერთობლიობა, (რომლებიც ერთმანეთს ბაძავენ); ბიდენსის აზრით – საზოგადოება არის გვარის შეგნების მატარებელ ადამიანთა ჯგუფი; ზიმელის მიხედვით – საზოგადოებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანია ურთიერთქმედება; დიურკჰეიმის აზრით – საზოგადოება არის ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც მუდმივ ურთიერთობაში არიან; დიდი ქართველი სოციოლოგის მ. წერეთელის აზრით – საზოგადოებას ქმნის ადამიანთა მიზანშეწონილი საქმიანობა, მიმართული ერთიანი ძალით თავიანთი მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ.

საზოგადოების ცნების განსაზღვრისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავადგინოთ, თუ რამდენი ინდივიდის ერთობა შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებად. ინდივიდთა მცირე ჯგუფის გამოსახატავად არსებობს სამეგობროს, ოჯახის, ჯგუფის ცნებები. საზოგადოება კი უფრო მეტი შინაარსის მომცველი და მატარებელი ფენომენია, რომელსაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს ერთობის, მთლიანობის ნიშანი; იგი არ უნდა წარმოადგენდეს განცალკევებული ინდივიდების კრებულს, ე.ი. საზოგადოების პირველი ნიშანი გულისხმობს ადამიანთა გარკვეულ სიმრავლეს,

მეორე – მათ შორის აუცილებელ კავშირს, ურთიერთობას; მაგრამ ეს ნიშნები არ არის საკმარისი, რადგან ესენი სახეზე გვაქვს მგზავრობის დროსაც და სხვადასხვა ღონისძიებებზე მოსულ ხალხს შორის, მაგრამ მათ საზოგადოებას ვერ დავარქმევთ. მათი ერთადყოფნის დროს სიმცირის გამო (თუმცა, ზოგიერთი სოციოლოგი, მაგალითად, პ. სოროკინი – ადამიანთა ერთობის ასეთ ფორმას საზოგადოებად მიიჩნევს). ჰ. სპენსერი უარყოფს ასეთ მიდგომას, მან შემოიტანა დროის ფაქტორი; მაგალითად, ლექციის მოსასმენად თავშეყრილ ადამიანთა ერთობა, რომლებიც ლექციის შემდეგ იშლებიან, საზოგადოებად ვერ აღვიქვამთ, რადგან საზოგადოებას ახასიათებს მუდმივი კავშირი (თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებებიც), მაგალითად კოლინვუდი თვლის, რომ მცირე დროით თავშეყრილი ადამიანებიც შეიძლება ჩაითვალოს საზოგადოებად, მაგალითად, თეატრის ან კინოს დამსწრენი. მისი აზრით, არსებობს ორი ტიპის საზოგადოება: 1. დროებითი კავშირებით და 2. მუდმივი კავშირებით, რადგან მუდმივი არაფერია, ამიტომ დროებითი კავშირებით დაკავშირებული ადამიანები თავიანთი ინტერესებით იკრიბებიან – ზოგი ხანგრძლივად, ზოგი ხანმოკლე დროით; აქ დროს არა აქვს იმდენი მნიშვნელობა, როგორც გარკვეულ ინტერესს, მაგალითად, გარკვეული თემის ან პერიოდის შემსწავლელი საზოგადოება.

კოლინვუდის ეს პოზიცია არ უნდა იყოს მართებული, რადგან საზოგადოება აუცილებლად გულისხმობს დროში მყარ კავშირს და ორზე მეტ ადამიანთა ერთობას.

ჩაითვლება თუ არა ბრბო საზოგადოებად? სოციოლოგთა დიდი უმრავლესობა ბრბოს არ მიიჩნევს საზოგადოებად, რადგან ბრბოს არ გააჩნია საზოგადოების ორგანული ცნობიერი

სოციალური კავშირი. მათი ქმედება დამყარებულია ინსტინქტებზე აქვს მოუწესრიგებელი კავშირების ფორმა. საზოგადოება კი გულისხმობს ცნობიერ, მოწესრიგებული კავშირების სისტემას. ფრანკის აზრით – „ბრბო პიროვნებადაკარგულ ადამიანთა სიმრავლეა, საზოგადოება კი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანთა ერთობა"; ბრბოში ინდივიდუალობა და პიროვნულობა შთანთქმულია, იგი ჯოგური ცნობიერების მატარებელია საზოგადოება კი ცნობიერად წარმართავს თავის საქმიანობას. ადამიანთა ერთობა ვერ შედგება საზოგადოებად, თუ ისინი არ არიან თავისუფლები და არ აქვთ გაცნობიერებული თავისუფლების ფასი.

ამგვარად, საზოგადოება არ არის შემთხვევით თავმოყრილ ადამიანთა ერთობა, ასეთი საზოგადოება არის განსაზღვრული ბუნების მქონე თავიანთი ნებით, თითოეული თავისუფლად მოქმედი და, ამავე დროს, მათი ერთიანობის გამცნობიერებელ ადამიანთა ერთობაა, რომელთაც გააჩნიათ სოციალური ცნობიერება, რაც მათ ხდის საზოგადოებად, ე.ი. საზოგადოება არის ურთიერთდაკავშირებულ ადამიანთა სიმრავლე, რომელთაც ინდივიდუალური და სოციალური ცნობიერება აქვთ საერთო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ადამიანს თვითცნობიერება უფრო გვიან უყალიბდება, ვიდრე სხვათა ცნობიერება, ანუ სოციალური ცნობიერება. ზოგიერთი სოციოლოგი საზოგადოების ჩამოყალიბების ძირითად პირობად თვითცნობიერების წარმოშობას მიიჩნევს, ზოგი კი ცნობიერებისას; მაგრამ, მათ აერთიანებთ ის, რომ საზოგადოების ჩამოყალიბების საფუძვლად მაინც ცნობიერებას მიიჩნევენ.

ამგვარად, საზოგადოება არის ადამიანთა ისეთი ერთობა, რომელთაც გააჩნიათ მყარი ურთიერთქმედება ცნობიერების საფუძველზე. პ. სოროკინის მიხედვით – „საზოგადოება, როგორც სოციოლოგიის საგანი, გვაქვს მხოლოდ იქ, სადაც მოცემულია ინდივიდები ერთმანეთთან ურთიერთობით დაჯილდოებული ფსიქიკით, ერთმანეთთან ურთიერთქმედების პროცესებით". რადგან იქ, სადაც ურთიერთქმედება არ არის ფსიქიკური, ე.ი. არ არის ცნობიერება, არ ხდება იდეათა გაცვლა, არ არსებობს საზოგადოება.

ზოგიერთი სოციოლოგი არ ეთანხმება აღნიშნულ განსაზღვრებას და მიაჩნიათ, რომ საზოგადოების განსაზღვრება მეტი ნიშნების შემცველი უნდა იყოს; მაგალითად, შტამლერი და სხვები მიუთითებენ 7-ნიშანზე; მ. წერეთელი – 8-ზე, ეს ნიშნებია: 1. კულტურა, რომელიც საზოგადოების საფუძველია; 2. იდეალები და ღირებულებები; 3. მსოფლმხედველობა; 4. ეკონომიკა; 5. ხელოვნება; 6. რელიგია; 7. მორალურ-სამართლებრივი; პოლიტიკურ-გენეტიკური ცოდნა; 8. ენა.

ამგვარად, თუ აღნიშნულ ნიშნებს დავამატებთ, საზოგადოება შეიძლება განისაზღვროს: როგორც ისეთი მყარი ერთობა, რომელიც დაკავშირებულია ცნობიერების, კულტურის, იდეალების, ღირებულებების, მსოფლმხედველობისა და ენის საშუალებით; რომლებიც უნდა ახასიათებდეთ და გააჩნდეთ საზოგადოების თითოეულ წევრს და მთელ საზოგადოებას.

სმელზერისა და მარშის მიხედვით, საზოგადოების განსაზღვრისათვის 4-ნიშანია მნიშვნელოვანი: 1. მუდმივი ტერიტორია (იმიგრანტების გარეშე); 2. განვითარებული კულტურა; 3. პოლიტიკური დამოუკიდებლობა (კოლონიური

საზოგადოებები არ არიან ნამდვილი საზოგადოებები); 4. თავისუფლება.

ჩვენი აზრით, უფრო სწორია, როცა სოციოლოგები საზოგადოებას საზღვრავენ როგორც ადამიანთა ისტორიულ ან კულტურულ ერთობას, რომლის საფუძველზეც იგება ურთიერთობათა მთელი სისტემა.

არსებობს საზოგადოების ფართო და ვიწრო გაგება:

საზოგადოება ფართო გაგებით არის გარკვეული სოციალური სისტემა, ადამიანთა ურთიერთობის წესი და ურთიერთკავშირის ფორმათა ერთობლიობა, რომელშიც ვლინდება ადამიანთა ერთმანეთთან მრავალმხრივი დამოკიდებულება.

ვიწროდ გაგებული საზოგადოება არის ამა თუ იმ კონტინენტის, რეგიონის, სახელმწიფოს, ამა თუ იმ საუკუნის, ეპოქის, პერიოდის კონკრეტული საზოგადოება. ამ შემთხვევაში საზოგადოებას განსაზღვრავენ როგორც ურთიერთობის სტრუქტურულად ან გენეტიკურად განსაზღვრულ ტიპს, რომელიც ისტორიულად განსაზღვრული მთლიანობის ან ერთიანობის ერთ-ერთ ასპექტს ან მომენტს წარმოადგენს.

ადამიანი.

საზოგადოებას ქმნიან მხოლოდ ადამიანები, რომლის განსაზღვრება მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუკი საზოგადოების ბუნებიდან ამოვალთ.

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, ადამიანის რაობაზე ბევრ მოაზროვნეს აქვს თავისი აზრი გამოთქმული: არისტოტელეს მიხედვით, ადამიანი არის „პოლიტიკური ცხოველი", იგი ხაზს უსვამს ადამიანის სოციალურ ბუნებას; იტალიელი მოაზროვნის ჯ.

ვიკოს აზრით, „ადამიანად ყოფნა ნიშნავს საზოგადოებაში ცხოვრებას"; ფრანგი განმანათლებლების მიხედვით, „ადამიანები საზოგადოებრივი გარემოს პირმშონი არიან", „შრომა არის ადამიანის ცხოვრება" (ვოლტერი); ჰეგელისთვისაც „შრომა არის ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების მთავარი ნიშანი"; ბ. ფრანკლინის განსაზღვრებით – „ადამიანი არის იარაღის მაკეთებელი ცხოველი"; კ. მარქსის აზრით – „ადამიანი წარმოებით ურთიერთობაში მყოფი არსებაა".

არსებობს ადამიანის სხვაგვარი გაგებაც – რელიგიური. ნეოთომისტები ადამიანს განიხილავენ როგორც თვითმოქმედ სულიერ სუბსტანციას, რომლის საფუძველში დევს ღვთაებრივი ნება.

ეგზისტენციალისტებისათვის – ადამიანი თავისუფალი არსებაა, რომელიც არ არის განპირობებული ყოფიერებით – ობიექტური ვითარებით. მისი არსება განსაზღვრულია მისივე არჩევანით, შინაგანი ეგზისტენციით.

ამგვარად, ადამიანის არსების განსაზღვრებაში ძირითადად გვაქვს ორგვარი დამოკიდებულება: 1. – რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ადამიანის ბუნებას განსაზღვრავს საზოგადოებრივი ურთიერთობები; 2. – რომელიც ადამიანის არსებას მხოლოდ მის შინაგან სულიერ ცხოვრებაში ხედავს.

მართლაც, ადამიანის გაგება საზოგადოებიდან მოწყვეტით შეუძლებელი იქნება ისევე, როგორც საზოგადოების გაგება ადამიანის გარეშე, რადგან ადამიანი ბიო-სოციალური არსებაა, მაგრამ მისი რაობის განმსაზღვრელი მაინც სოციალურობაა. ბიოლოგიურობა მას აახლოებს ცხოველებთან, რომელიც შედარებით სტატიკურია, სოციალურობა კი აშორებს მასთან და

დინამიურია. მართალია, ადამიანსა და ცხოველს, მათ ანატომიურ და ფიზიოლოგიურ მონაცემებს შორის დიდი მსგავსებაა, როგორიცაა საჭმლის მომნელებელი, სისხლძარღვოვანი, სასუნთქი, ნერვული და სხვა სისტემები. მათ, ცხოველების მსგავსად, ახასიათებთ: შიმშილის, წყურვილის, გამრავლების, სიცივის, სითბოს, ტკივილის და სხვა გრძნობები. ორივეს გააჩნია გენეტიკური კოდი; მაგრამ, ასევე დიდია მათ შორის პრინციპული განსხვავებაც. ცხოველთა ქცევები განსაზღვრულია ბიოლოგიური კანონზომიერებებით. ისინი, გამონაკლისის გარეშე, იმეორებენ ერთი და იგივე ქცევებს; მათი ქცევები ინსტინქტურია. მართალია, ინსტინქტური ქცევები (250-ზე მეტი) ადამიანებსაც გააჩნიათ, მაგრამ ადამიანური ქცევები არსებითად განსხვავდება ცხოველურისაგან, რადგან იგი განსაზღვრულია ცნობიერებით.

ამგვარად, ადამიანი შეიძლება განისაზღვროს როგორც საზოგადოებრივი, სოციალურ კავშირ-ურთიერთობებში მყოფი გონიერი, მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შემქმნელი, კულტურული, თავისუფალი, თვითცნობიერების მქონე შემოქმედი არსება.

პიროვნების სტატუსი და როლი სოციალურ სტრუქტურაში.

პიროვნება სოციალური სტრუქტურის აუცილებელი ელემენტია, რისი გაცნობიერებაც მხოლოდ მე-20 საუკუნეში მოხდა. სოციალური სტრუქტურის კვლევა მჭიდროდ არის დაკავშირებული პიროვნების სტატუსთან, მის როლთან და ფუნქციასთან. პიროვნების კვლევის საკითხის წინ წამოწევაში დიდი წვლილი შეიტანეს ცნობილმა სოციოლოგებმა: ზიმელმა, მორენმა, ინკელმა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ პიროვნების ფაქტორის გათვალისწინება საზოგადოების სტრუქტურის

ცვალებადობაში აუცილებელია. პიროვნების მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სოციალური ცვალებადობის გაგება, რადგან პიროვნების ორი განსხვავებული მდგომარეობა საზოგადოების განსხვავებულ სტრუქტურას ქმნის.

ე. ფრომი აანალიზებს საზოგადოების ცვალებადობის კვალდაკვალ პიროვნების ცვალებადობას. გვიან შუასაუკუნეებში საზოგადოების ერთიანობა და ცენტრალიზაცია სუსტდება და შეინიშნება ინდივიდუალიზმის განვითარება, რომელიც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში საბოლოოდ მკვიდრდება.

ადამიანების საზოგადოებად ჩამოყალიბებას ინდივიდებს შორის ურთიერთობები განაპირობებს, ამიტომ სოციოლოგია პიროვნებისა და საზოგადოების კვლევითა და ანალიზით უნდა იყოს დაკავებული. სოციოლოგიამ უნდა გაარკვიოს, თუ როგორ ყალიბდება საზოგადოება ინდივიდებს, როგორ ქმნიან და გარდაქმნიან საზოგადოებას ინდივიდები, საერთოდ, როგორ ეხსახება ერთი მეორეში; როგორია პიროვნების ქცევა, მდგომარეობა, როლი, სტატუსი, ფუნქცია. ამდენად, საზოგადოებრივი სტრუქტურის განხილვა აუცილებლად მოითხოვს პიროვნების ანალიზს, მისი ძირითადი მახასიათებლების დადგენას, მისი სტატუსის განსაზღვრას, რომელიც მაქს ვებერიდან მოდის; როგორც იგი წერს, „ადამიანის სტატუსი არის ადამიანის მდგომარეობა სოციალურ გარემოში, მისი პოზიცია, ადგილი სოციალურ სტრუქტურაში, რასაც განსაზღვრავს მისი როლი და შესაძლებლობები სამოქმედო ასპარეზის ფარგლებში". სმელზერის მიხედვით, სოციალური სტატუსი დაკავშირებულია უფლებებთან და მოვალეობებთან, „ყოველ ადამიანს მრავალი პოზიცია აქვს საზოგადოებაში, ყოველ ამ სოციალურ პოზიციათაგან, რომელიც

გულისხმობს გარკვეულ უფლებებს და მოვალეობებს, სტატუსია". მორენის განსაზღვრებით, „სტატუსი განსხვავებით მისი მატარებელი პიროვნებისაგან, უფლებათა და მოვალეობათა ერთობლიობაა".

სტატუსი და პიროვნება ერთიდაიგივე არ არის. პიროვნებას შეიძლება რამდენიმე სტატუსი ჰქონდეს, თუმცა, ეს სიმრავლე არ არის ისეთივე ხასიათის, როგორიც როლია. როლები უფრო მეტია, ვიდრე სტატუსი, რადგან თითოეულ სტატუსში რამდენიმე როლი იგულისხმება. როლი სტატუსის დინამიკური ასპექტია, როცა ინდივიდი ახორციელებს უფლება-მოვალეობებს, ის როლს ასრულებს, მაგალითად მაშინ, როცა ის ოჯახის უფროსია და ეს მისი სტატუსია, მაგრამ ის, ამავე დროს, ასრულებს სხვადასხვა როლს – ერთ შემთხვევაში ის მეუღლეა, მეორეში – მშობელი და ა.შ., ე.ი. თითოეული სტატუსი რამდენიმე როლში ვლინდება. ერთი სტატუსი პიროვნებას არ ამოწურავს, მას შეიძლება რამდენიმე სტატუსი ჰქონდეს, ეს შეიძლება განისაზღვროს: ეთნიკური წაროშობით, მოქალაქეობით, ქონებით, მდგომარეობით და სხვა. სტატუსთა სიმრავლეში ყველა ერთნაირი მნიშვნელობის როდია, სოციალური სტატუსის განსაზღვრულობა ბევრად არის დამოკიდებული იმ სიტუაციაზე, რომელშიც ვცდილობთ სტატუსის დადგენას. პიროვნების სტსტუსის დადგენა, ასევე, დიდადაა დამოკიდებული პიროვნების თვისებებზე, მის კავშირთა სისტემაზე.

სტატუსი, ანუ სოციალური პოზიცია შეიძლება იყოს ორი სახის: 1. ის, რაც მიღებულია მემკვიდრეობით და მისით არ არის მოპოვებული; 2. ის, რაც მოპოვებულია თავისივე მიერ.

არსებობს მაღალი და დაბალი სტატუსი, რაც განისაზღვრება ძირითად ღირებულებათა სისტემით. სოციალური

ცვლილებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება სტატუსის აწევა და დაცემაც, რაც დამოკიდებულია ინდივიდზე და სოციალურ გარემოზე.

სტატუსითა და როლით ვგებულობთ საზოგადოების წევრთა იგივეობასა და განსხვავებას. სტატუსი და როლი სოციალური დიფერენციაციის ძირითადი მაჩვენებლებია. იგივეობრივი სტატუსი და როლები იძლევა ერთიან სოციალურ სტრუქტურას, განსხვავებული კი – განსხვავებულს.

ყოველი ინდივიდი გარკვეულ სტრუქტურას ეკუთვნის, ეს სტრუქტურები ორგვარია – კერძო და სოციალური, ანუ ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური; შესაბამისად არსებობს კვლევის ორი მეთოდი: ფსიქოდრამის და სოციოდრამის, რაც გულისხმობს, რომ ყოველი ინდივიდი და ინდივიდთა ჯგუფი ერთდროულად ეკუთვნის ფსიქოლოგიურ და სოციოლოგიურ სტრუქტურებს, რომელთა შორის დიფერენციაცია არსებობს. საზოგადოების კვლევა ნიშნავს ამ ჯგუფებისა და შესაბამისი სტრუქტურების დადგენას. ამის გაკეთებას კი რამდენიმე მეცნიერება ცდილობს, როგორიცაა სოციალური ფსიქოლოგია, ანთროპოლოგია და, რა თქმა უნდა, სოციოლოგია.

3.2. საზოგადოების არსებობის, ცვალებადობისა და განვითარების ფაქტორები

ზოგადი სოციოლოგიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, გაარკვიოს, თუ რა ფაქტორები განსაზღვრავენ ნებისმიერი საზოგადოების არსებობას, მის

ცვალებადობასა და განვითარებას, რაც დამოკიდებულია მთელ რიგ ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებზე, როგორიც არის:

1. ბუნებრივი გარემო, ანუ გეოგრაფიული ფაქტორი;
2. ხალხთ-მოსახლეობის ანუ დემოგრაფიული ფაქტორი;
3. შრომის ანუ ეკონომიკური ფაქტორი;
4. გონებრივი მოღვაწეობის ანუ სულიერი ფაქტორი.

ძირითადად, სწორედ ეს ფაქტორები ქმნიან საფუძველს საზოგადოების არსებობისა და ცვალებადობა-განვითარებისათვის.

1. ბუნებრივი გარემო და მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

ადამიანი და საზოგადოება განუყრელად არის დაკავშირებული ბუნებასთან; რომელიც წარმოდგენილია თავისი ფლორითა და ფაუნით, ჰაერით, წყლით, კვების პროდუქტებით, წიაღისეული სიმდიდრეებით და ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი სხვა საშუალებებით.

ადამიანი ბუნებაზე გაბატონებული ერთადერთი უნიკალური არსებაა, რომელსაც შეუძლია შეცვალოს გარემომცველი სამყარო თავისი ინტერესების შესაბამისად; ამიტომ, ადამიანი და საზოგადოება ყოველთვის ბუნებრივ საფუძვლებს ემყარება და მასზე დიდად არის დამოკიდებული.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ბუნებრივ გარემოს ორ ნაწილად ჰქოფენ: 1. საარსებო საშუალებებით მდიდარი გარემო და 2. შრომის საშუალებებით მდიდარი გარემო (წიაღისეული და სხვ.). პირველს ადამიანისათვის უშუალოდ საარსებო საშუალებათა ღირებულება გააჩნია და კვლავწარმოებადია; მე-2 კი შრომის საშუალებებით ემსახურება ადამიანებს და, ძირითადად,

ადუდგენელია. აღნიშნული გარემოებებისადმი დამოკიდებულება საზოგადოების განვითარების ისტორიაში სხვადასხვაგვარი იყო. პირველად ადამიანი ინტენსიურად იყენებდა საარსებო საშუალებით მდიდარ ბუნებას, რაც მზამზარეულად იყო მოცემული, ხოლო შემდგომში საწარმოო ძალთა განვითარების კვალობაზე მათ სულ უფრო მეტად ისწავლეს შრომის საშუალებებით მდიდარი ბუნების გამოყენება და ათვისება.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ორივე სახეობის ბუნებრივი რესურსები დედამიწაზე არათანაბრად არის განლაგებული. ამასთანავე, დედამიწის მთელი რიგი რეგიონები, სადაც მოსახლეობაა განსხვავებული, განსხვავდებიან, აგრეთვე: გეოგრაფიული გარემოთი, ჰავით, კლიმატით და სხვა ბუნებრივი პირობებით, რომლებიც ერთი ზონის ქვეყნებშიაც კი არ არის ზოგჯერ მსგავსი, რაც სხვადასხვა მდგომარეობაში აყენებს აქ მცხოვრებელ ხალხს და უქმნის მათ შრომისა და ცხოვრების განსხვავებულ პირობებს.

სოციოლოგებმა ამ პრობლემას, იმთავითვე, მიაქციეს ყურადღება და ცდილობდნენ, გაეცათ პასუხი კითხვებზე, თუ რა როლს ასრულებს ბუნებრივი გარემო საზოგადოების ცხოვრებაში და რა გავლენას ახდენს იგი ადამიანთა ცხოვრება-განვითარებაზე.

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ გარემომცველი ბუნება, იმთავითვე, განსაზღვრავს ადამიანის სამეურნეო საქმიანობას; შესაბამის ტერიტორიაზე ადამიანთა განსახლებასა და გამრავლებას; შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას; სპეციალიზაციას; საზოაგადოების განვითარების ეკონომიკურ დონეს; ადამიანთა შრომის ნაყოფიერებას. ბუნებრივ პირობებზე

ბევრად არის დამოკიდებული მოსავლიანობა. სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში მყოფ ქვეყნებში, ერთი და იგივე ტექნიკური პირობებისა და ერთი და იმავე შრომის დახარჯვის დროს სრულიად განსხვავებული შედეგები ფიქსირდება.

აშკარად მომგებიან პოზიციებშია ქვეყნები, რომლებსაც ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა აქვთ და გააჩნიათ წიაღისეული (ლითონი, ქვანახშირი, ნავთობი, გაზი და ა.შ. საბადოები); ანდა, თუ აქვთ: საზღვაო, სამდინარო, სახმელეთო გზები და სხვა კავშირების დამყარების საშუალებები. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ბუნებრივი ზღუდეებით (მთები, უდაბნოები, ჭაობები, გაუვალი ტყეები) შემოზღუდული ქვეყნები, ერთის მხრივ, მომგებიან პოზიციაში არიან თავდაცვისა და თვითსაკმარი განვითარების თვალსაზრისით, მაგრამ, მეორეს მხრივ, ეს ბუნებრივი ზღუდეები ხელს უშლის მათ ცივილიზაციასთან კავშირში; ამ შეზღუდულობის გამო, ფერხდება მათი ეკონომიკური განვითარება. ამასთან დაკავშირებით, სოციოლოგები უფრო შორს მიდიან და ამტკიცებენ რომ ბუნებრივ გარემოზე ბევრად არის დამოკიდებული თვით სახელმწიფოებრივი მართვის სისტემის ფორმირება. კერძოდ, იმ ქვეყნებში, სადაც ბუნებრივი „ჯავშანია" შექმნილი, გაროულებული იყო დაპყრობითი ომების წარმოება და შესაბამისად, დაცულ პირობებში ცხოვრებამ განაპირობა მმართველობის დემოკრატიული ფორმების დამკვიდრება; ხოლო, ის ქვეყნები, რომლებიც მოკლებულნი არიან ბუნებრივ დამცავ საზღვრებს, ადამიანები მხოლოდ თავიანთი თავის იმედად რჩებოდნენ; შესაბამისად, სჭირდებოდათ მეტი ორგანიზება და ძალისხმევა თავის დასაცავად; ეს კი მკაცრ მორჩილებასა და დისციპლინას მოითხოვდა; ამიტომ, ასეთ სახელმწიფოებში

მმართველობის დესპოტური და აბსოლუტური ფორმები ფორმირდება.

ბუნებრივი გარემოს როლი უნდა შეფასდეს კონკრეტული ისტორიული ვითარების, გარკვეული ეპოქის გათვალისწინებით. სოციოლოგიაში არსებობს მიმართულება, რომელიც ბუნებრივ პირობებს საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს.

ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული, პლატონის, არისტოტელეს, ჰიპოკრატეს მიხედვით, ბუნებრივი ფაქტორი განმსაზღვრელ გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე, მათ ზნეჩვეულებაზე, საქმიანობაზე, ხასიათზე და ა.შ. მაგალითად, არისტოტელე აღნიშნავდა, რომ ჩრდილო ევროპის ცივი ზონა ამ ადგილის ხალხებს უნვითარებს დიდ სიმამაცეს, მაგრამ არა ძლიერ გონებასა და გამჭრიახობას; მათ არ გააჩნიათ პოლიტიკური ცხოვრება, არ შეუძლიათ სხვა ხალხებზე ბატონობა, თუმცა, აქვთ დამოუკიდებლობის შენარჩუნების უნარი. აზიის ცხელი ქვეყნების ხალხები კი საკმაოდ გონიერნი არიან და არა მამაცნი, ამიტომ ადვილად დამორჩილებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. ელინები კი ზომიერი კლიმატის პირობებში ცხოვრობენ და ამიტომ ფლობენ ორივეს – სიმამაცესაც და გონიერებასაც, აქვთ ღირსების გრძნობაც, დამოუკიდებლობაც და სხვაზე ბატონობის უნარიც. ეს ფაქტორი შეუსაბამებს შემდგომი დროის მოაზროვნეებიც აკეთებდნენ.

კაპიტალიზმის საწყის პერიოდში განსაკუთრებით გამოიკვეთა ბუნებრივი ფაქტორის მნიშვნელობა და ამ პერიოდში ჩამოყალიბდა გეოგრაფიული მიმართულება სოციოლოგიაში, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელია ფრანგი განმანათლებელი შარლ მონტესკიე. იგი თავის წიგნში „კანონთა

გონი“ წერს: „კლიმატის ძალა ყოველგვარ ძალას აღემატება“. მისი აზრით, სამხრეთის ხალხები განწირულნი არიან მონობისთვის ვინაიდან ცხელი კლიმატი უმოქმედობის, სიზარმაცის, უძლურობის მერყეობის საფუძველია, ხოლო ჩრდილოეთის ზომიერი კლიმატი სიცოცხლისუნარიანობას, აქტიურ მოქმედებას, სიმამაცეს, მხნეობას უყალიბებს ადამიანებს. ამავე მიმართულების წარმომადგენელია ინგლისელი თომას ბოკლი, რომლის მიხედვითაც მატერიალური და სულიერი განვითარების განმსაზღვრელი არა მხოლოდ კლიმატია, არამედ ლანდშაფტის თავისებურებებიც. ბუნების სხვადასხვა მოვლენებმა: მიწისძვრებმა, ვულკანებმა, ქარიშხლებმა და სხვა კატაკლიზმებმა ადამიანებში განავითარა წარმოსახვის უნარი, მუდმივი შიში, მოუსვენარი განწყობა; ხოლო, იმ ქვეყნებში სადაც დამანგრეველი სტიქიები იშვიათია, განვითარდა ლოგიკური აზროვნება და მეცნიერება.

გეოგრაფიული მიმართულების რუსი წარმომადგენლების სოლოვიოვის და მეჩნიკოვის აზრით, ამა თუ იმ ქვეყნის სახელმწიფოებრივ წყობასა და ცხოვრების წესს გეოგრაფიული მდებარეობა განხაზღვრავს. მთიან ადგილებში მაცხოვრებლებს გარანტირებული აქვთ დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ლანდშაფტის შესაბამისად მათ უყალიბდებათ ეროვნული ხასიათი. მათგან განსხვავებით, ბარისა და ველის ხალხებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ნაკლები პირობები გააჩნიათ.

სოლოვიოვი ბუნებრივი პირობებით ამართლებდა აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში ფეოდალური აბსოლუტური მონარქიული წყობილების ხანგრძლივ არსებობას, რადგან ისინი ბუნებრივად ნაკლებად დაცულნი იყვნენ.

მეჩნიკოვი კი უმთავრეს როლს, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში, ზღვებს, მდინარეებს და ოკეანეებს ანიჭებს, რადგან ისინი ადამიანებს ერთმანეთს კი არ აშორებს, არამედ აკავშირებს. სწორედ სამდინარო და საზღვაო გზების წყალობით იქმნება ცივილიზაციები (ნილოსის, ტიგროსისა და ევფრატის, ინდისა და განგის და ა.შ.). საზღვაო ეპოქა ფინიკიელებმა დაიწყეს, ბერძნებმა და რომაელებმა განაგრძეს, რაც ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციას უკავშირდება. შემდეგ კაცობრიობა საოკეანო ეპოქაში შევიდა, მოხდა გეოგრაფიული აღმოჩენები, რამაც ევროპელებს მიმოსვლა, ვაჭრობა და სხვა ურთიერთობები. თუ წინა ეპოქა დესპოტიზმით ხასიათდება, მეორე – საოკეანო ეპოქა ადამიანთა ხალხების დაახლოების, ურთიერთგაცნობის, ურთიერთდამოკიდებულებისა და სოლიდარობის ეპოქად წარმოგვიდგება.

XX საუკუნეში, გეოგრაფიულ მიმართულებას ახალი ნაკადი ეცემა და „გეოპოლიტიკად“ ჩამოყალიბდა. რ. ჩელენის, ფ. რატცელის და ჰაუზხოფერის აზრით, გეოპოლიტიკა (მიწის პოლიტიკა) გადამწყვეტი ფაქტორია სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ ისინი ვერ იძლევიან დამაჯერებელ პასუხს მთავარ კითხვებზე: თუ საზოგადოების ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და ყველაფერი დანარჩენი განსაზღვრულია გეოგრაფიული გარემოთი, მაშინ რითი აიხსნება ის ფაქტები, რომ: 1. ბუნებრივი პირობებით ერთმანეთისაგან განსხვავებული ქვეყნები ერთტიპიურია და უფრო მეტიც, ბუნებრივი გარემოთი მსგავს ქვეყნებში თვისობრივად განსხვავებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური წყობილებები არსებობს? 2. რატომ არის, რომ ხეგერთ ქვეყანაში ბუნებრივი პირობები და გეოპოლიტიკა

ხშირად უცვლელია, მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირეული გარდაქმნები მაინც ხდება? როცა ბუნებრივი გარდაქმნები – ნელა, ხოლო საზოგადოებაში ცვლილებები სწრაფად მიმდინარეობს?

საქმე იმაშია, რომ გეოპოლიტიკის მეცნიერები ხშირად უგულველყოფენ შინაგანი ფაქტორების მნიშვნელობას. რა თქმა უნდა, საზოგადოების განვითარებაზე ბუნებრივი ფაქტორები დიდ გავლენას ახდენენ, მაგრამ ისინი საზოგადოებრივი ცვლილებების პროცესში, საზოგადოებაში მოქმედი შინაგანი ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად, უშუალოდ ჩართულები არ არიან, მაგრამ გაშუალებულად ზემოქმედებენ საზოგადოების განვითარებაზე. ამგვარად, ბუნებრივი პირობები დიდ გავლენას ახდენენ საზოგადოების ცვალებადობა-განვითარებაზე. ბუნებრივი პირობები ართულებენ ან ამსუბუქებენ სამეურნეო საქმიანობას, საერთოდ, ადამიანთა ცხოვრებას და, ამდენად, ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორია საზოგადოებრივი განვითარების დონის განსაზღვრისათვის; მაგრამ, საზოგადოება მთლიანად როდია დამოკიდებული გარემო პირობებზე, მითუმეტეს თანამედროვე პერიოდში. ტექნიკური ხანის პირობებში შესაძლებელი ხდება არასასურველი ბუნებრივი მოვლენებისა და პროცესების გარკვეულწილად მართვა. ადამიანებს შეუძლიათ, შექმნან მათთვის სასურველი მიკროკლიმატი, თავიდან აიცილონ მეტისმეტი სიცხე და სიცივე, წარმატებით შეინახონ მალფუჭადი პროდუქტები ტემპერატურის რეგულირებით; შეუძლიათ მაღალი მოსავლის მიღება მწირ ნიადაგებზე; ქმნიან მძლავრ საირიგაციო სისტემებს და ა.შ. – თავიდან იცილებენ არასასურველ ბუნებრივ ზეგავლენებს, მაგრამ მათი საერთოდ მოხსნა შეუძლებელია. ამიტომ, სოციოლოგიაში კეთდება დასკვნა, რომ ბუნებრივი

გარემოს ზემოქმედება დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების ცხოვრებაზე, მის ცვალებადობა-განვითარებაზე. ბუნებრივ გარემოს შეუძლია, დააჩქაროს ან შეანელოს საზოგადოების განვითარების პროცესი და სწორედ ამაში მდგომარეობს ზოგადი სოციოლოგიის კანონის არსი.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გარემომცველი ბუნებაც იცვლება; განსაკუთრებით ეს ცვლილებები გამოიკვეთა თანამედროვე პერიოდში, ადამიანების ბუნებაში აქტიური ჩარევის გამო. ადამიანებმა შეუცვალეს ადგილსამყოფელი ფლორასა და ფაუნას, წიაღიდან ამოზიდეს და ამოქაჩეს მთელი რიგი ნედლეული, გაასწორეს მთა და ბარი, გაიყვანეს სარწყავი არხები, შექმნეს ხელოვნური წყალსაცავები და ზღვები, მიმართულება შეუცვალეს მდინარეებს, გაიჭრნენ კოსმოსში და ყველაფერ ამას, უამრავ სიკეთესთან ერთად, თან სდევს შემაშფოთებელი შედეგები. ადამიანები ხელოვნურად ცვლიან ბუნებრივ პირობებს, ხოლო შეცვლილ გარემოს შეუძლია დამღუპველი უკუზემოქმედების მოხდენა, ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევა.

ინდუსტრიული საზოგადოების პერიოდიდან განსამაგებულად დაჩქარდა გარემოზე ზემოქმედება, საზოგადოება მოექცა მოჯადოებულ წრეში – ბუნებრივ რესურსებს მაქსიმალურად თუ არ გამოიყენებს, ვერ დააკმაყოფილებს საზოგადოების გაზრდილ მოთხოვნებს; გაზრდილი მოთხოვნები კი აუცილებლობით ითხოვენ ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურ გამოყენებას. ამას ემატება, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობრივ ზრდასთან ერთად, მათი მოთხოვნილებების განუხრელი ზრდა.

ინდუსტრიალიზაციის პერიოდიდან მოყოლებული, განსაკუთრებით გამწვავდა ეკოლოგიური პრობლემები. ყოველწლიურად, ატმოსფეროში იფრქვევა 145 მლნ. ტონა გოგირდის ორჟანგი, 250 მლნ. ტონა მტვერი, 70 მლნ. კუბ. მეტრი მავნე აირი, 1 მილიონი ტონა ტყვიის შენაერთები, მსოფლიო წყლებში ჩაედინება 32 მლნ. კუბ. მეტრი გაუწმენდავი სამრეწველო ნარჩენები და ა.შ.

უარყოფითად იცვლება დედამიწის ტემპერატურული რეჟიმი. წვის შედეგად გამოყოფილი ნახშირორჟანგი გროვდება ატმოსფეროში, რაც იწვევს გლობალურ დათბობას; ამის გამო, ინტენსიურად ხდება ყინულოვანი საფარის დნობა, შესაბამისად, ოკეანეებისა და ზღვების დონის მატება; პლანეტაზე გაჩნდა ოზონის ხვრელები; სწრაფი ტემპით მცირდება აღუდგენელი ბუნებრივი რესურსები, რომლებიც, სპეციალისტების გამოთვლებით, ინტენსიური გამოყენების პირობებში, 60-ოდე წელს თუ იქნება საკმარისი. გროვდება ისეთი ნარჩენები, რომლებიც არ ექვემდებარება მეორად გადამუშავებას; მინერალური სასუქების, შხამქიმიკატების გადაჭარბებულმა გამოყენბამ შეიძლება იმ ზომამდე დაარღვიოს ეკოლოგიური თანასწორობა, რომ აუნაზღაურებელი იანი მიაყენოს საზოგადოებას, რისკის ქვეშ დააყენოს სიცოცხლის არსებობა პლანეტაზე.

ბუნების დაცვა არ არის მხოლოდ შიგა სახელმწიფოებრივი პრობლემა; იგი მოითხოვს გლობალური მასშტაბის ღონისძიებებს. ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ ზემოქმედება ბუნებაზე არ გასცდეს დასაშვებ ნორმებს.

სწორედ ამ პრობლემებმა – ბუნების დაცვა-შენარჩუნების, მისი კანონზომიერების შესწავლისა და მეცნიერული

რეკომენდაციების საჭიროებამ, წარმოშვა სოციოლოგიის ახალი დარგი სოციალური ეკოლოგია, რომელიც თანდათან მეტ აქტუალობას იძენს თანამედროვე პერიოდში.

2. მოსახლეობის როლი საზოგადოების ცხოვრებაში.

ბუნებრივი გარემო არ არის საზოგადოების არსებობისა და განვითარების ერთადერთი ფაქტორი. მოსახლეობის სიდიდესა და სიმჭიდროვეს, ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოების ნორმალურად განვითარებისათვის.

ნებისმიერი ქვეყნის მოსახლეობის სიდიდე დგინდება მის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების საერთო რიცხვით. რაც შეეხება სიმჭიდროვეს, იგი იზომება მცხოვრებთა რაოდენობით, რომელიც საშუალოდ მოდის ქვეყნის ტერიტორიის ერთ კვადრატულ კილომეტრზე.

ქვეყნები, როგორც წესი, ერთმანეთისგან განსხვავდებიან ტერიტორიის სიდიდით, მოსახლეობის რაოდენობითა და სიმჭიდროვით. მოსახლეობის სიმჭიდროვე განსხვავებულია ერთი ქვეყნის შიგნითაც. მაგალითად, თითქმის მთელი გასული საუკუნის მანძილზე, დასავლეთი საქართველო გაცილებით მჭიდროდ იყო დასახლებული, ვიდრე აღმოსავლეთი; მაგრამ, ეს თანაფარდობა 1989 წლიდან შეიცვალა და, ამჟამად, დასავლეთ საქართველოში 1 კმ. კმ.-ზე მოდის 73,2 მცხოვრები, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში – 82,7 მცხოვრები.

ზოგადი სოციოლოგია არკვევს, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ფაქტორს საზოგადოების ცხოვრებაში და რა როლს ასრულებს მისი სიდიდე და სიმჭიდროვე საზოგადოების განვითარებაში. როცა მოსახლეობის სიმჭიდროვე ზღვარს გადააჭარბებს, მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება

რთულდება და საზოგადოების განვითარების ტემპები კლებულობს. ასევე, არასასურველია და განვითარების შემაფერხებლად გვევლინება ზომაზე ნაკლები სიმჭიდროვე, რადგან ეფექტურად და სრულად ვერ ხერხდება შედარებით დიდი ტერიტორიების ათვისება და ოპტიმალურად გამოყენება ძალების უკმარისობის გამო. როცა მოსახლეობის სიმჭიდროვე და მისი ზრდის ტემპი ეკონომიკური განვითარების რეალურ შესაძლებლობებს ემთხვევა და მისგან გამომდინარეობს, მაშინ გვევლინება იგი საზოგადოების განვითარების ხელშემწყობ ფაქტორად.

ცნობილია, რომ ქვეყნის სოციალ-პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრება, გარკვეულწილად დამოკიდებულია მისივე მოსახლეობის სტრუქტურულ შემადგენლობაზე. XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, ყალიბდება სოციოლოგიის ახალი დარგი, როგორიცაა სოციალური დემოგრაფია, რომელიც მოსახლეობის დემოგრაფიულ ცვლილებებს და კანონზომიერებებს შეისწავლის; არკვევს დემოკრატიული პროცესების კავშირს ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა ფაქტორებთან.

საერთოდ, მოსახლეობა იყოფა სტრუქტურულად: ასაკობრივი, სქესობრივი, ეთნიკური, კლასობრივი, საგანმანათლებლო, პროფესიული და სხვა ნიშნებით, რასაც დემოგრაფიულ სტრუქტურას უწოდებენ.

სოციოლოგიაში დადგენილია დემოგრაფიული ფაქტორის (შობადობის ზრდის ან კლების, მოსახლეობის ასაკობრივი და სქესობრივი შემადგენლობის, ტერიტორიული განაწილების, დასაქმების, პროფესიული სტრუქტურის და სხვ.) პირდაპირი

[illegible] ცხოვრების ყველა სფეროსთან. სოციოლოგიაში, აგრეთვე [illegible] ის ფაქტი, რომ ეკონომიკური, სოციალ-პოლიტიკური [illegible], რელიგიური და სხვა ფაქტორები უკუზემოქმედებას [illegible] შობადობის და გამრავლების ფაქტზე; მაგალითად [illegible] ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც ცხოვრების მაღალი [illegible], შობადობა გაცილებით დაბალია, ვიდრე ეკონომიკურად [illegible] ქვეყნებში; ოჯახებს, რომლებსაც აქვთ მაღალი [illegible] სტატუსი, თავს იკავებენ [illegible]ილიანობისაგან. შავკანიანები მრავალშვილიანობით [illegible]; აზიელები – განსხვავებით ევროპელებისაგან; [illegible] მიხედვით მუსულმანები – ქრისტიანებისაგან; [illegible] – ებრაელებისაგან; [illegible] – კათოლიკეებისაგან; კათოლიკეები – [illegible]ტანტებისაგან. მსგავსი ფაქტები იმის დამადასტურებელია [illegible] მოსახლეობის შობადობის დონე დამოკიდებულია [illegible]-სტრატიფიკაციულ, რელიგიურ, ეთნიკურ და ა.შ. [illegible]ებზე.

როცა ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობა, მისი მატების [illegible] ნაკარნახებია რეალური, ობიექტური [illegible]ებიდან და შესაძლებლობებიდან, მაშინ ეს ფაქტორი [illegible] საზოგადოების პროგრესულად განვითარების ხელშემწყობი იქნება [illegible] თუკი არა, მაშინ – შემაფერხებელი.

ამგვარად, მოსახლეობის რიცხვი, სიმჭიდროვე და [illegible] სტრუქტურა საზოგადოების განვითარებისათვის [illegible] ფაქტორია, მაგრამ არა განმსაზღვრელი. იგი [illegible] საზოგადოების არსებობისა და ცვალებადობის არსებით პირობას [illegible] და საზოგადოების განვითარების პროცესში [illegible]-ისტორიულად უნდა განისაზღვროს.

სოციალურ დემოგრაფიაში არსებობს ორი მიმართულება:

1. მიმართულების წარმომადგენლები: უ. პეტი, ჰ. სპენსერი, მ. კოვალსკი და სხვები ამტკიცებენ, რომ საზოგადოებრივი პროგრესი მთლიანად მოსახლეობის ზრდაზეა დამოკიდებული, რომ მხოლოდ მოსახლეობის მატება აიძულებთ ადამიანებს, აწარმოონ მეტი, სრულჰყონ ცხოვრების პირობები; „მოსახლეობის მატება ეკონომიკური ევოლუციის მთავარი მამოძრავებელია" (მ. კოვალსკი, 1851-1916 წწ.).

2. მიმართულების ფუძემდებელი ტ. მალთუსი და მისი მიმდევრები კი ამტკიცებენ, რომ სწორედ მოსახლეობის ზრდა წარმოადგენს საზოგადოების წინსვლის დამამუხრუჭებელს. უფრო მეტიც, იგი არის ყოველგვარი სოციალური უბედურების გამომწვევი მიზეზი. მალთუსი თავის წიგნში – „გამოკვლევა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ" (1798 წ.) წერს, რომ მოსახლეობის ზრდას სიკეთე არ მოაქვს. მოსახლეობა იმდენად სწრაფად მრავლდება, რომ იგი დიდად უსწრებს წინ საარსებო საშუალებების ოდენობას. მოსახლეობის ბუნებრივ მატებასა და საარსებო პირობებს შორის ზრდის ტემპი არ შეესაბამებიან ერთმანეთს. მოსახლეობის ზრდის ტემპი „გეომეტრიული პროგრესიით" იზრდება, ხოლო საარსებო საშუალებების – „არითმეტიკული პროგრესიით". ასეთ პირობებში კი აზრი ეკარგება საარსებო საშუალებათა გადიდებას, რადგან ამას მომხმარებელთა რიცხვის გეომეტრიული ზრდა მოჰყვება. ეს შეუსაბამობა კი უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ასეთ ვითარებაში, მალთუსის აზრით, გამოსავალი იმაშია, რომ ადამიანებმა თავი უნდა შეიკავონ გამრავლებისაგან, უნდა მოხდეს ქორწინების რეგლამენტაცია, ნებადართულ უნდა

იქნეს მხოლოდ გვიანი ქორწინება; ამასთანავე, მოსახლეობის შემცირებას ხელს უწყობს შიმშილობები, სტიქიური უბედურებები, ომები, ავადმყოფობები და მოსახლეობის შემცირების სხვა საშუალებები.

უნდა ითქვას, რომ მცდარი და რეაქციულია მალთუსის ეს ერთი არგუმენტი და მიუღებელია იმის გამო, რომ იგი ვერ ხედავს ამ ანტაგონიზმს არ უწევს საარსებო საშუალებათა ზრდის ტემპების ფარგლების შესაძლებლობას, ტექნიკური და გამოუყენებელი რესურსების ათვისების ხარჯზე, რომელიც შემდგომში რეალურად ხდება, საარსებო საშუალებათა მოცულობის ზრდის წყარო პრაქტიკულად წინ უსწრებს მოსახლეობის გამრავლების ტემპებს, ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც გაცილებით მეტი პროდუქცია იწარმოება, ვიდრე ის საჭიროა ქვეყნის მოსახლეობისათვის.

ჭარბი მოსახლეობის შექმნისა და ზრდის წესი, რომელიც მალთუსმა საყოველთაო წესად წარმოადგინა, მხოლოდ კაპიტალიზმის ეპოქაში იწყებს მოქმედებას. იგი მართალია მოქმედებს, მაგრამ არა ყოველთვის და ყველგან. ის არ მოქმედებს არცერთ სხვა ფორმაციაში, გარდა კაპიტალისტურისა.

მალთუსის თეორია, იმთავითვე, იქცა აზრთა სხვაობისა და დავის საგნად. გაჩნდნენ მისი მიმდევრები, ე/წოდებული ნეომალთუსიანელები: უ. ტომპსონი, ე. ისტი, ფოგტი, ტეილორი და სხვები.

მალთუსსა და ნეომალთუსიანელებს შორის განსხვავება, უმთავრესად, მსოფლიო მოსახლეობის შემცირების გზებსა და საშუალებებს ეხება. ერთ-ერთი მალთუსიანელი სამხედრო ტექნიკური საშუალებებითაც კი ფიქრობდა დემოგრაფიის რეგულირებას (ხალხის გაწყვეტის გზით).

ნეომალთუსიანელების აზრით, არ შეიძლება განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია, რადგან ინდუსტრიალიზაციის გზით საარსებო საშუალებების მკვეთრი ზრდა გამოიწვევს მოსახლეობის სწრაფ გამრავლებას.

ნეომალთუსიანელებში არიან რასისტებიც: გობინო, ლიაპუჟი, გრანტი, ნოტი და სხვები, რომლებიც თავიანთი რასის განდიდებისა და სხვათა დამცირების ხარჯზე ფიქრობენ, წესრიგი დაამყარონ დემოგრაფიაში. შემცირება და შევიწროება არ ეხება მხოლოდ გამორჩეულ და საუკეთესო ერებს.

ყველა ამ დემოგრაფიული მიმართულების მოაზროვნეებს მიაჩნიათ, რომ დემოგრაფიული ფაქტორი განმსაზღვრელია ყველა დანარჩენისა, რაც არასწორია. მართალია, მოსახლეობის როლს, მის სიმჭიდროვეს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა განმსაზღვრელი; პირიქით, იგი თვითონ არის განსაზღვრული ეკონომიკური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრებით. მაგალითად, ეკონომიკური კრიზისი, სოციალური მდგომარეობის გაუარესება, პოლიტიკური არასტაბილურობა, უმუშევრობა და სხვა ნეგატიური მოვლენები უარყოფით გავლენას ახდენენ შობადობასა და გამრავლებაზე.

მართალია, ეთმნიშვნელოვნად არ დასტურდება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური დონის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი მოსახლეობის სიდიდესთან და სიმჭიდროვესთან (მაგალითად: ბანგლადეში, ინდოეთი, ჩინეთი და სხვ.) და არც დაბალი სიმჭიდროვის ქვეყნებთან (რუსეთი, მონღოლეთი და სხვ.), რომ ისინი მაინცდამაინც მაღალგანვითარებულნი იყვნენ. არც მოსახლეობის მეტ-ნაკლები თანაბარი სიდიდე და სიმჭიდროვე გვაძლევს იმ დასკვნების

გაკეთების უფლებას, რომ ეს ქვეყნები არ განსხვავდებიან განვითარების დონით; მაგალითად, საქართველო თითქმის არ განსხვავდება მოსახლეობის სიდიდითა და სიმჭიდროვით დანიის, ფინეთის, ნორვეგიის და შვეიცარიისაგან, მაგრამ განვითარების დონით ბევრად ჩამორჩება მათ. პირიქით, არც თუ იშვიათია ერთტიპური საზოგადოებრივი წყობილების ქვეყნები, რომლებშიც თითქმის თანაბარი ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური განვითარების დონეა, მაგრამ ისინი ძალიან განსხვავებულნი არიან ერთმანეთისაგან მოსახლეობის სიდიდითა და სიმჭიდროვით.

ფაქტია, რომ მსოფლიო მოსახლეობის ზრდა განსაკუთრებით აჩქარდა კაპიტალიზმის პერიოდში. ათი საუკუნის წინ, დედამიწაზე დაახლოებით 300 მილიონი კაცი ცხოვრობდა. 1850 წელს კი მოსახლეობამ 1 მილიარდი შეადგინა. 1-მილიარდიდან 2-მილიარდამდე ზრდას დასჭირდა 80 წელი; ხოლო 2-მილიარდიდან 3-მილიარდამდე ასვლას – 30 წელი (1930-1960 წწ.); 3-დან 4-მდე – 16 წელი (1960-1976 წწ.); 4-დან 5-მდე – 11 წელი. ამჟამად, მსოფლიო მოსახლეობა ყოველ წუთში 172 კაცით იზრდება; ყოველდღიურად – 250 ათასით; ყოველწლიურად კი – 90 მილიონით. დემოგრაფების პროგნოზით 2025 წელს დედამიწაზე იცხოვრებს 8,5 მილიარდი ადამიანი. ასეთი ზრდის ტემპების გათვალისწინებით უხდება კაცობრიობას სახალხო მეურნეობის პრობლემების დაგეგმვა და გადაჭრა.

თანამედროვე დემოგრაფიული პრობლემებიდან განსაკუთრებით მნიშველოვანია: 1. დაიტევს თუ არა დედამიწა უეჭველად მზარდ მოსახლეობას და შესაძლებელი იქნება თუ არა ადამიანთა ამ უზარმაზარი მასების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. 2. კაცობრიობას ძალიან

აინტერესებს მსოფლიო მოსახლეობის „დაბერების“ ფაქტი რომელიც იწყება XX საუკუნის 50-იანი წლებიდან. იმ პერიოდისათვის მსოფლიო მოსახლეობის 60 წლამდე გარდაცვლილთა რიცხვი 7,7% იყო; 2000 წლისათვის კი – 11% გაიზარდა.

პარალელურად, მატულობს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, რაც ცხოვრების დონის ამაღლებით გახდა შესაძლებელი. სიკვდილიანობის დონის დაქვეითებით, შობადობის შემცირებით და სხვა ფაქტორების შედეგად 1980-იან წლებში (1950-იან წლებთან შედარებით) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მსოფლიოში 47 წლიდან 57,7 წლამდე გაიზარდა. სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა 2020 წლისათვის ნავარაუდევია: მამაკაცებში – 68,3 და ქალებში – 72,8 წლამდე.

თანდათანობით, იზრდება მსოფლიო მოსახლეობის საშუალო ასაკიც, განსაკუთრებულ განვითარებულ ქვეყნებში; მაგალითად, 1980 წელს ა.შ.შ.-ში მოსახლეობის საშუალო ასაკი 30,2 წელი იყო, 1990 წელს – 32,8; 2001 წელს – 35,5; 2030 წლისათვის იქნება 38 წელი. ეს იმას ნიშნავს, რომ გრძელდება მსოფლიო მოსახლეობის „დაბერების“ პროცესი, რაც გარკვეულ პრობლემებს უქმნის საზოგადოებას, რადგან პენსიონერები რომლებიც აღარაფერს ქმნიან – ზურგზე აწვება ბიუჯეტს.

ურბანიზაციის საკითხიც მძიმე ტვირთად აწვება კაცობრიობას. ქალაქების კატასტროფული ზრდის ტემპი, ქალაქში მაცხოვრებელთა სწრაფი ზრდა ქმნის მთელ რიგ პრობლემებს მაგალითად:

ლონდონში 1 კვ.კმ. მოდის 10000 კაცი;
ბოლო მონაცემებით–7,5 კაცი;
ნიუიორკში – 13000 კაცი;
ბოლო მონაცემებით– 16000 კაცი;

ტოკიოში – 17000 კაცი;
ბოლო მონაცემებით– 12000 კაცი;
პარიზში – 25000 კაცი.

ბუენოს-აირესში – ცხოვრობს 11 მლნ.
პეკინში – 20 მლნ.
მექიკოში – 14 მლნ.
კაიროში – 7 მლნ.
მოსკოვში – 9 მლნ.
თბილისში – 1900წ. – 100000;
1989წ. – მილიონ/ნახევარი.

დიდ ქალაქებს პრობლემები ექმნებათ საბინაო, სატრანსპორტო, ენერგეტიკის, სამედიცინო, ეკოლოგიის, კულტურისა და სხვა საკითხებში.

მოსახლეობაში განსაკუთრებულ პრობლემებს ქმნის „დემოგრაფიული აფეთქებები“ – სხვადასხვა ქვეყანაში მოსახლეობის უთანაბრო მატების ტენდენციები, როცა შობადობა იკლებს განვითარებულში და მატულობს ჩამორჩენილ ქვეყნებში; მაგალითად, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ყოველ 1000 მოსახლეზე 14 ახალშობილი მოდის, აფრიკაში კი – 46,4. გაეროს პროგნოზით მსოფლიო მოსახლეობის რიცხვი კვლავაც გაიზრდება, მაგრამ ზრდის მაღალი დონე უპირატესად შენარჩუნდება აფრიკისა და აზიის განვითარებად ქვეყნებში.

როგორც ცნობილია, შობადობას პირდაპირი კავშირი აქვს საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური, კულტურული განვითარების დონესთან, შესაბამისად, გამოსავალიც აქ უნდა ვეძებოთ; აღნიშნული დონეების ამაღლება, სამედიცინო მომსახურების

გაუმჯობესება, ქალთა ემანსიპაციის საკითხის დარეგულირება, მათი შრომის, დასვენებისა და სხვა პირობების გაუმჯობესება ხელს შეუწყობს დემოგრაფიის გაჯანსაღებას.

რაც შეეხება დემოგრაფიულ მდგომარეობას საქართველოში:

1929 წელს იყო 2 მლნ. 678 ათასი კაცი.

1939 წ. – 3 მლნ. 540 ათასი.

1959 წ. – 4 მლნ.-ზე მეტი.

1989 წ. – 5 მლნ. 456 ათასი.

თუმცა, საქართველოს მოსახლეობის ზრდის ტემპები დიდად ჩამორჩებოდა მსოფლიო მოსახლეობის ზრდის ტემპებს 1939-1989 წწ. მოსახლეობა მსოფლიოში გაიზარდა 2-ჯერ, საქართველოში კი მხოლოდ 54%-ით. ამავე პერიოდში, აზერბაიჯანის მოსახლეობა გაიზარდა 117%; სომხეთისა კი – 150%-ით.

საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ურბანიზაციის კუთხით. ქვეყნის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლიდან ქალაქში გადმოსახლდა. 1959 წლიდან 1989 წლამდე, ქალაქებში გადმოსახლდა 500000 კაცი. ამჟამად, საქართველოს 62 ქალაქში ცხოვრობს მოსახლეობის 56%.

საქართველოში ურბანიზაციის პროცესი არ მიმდინარეობდა ბუნებრივი გზით. ხშირად, ხელისუფლება ხელოვნურად ერეოდა და ხელს უწყობდა სოფლების, განსაკუთრებით მთის რეგიონების დაცლას, რამაც უარყოფითი შედეგები გამოიწვია და რაც აუცილებლად გამოსასწორებელია. ხელი უნდა შეეწყოს სამკვიდრო ადგილებში მოსახლეობის დაბრუნებას, სოფლებისა და მთის რეგიონების განვითარებას;

რაც, თავის მხრივ, განაპირობებს უზომოდ გაზრდილ დედაქალაქისა და სხვა ქალაქების განტვირთვას და ჩვენი მშვენიერი მთა-ბარის ეფექტურ გამოყენებას.

3. შრომა და წარმოება – საზოგადოების არსებობის და ცვალებადობის ფაქტორი.

შრომა და წარმოება საზოგადოების არსებობისა და ცვალებადობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. საზოგადოების არსებობისათვის საჭიროა შეგნებული, მიზანდასახული აქტიურობა; ანუ შრომა – მატერიალური დოვლათის მოპოვებისა და დამზადების უნარია. შრომა არის ადამიანთა მიზანდასახული საქმიანობა, მათთვის აუცილებელი საარსებო ღირებულებების შესაქმნელად.

შრომის პროცესი სამი ელემენტისაგან შედგება:

1) შრომის საგანი – არის ყოველივე ის, რის გარდასაქმნელადაც ადამიანი მიმართავს თავის შრომას;

2) შრომის საშუალებები – არის ის ნივთები და ხელსაწყოები, რომლის საშუალებითაც გარდავქმნით შრომის საგანს ანუ ბუნებას;

3) ადამიანის საკუთარი მიზანდასახული მოქმედება – რომელიც შრომის საგანს აკავშირებს შრომის საშუალებებთან.

როცა ადამიანი შეგნებულ, მიზანმიმართულ საქმიანობას, ანუ ზემოქმედებას ახდენს ბუნებაზე, მას წინასწარ აქვს გაცნობიერებული საკუთარი საქმიანობის საბოლოო შედეგები. წარმოება და შრომა ერთი რიგის ცნებებია, მათ ხშირად იდენტური მნიშვნელობით გამოიყენებენ. არსებობს წარმოების ვიწრო და ფართო გაგება. ვიწრო გაგებით წარმოების პროცესი ემთხვევა შრომის ცნებას, მაგრამ ისინი მთლიანად არ ფარავენ

ერთმანეთს. წარმოების ცნება ფართო გაგებით მოიაზრება არა მხოლოდ როგორც ღირებულებათა შექმნის პროცესი, არამედ წარმოების მთლიანი ციკლი: განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ელემენტების ჩათვლით.

პირველყოფილ ადამიანებს შრომის საშუალებათა შექმნა არ შეეძლოთ. შრომის იარაღებად ისინი ბუნებისაგან ბოძებულ მზა საგნებს იყენებდნენ. თანდათან, საარსებო საშუალებების მოპოვების პროცესში, შრომის იარაღების კეთება ისწავლეს, რასაც შემდგომში სისტემატურად სრულყოფდნენ. მეცნიერულ-ტექნიკურმა რევოლუციამ გადატრიალება მოახდინა საწარმოო ძალებისა და შრომის იარაღების განვითარებაში.

შრომა და წარმოება მოითხოვს მათ გაერთიანებას ჯგუფებად, საზოგადოებად – ერთობლივი მოქმედებების განსახორციელებლად. შრომის საზოგადოებრივი ბუნება უფრო კარგად ჩანს საზოგადოების განვითარების მაღალ დონეზე. ამერიკელმა ეთნოგრაფმა ლ. მორგანმა (1818-1881 წწ.) კაცობრიობის განვითარების სამი პერიოდი გამოჰყო: 1. ველურობის; 2. ბარბაროსობის; 3. ცივილიზაციის. აღნიშნული პერიოდების მთავარ დამახასიათებლად მიიჩნია: 1. დანაწევრებული მეტყველება; 2. თევზის საკვებად გამოყენება და ცეცხლის მოხმარება; 3. მშვილდ-ისრის გამოყენება.

თანამედროვე სოციოლოგიაში კი კაცობრიობის განვითარების შემდეგი პერიოდები დამკვიდრდა: 1. შემგროვებელთა და მონადირეთა საზოგადოება; 2. მიწათმოქმედთა და მესაქონლეთა საზოგადოება; 3. ცივილიზებული საზოგადოება – როცა ჩნდება დამწერლობა, გონებრივი შრომა, სახელმწიფოებრიობა; და ბოლოს, 4.

ინდუსტრიული საზოგადოება, რომლისთვისაც ნიშანდობლივი და დამახასიათებელია მანქანური სამრეწველო წარმოება.

რაც უფრო მაღალორგანიზებულია შრომა, მით უფრო მტკიცე საფუძველზე დგას საზოგადოება. მაღალორგანიზებული და ეფექტური შრომა კი გულისხმობს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება შრომითი საქმიანობის დიფერენციაციის და მისი ცალკეული სახეების თანაბარ არსებობას და აუცილებელ კავშირს გულისხმობს. შრომის დანაწილება ობიექტური აუცილებლობით არის გამოწვეული და ღირებულებათა შექმნის თავისებურებებით არის განპირობებული.

საწარმოო ძალთა განვითარების კვალობაზე, თანდათან რთულდება შრომის დანაწილების ფორმები. შრომითი ფუნქციების შესასრულებლად ყალიბდება განსხვავებული სოციალური ჯგუფები; თუ ადრე ერთიდაიგივე ტომი მისდევდა როგორც მიწათმოქმედებას, ასევე მესაქონლეობას, შემდგომში ამ დარგების ეფექტურობის ასამაღლებლად ცალ-ცალკე იქმნება და ყალიბდება მიწათმოქმედთა და მეჯოგეთა სოციალური ჯგუფები, მკვიდრდება გაცვლითი ფუნქციები. პირველი შრომის საზოგადოებრივი დანაწილება – მეჯოგეთა გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან აუცილებელი გახდა იმის გამოც, რომ მესაქონლეობა მოითხოვს ადგილის მონაცვლეობას, რაც შეუთავსებელი იყო სტაციონარულ მიწათმოქმედებასთან.

ისტორიული განვითარების შემდგომ ეტაპზე გრძელდება შრომითი საქმიანობის დიფერენციაცია. საჭირო გახდა შრომითი იარაღების, მითუმეტეს ლითონის იარაღების წარმოებაზე

დასპეციალება; ამიტომაც, ჩნდება და მიწათმოქმედებას ცალკე გამოეყოფა ხელოსანთა სოციალური ჯგუფი, რომელთა პროფესიულ საქმიანობად იქცა ხელოსნობა.

ამგვარად ყალიბდება მიწათმოქმედთა, მეჯოგეთა, ხელოსანთა სოციალური ჯგუფები, რომელთა წარმოებული პროდუქცია ერთმანეთში იცვლებოდა. გაცვლა-გამოცვლის აუცილებლობამ კი წარმოშვა ახალი არამწარმოებელი ვაჭართა სოციალური ჯგუფი. ყველაფერმა ამან კი დასაბამი მისცა ქალაქის ტიპის დასახლებებს. შრომის შემდგომი დანაწილება ხდება ქალაქსა და სოფელს შორის. შემდგომ კი შრომა ნაწილდება ფიზიკურ და გონებრივ მატერიალურ და სულიერ სფეროს შრომად.

შრომის დანაწილება მიმდინარეობდა არა მარტო დარგებს შორის, არამედ დარგებს შიგნითაც. რაც უფრო დანაწილებულია შრომის პროცესი, მით უფრო განვითარებულია საზოგადოება.

ამასთანავე, შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სპეციალიზაცია ზეგავლენას ახდენს თვითონ ადამიანზე, მის სასიცოცხლო ძალებზე. მის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ მხარეზე.

ადამიანი შრომის დანაწილებით არა მხოლოდ ბუნების გარდაქმნის, არამედ თავისთავსაც. შრომის პროცესი უდიდეს ზეგავლენას ახდენს ადამიანთა ყოფიერებასა და ცნობიერებაზე, ზრდის და ხვეწს, გამოცდილებითა და ცოდნით ამდიდრებს საზოგადოებას.

ამგვარად, საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა და განვითარება, თუ იგი არ გამოიყენებს და შესაბამისად არ გარდაქმნის ბუნებას, ე. ი. საზოგადოების განვითარება და

ცვალებადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ ობიექტურ ფაქტორებზე, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა მსჯელობა, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობისაა ის სუბიექტური ფაქტორი, როგორიცაა ადამიანთა სულიერების, ცნობიერების, შეგნებულობის ფაქტორი.

4. გონითი მოღვაწეობის ანუ სულიერების ფაქტორი

როგორც უკვე ცნობილი გახდა, საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების გარეშე. საზოგადოების ფუნქციონირება, ასევე, შეუძლებელია ადამიანთა ცნობიერების, შეგნებულობის, სულიერების სუბიექტური ფაქტორის გარეშე, ე.ი. საზოგადოების ფუნქციონირების ობიექტური ფაქტორების: გეოგრაფიული გარემოს, დემოგრაფიული ფაქტორის, ეკონომიკური ფაქტორის გარდა აუცილებელია სუბიექტური სულიერების ფაქტორი, ანუ ადამიანთა ნება, მიზნები, ინტერესები, მისწრაფებები, გამოცდილება და ცოდნა; გადაწყვეტილებების მიღება, იდეები, თეორიები, არჩევანი და ა.შ., რაც ერთობლიობაში სულიერების ფაქტორად არის მიჩნეული, რომლებიც დამახასიათებელია როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური ცნობიერებისათვის.

სულიერების ფაქტორის გარეშე საზოგადოებაც არ იარსებებდა, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანთა შეგნებული საქმიანობით ყალიბდება. შეგნებულობის, მიზანდასახულობის, ცნობიერი საქმიანობისა და სულიერი მოღვაწეობის გარეშე საზოგადოების არსებობა წარმოუდგენელია.

ადამიანის სულიერება ძალზედ მნიშვნელოვანი და უაღრესად რთული ფენომენია. სულიერების პირველი საფეხური ფსიქოლოგიაში ვლინდება, როგორიცაა: სოციალური გრძნობები,

ემოციები, განწყობილებანი, ეროვნული ფსიქიკური წყობის თავისებურებანი და სხვა. მეორე საფეხურზე – გნოსეოლოგიის ანუ რაციონალურ დონეზე სულიერება წარმოსდგება პოლიტიკური, სამართლებრივი, რელიგიური, ზნეობრივი, მხატვრული, მეცნიერული იდეების, შეხედულებების, თეორიების – საზოგადოებრივი იდეოლოგიის სახით.

ამგვარად, სულიერების ფაქტორს გააჩნია მაორგანიზებელი ფუნქცია, სწორედ ცნობიერებიდან და სულიერებიდან ყალიბდება მოქმედების მიზნები, გეგმები, პროგრამები, რაც განაპირობებს საზოგადოების ცვალებადობასა და განვითარებას.

სულიერებისა და ცნობიერების ფაქტორი უაღრესად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროსათვის; მის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა: ბუნების ადამიანთა სასარგებლოდ გარდაქმნა, საარსებო რესურსების ადამიანთა სამსახურში ჩაყენება, საზოგადოების სოციალური უზრუნველყოფა, ეკონომიკის, კულტურის, პოლიტიკის, მეცნიერების, რელიგიის, იდეოლოგიის შექმნა. ბევრი შეიძლებოდა გვემსჯელა სულიერების ფაქტორის უდიდეს მნიშვნელობაზე ყველა აღნიშნულ სფეროში ცალ-ცალკე; მაგრამ, ამჟამად შევჩერდეთ იმაზე, რომ ყველაფრის სათავე ადამიანთა სულიერებაშია. ადამიანთა სულიერი და ცნობიერების განვითარების დონით განისაზღვრება მათი ცხოვრების დონეც. ადამიანთა შეხედულებები, დასახული მიზნები და ამოცანები არის მათივე საქმიანობისა და მოღვაწეობის საფუძველი.

კაცობრიობის განვითარების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დიდ სოციალურ ძვრებს, ევოლუციას და რევოლუციებს ყოველთვის თან ახლავს ძველი თეორიებისა და იდეების ნგრევა

და ახლით შეცვლა; საზოგადოების განვითარება რთული პროცესია, იგი ზოგჯერ ნელა, წინააღმდეგობრივად მიმდინარეობს, რასაც, როგორც წესი, ჩამორჩენილი და მცდარი იდეები და სუსტი კონსერვატორული მრწამსი და მმართველობა განაპირობებს; სიდან, ახალი ნოვატორული, პროგრესული იდეებით შეიარაღებული საზოგადოების წინსვლა აჩქარებულია.

ამგვარად, სულიერი და გონებრივი ფაქტორი, როგორც სუბიექტური ფაქტორი, სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთად სათანადოდ უნდა შეფასდეს; ისინი უნდა იყვნენ სრულ შესაბამისობაში, რომ საზოგადოება და, შესაბამისად, ქვეყანა წარმატებით ვითარდებოდეს.

სოციოლოგები და სხვები, კითხვაზე, თუ რა წარმოადგენს საზოგადოების არსებობისა და ცვალებადობის განმსაზღვრელ ფაქტორს, უმრავლესობის აზრით ეს იყო სულიერების ფაქტორი. სხვები კი სხვა ფაქტორებს მიიჩნევდნენ განმსაზღვრელად.

არ იქნება მართებული რომელიმე ფაქტორის გააბსოლუტება, გადაზვიადოთ ან დავამციროთ რომელიმე ფაქტორის როლი. ისტორიული პროცესებისა და მოვლენების ახსნა და გაგება უნდა ემყარებოდეს რეალურ ვითარებას. კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტულ ანალიზს. არ უნდა გამოვრიცხოთ იმის შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა დროსა და ვითარებაში სხვადასხვა ფაქტორი იყოს უფრო მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი.

თავი IV.

4.1. საზოგადოების სტრუქტურა

საზოგადოების სტრუქტურა სოციუმის მყარ და განმეორებად შემადგენლობას წარმოადგენს; იგი საზოგადოების ხერხემალია, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების არსებობასა და ქმედუნარიანობას. სტრუქტურა ნიშნავს საზოგადოების როგორც მთლიანის შემადგენელ ნაწილებს, ანუ მთლიანის ქვესისტემებს, რომლებიც საზოგადოების მთლიან სისტემაში სპეციფიკურ ფუნქციებს ასრულებენ (სტრუქტურა, ბერძნულად მთლიანობას ნიშნავს).

როგორც ცნობილია, სოციოლოგია იკვლევს საზოგადოებას მისი შემადგენელი ქვესისტემებით და ამ შემადგენელ ნაწილებს შორის არსებულ მყარ, არსებით კავშირებს სტრუქტურულ შემადგენლობათა შორის.

სოციალური სტრუქტურის ცნება მჭიდრო კავშირშია სოციალური ფუნქციის ცნებასთან. საზოგადოების სტრუქტურული დიფერენციაცია საზოგადოების ფუნქციურ დიფერენციაციასაც გულისხმობს. გავეცნოთ საზოგადოების სტრუქტურას და მის ფუნქციონალურ კავშირებს. პირველ რიგში განვიხილოთ საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურა.

საზოგადოების არსებობა შეუძლებელია მატერიალური დოვლათის წარმოებისა და მოხმარების გარეშე; ამიტომ საზოგადოებრივ ეკონომიკური სტრუქტურის ჩამოყალიბებაში და მისი უპირველესად განხილვა უმნიშვნელოვანესი საკითხია.

საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურაში უმთავრესი ადგილი უკავია ადამიანის ფაქტორს, წარმოშობს საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს და სხვა.

წარმოება არის ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებების შექმნის პროცესი. იგი არ არსებობს ადამიანების, როგორც დოვლათისა და ღირებულებების შემქმნელი სუბიექტების გარეშე, რასაც საწარმოო ძალებს უწოდებენ; მაგრამ, ყოველივე სიკეთის შემქმნელად საწარმოო ძალებთან ერთად საჭიროა შრომის იარაღები, ენერგიის წყაროები და სხვა რესურსები. წარმოების ნივთიერი საშუალებების ერთობლიობას საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ეწოდება. რამდენადაც განვითარებულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მით უფრო განვითარებულია საზოგადოება თავისი ეკონომიკითა და კულტურით.

საწარმოო ძალების განვითარების მაჩვენებელია შრომის იარაღების, წარმოების ტექნიკური აღჭურვილობის, ენერგიის წყაროების გამოყენების დონე; ასევე, ფრიად მნიშვნელოვანია თვით ადამიანთა ცოდნის დონე, მათი გამოცდილების, პროფესიული უნარ-ჩვევების სრულყოფილების დონე.

საწარმოო ძალები წარმოების ერთი მხარეა; წარმოებას გააჩნია მეორე მხარეც – საწარმოო ურთიერთობები.

წარმოებითი ურთიერთობები არის ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობები წარმოების პროცესში. წარმოების პროცესი არ არსებობს ადამიანთა შორის ურთიერთობების გარეშე. წარმოებითი ურთიერთობები გვიჩვენებენ, თუ როგორი ურთიერთობები მყარდება ადამიანთა შორის; უპირველეს ყოვლისა საკუთრების სფეროში, რაზედაც დამოკიდებულია

საზოგადოების ეკონომიკური სტრუქტურის სხვა შემადგენელი ელემენტები, როგორიცაა: გაცვლის, განაწილების, მოხმარების ურთიერთობები, რაც, თავის მხრივ, დიდ გავლენას ახდენს საზოგადოების სოციალ-პოლიტიკურ და სულიერ ცხოვრებაზე.

როგორც ცნობილია, მარქსიზმის მიხედვით, ეკონომიკა განმსაზღვრელია ყველაფერი დანარჩენისა; როგორიც არის ეკონომიკა, ისეთივეა პოლიტიკა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროები, ანუ ეკონომიკური ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენს.

ეკონომიკური ფაქტორის ასე ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად წარმოდგენა უმართებულოა. ჩვენ ვიცით, რომ ქვეყნებს, რომლებსაც თანაბარი, ან თითქმის თანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობები გააჩნიათ, განვითარების სხვადასხვა სოციალ-პოლიტიკურ და კულტურულ დონეზე იმყოფებიან და, პირიქითაც, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებს საკმაოდ მაღალი სოციალ-კულტურული დონე გააჩნიათ. ამიტომ, არ შეიძლება ეკონომიკური ფაქტორი საზოგადოების საერთო ცხოვრების დონის განმსაზღვრელად გამოვაცხადოთ. მართალია, მას მეტად მნიშვნელოვანი ადგილი აქვს საზოგადოების განვითარების საქმეში (გარკვეულწილად განსაზღვრავს საზოგადოების სტრუქტურას), მაგრამ იგი არ წარმოადგენს საზოგადოებრივი ცხოვრების ერთადერთ უპირობოდ განმსაზღვრელ ფაქტორს.

განვიხილოთ საზოგადოების სოციალური სტრუქტურა.

სოციალური სტრუქტურა საზოგადოების სტრუქტურის ერთ-ერთი ძირითადი სახეა, რომელიც ორგანულად არის

დაკავშირებული საზოგადოების ერთიანი სისტემის: ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიის და სხვა სტრუქტურებთან.

საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მოიაზრება ადამიანები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, რომელთა კავშირი უზრუნველყოფს საზოგადოების კანონზომიერ ფუნქციონირებას. ადამიანი, როგორც პიროვნება ჩართულია საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურაში; იგი მთელის ნაწილია, „სოციალური ატომია". ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი, მიეკუთვნება საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურას, იგი არის: ოჯახია, გვარის, გარკვეული ეთნიკური ჯგუფის – ტომის, ეროვნების, ერის, ქონებრივი უფლებრივი მდგომარეობის, წოდებრიობის, საქმიანობის და სხვა კლასობრივი სტრატიფიკაციული ნიშნის მქონე სოციალური არსება.

მოკლედ განვიხილოთ სოციალური სტრუქტურის ძირითადი ფორმები:

ოჯახი – როგორც საზოგადოებრივი სტრუქტურის პირველი უჯრედი, განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს. ოჯახი სისხლით ნათესაობის კავშირზე – ქორწინებაზე დამყარებული მცირე სოციალური ჯგუფია, რომელსაც გააჩნია შემდეგი ფუნქციები: 1. რეპროდუქციული ანუ მოსახლეობის კვლავწარმოების ფუნქცია; 2. აღმზრდელობითი ფუნქცია – ოჯახში შეძენილი უნარ-ჩვევებით ხდება ადამიანი სოციალური არსება; 3. სამეურნეო-ეკონომიკური ფუნქცია; იგი ქმნის, მოიხმარს და ანაწილებს მატერიალურ დოვლათს; 4. რეკრეაციული ანუ დასვენებისა და ძალების აღდგენის ფუნქცია; 5. თვითრეგულირების – სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგებისა და გადაჭრის ფუნქცია.

ოჯახის ფორმები ისტორიულად იცვლებოდა; მსოფლიოში არსებობს მონოგამიური და პოლიგამიური ოჯახები.

გვარი – სოციალური სტრუქტურის უფრო რთული ელემენტია. იგი სისხლით მონათესავე ოჯახების გაერთიანებას წარმოადგენს, რომელიც იქმნება საარსებო საშუალებების უკეთ მოსაძიებლად, თავდაცვისა და სხვადასხვა საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, მეტი ორგანიზებულობისა და სიძლიერისათვის ყალიბდება ეს მონოლითი, რომელიც აერთიანებს მთელ თაობებს.

ისტორიის მანძილზე არსებობდა დედისეული (მატრიარქალური) და, შემდგომ, მამისეული (პატრიარქალური) გვარი.

ტომი და ტომთა გაერთიანებები მონათესავე გვარებიდან შედგება, რომლებიც წარმოიშობა არა მხოლოდ ეგზოგამიით (გვარის შიგნით ქორწინების აკრძალვის გამო), არამედ სამეურნეო, შრომითი, თავდაცვითი ან თავდასხმითი, ანუ ადამიანთა მეტი გაერთიანების საჭიროების გამო. ტომობრივი გაერთიანებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო საერთო უნარ-ჩვევების, ტრადიციების, ეთნიკური და ენობრივი სიახლოვე.

ხალხი – ტომობრივ კავშირებთან შედარებით უფრო რთული და მაღალორგანიზებული კავშირისა და ერთობის ფორმაა. ხალხად ჩამოყალიბებას განაპირობებს ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის მრავალფეროვნება, ანუ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გაღრმავება. ხალხად იწოდება ერთ საერთო ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები, რომლებიც არა მხოლოდ გვარებისა და ტომებისაგან შედგება, არამედ სხვებისგანაც, რომელთა დაახლოება ხდება ტერიტორიული თუ სამეურნეო

საქმიანობის გამო, რის შედეგადაც უყალიბდებათ საერთო ფსიქოლოგია, კულტურა და ენა.

ხალხის დამახასიათებელი ნიშნებია: 1. საერთო ტერიტორია; 2. ერთიანი ფსიქოლოგიური წყობა; 3. კულტურა; 4. ენა; 5. სახელმწიფოებრივი ერთიანობისკენ სწრაფვა.

საზოგადოების განვითარებისა და ჩამოყალიბების ისტორიაში ეს ის პერიოდია, როდესაც საერთო ტერიტორიისა და კულტურის პირობებში, ჯერ კიდევ, არ არის მიღწეული სრული ერთობა. საერთო ენის გვერდით საუბრობენ შინაურ დიალექტებზე. თავს იჩენს კულტურათა სხვაობის ელემენტები, ტომთა შორის ეკონომიკური კავშირები ჯერ კიდევ არ არის ფორმირებული საერთო ეროვნულ ეკონომიკად, ხოლო პოლიტიკური კავშირები – მყარ სახელმწიფოებრივ ერთობად.

ერი. ერად, უპირველეს ყოვლისა, ყალიბდება ის ხალხები, რომლებსაც მეტად აღმოაჩნდათ ერთიანობისადმი, მთლიანობისადმი ლტოლვა, სადაც უფრო ადრე დაიძლია კუთხურობის, გათიშულობის ბარიერები და მეტად დაუახლოვდნენ ერთმანეთს, სადაც გაჩნდა ერთიანი ბაზარი, გაიშალა ვაჭრობა, მიმოსვლამ და ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, კულტურულმა მჭიდრო კავშირებმა განაპირობა ეროვნული კონსოლიდაცია.

ერის დამახასიათებელი ნიშნებია: საერთო წარმოება, ენა, კულტურა, ეკონომიკური, პოლიტიკური წყობილება, ტერიტორია და, ამ ერთობის საფუძველზე ჩამოყალიბებული, თვითშეგნება, რომელიც კრავს და ადუღაბებს ამ საერთო ნიშნების მატარებელ ხალხს ერად.

განვიხილოთ **სოციალურ-ტერიტორიული სტრუქტურა.**

ადამიანთა ხანგრძლივი თანაცხოვრების მანძილზე, ისტორიულად შეიქმნა დასახლებების განსხვავებული ფორმები, როგორიცაა: სოფელი და ქალაქი.

სოფელი ადამიანთა თანაცხოვრების უძველესი ფორმაა, რომლის ფუნქციასაც ადამიანთა არსებობისთვის საარსებო საშუალებები – სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება და პირველადი გადამუშავება წარმოადგენს.

ტრადიციული სოფლის სპეციფიკურ ნიშან-თვისებას წარმოადგენდა ის, რომ სოფლის მოსახლეობა, როგორც წესი, ნათესაურ კავშირში მყოფი მსგავსი საქმიანობით, საწარმოო ჩვენებით, ადათ-წესებით, კულტურული და ფსიქიკური წყობის მაცხოვრებელთა ერთობლიობას წარმოადგენდა. ეს ნიშან-თვისებები თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოების სოფლებსაც შემორჩა; მაგრამ, თანამედროვე საყოფაცხოვრებო პირობების შეცვლამ განაპირობა ძველი სოფლის იერ-სახის ცვლა. თანამედროვე სოფლებში შეიჭრა განათლება, კულტურა, ტექნიკა და ტექნოლოგიები. დაწინაურებულ ქვეყნებში სოფლები, ფაქტობრივად, ქალაქის ტიპის დასახლებებია.

ქალაქი – საზოგადოების განვითარების შედარებით გვიანდელი წარმონაქმნია, რომლებიც არსდებოდა ბუნებრივად ხელსაყრელ ადგილებში, როცა გაჩნდა საჭიროება და საფუძველი ჩაეყარა მრავალპროფილურ საქმიანობას: ხელოსნობას, ვაჭრობას, გონებრივ შრომას. პირველი ქალაქები გაჩნდნენ: მესოპოტამიაში – 5-6 ათასი წლის წინ, შემდეგ ეგვიპტეში, ჩინეთში. ევროპაში პირველი დიდი ქალაქები ყალიბდება ძვ. წ. აღრიცხვის პირველ ათასწლეულში, შემდეგ ახ. წ. აღრიცხვის X საუკუნიდან. განსაკუთრებით ქალაქების რაოდენობა მატულობს XVI-XVII სს.

სოფლისა და ქალაქის გარდა არსებობს ისეთი სოციალურ-ტერიტორიული სტრუქტურები, როგორიცაა: დაბები, რაიონები, გუბერნიები, ოლქები, რესპუბლიკები. საზოგადოების სტრუქტურულ ელემენტს წარმოადგენს თაობები. საზოგადოება ყოველთვის სხვადასხვა თაობებისაგან შედგება. თაობებში ერთი და იმავე პერიოდში დაბადებულ ადამიანთა ასაკობრივ ჯგუფებს გულისხმობენ. ამ აზრით საზოგადოებას ყოველთვის ყოფენ: ახალგაზრდა, უფროსი და მოხუცი თაობის ასაკობრივ ჯგუფებად. თაობებს შორის დროულ სხვაობად 25-30 წელი ითვლება.

ზოგადსოციოლოგიური თვალსაზრისით, თაობებს ძირითადად ორ კატეგორიად – ძველ და ახალ „მამებისა“ და „შვილების“ თაობად ყოფენ. საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ყოველთვის ცვალებადია, მითუმეტეს თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ცვალებადობის ტემპი მეტად აჩქარებულია და, შესაბამისად, თაობათა შორის იცვლება დამოკიდებულება, მათ მიზნებსა და ამოცანებს ღირებულებებსა და ორიენტაციებს შორის. აქედან გამომდინარე, თანდათან რთულდება თაობათაშორის ურთიერთობები, რომლის რეგულირებაც უაღრესად დიდ მნიშვნელობას იძენს.

კოლექტივები – სოციალური სტრუქტურების ელემენტებია, რომლებსაც ადამიანები ქმნიან.

კოლექტივი ადამიანთა სოციალური ერთობის შედარებით მყარი ერთობის ფორმას წარმოადგენს. მათი საერთო ინტერესებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე.

საზოგადოებაში კოლექტიური ურთიერთობების უამრავი ფორმები არსებობს. როგორიცაა: ოჯახური, ნათესაური,

მეგობრული, სამეცნიერო, მხატვრული, სპორტული, საწარმოო თუ სხვა.

თვით შრომითი კოლექტივები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან: საქმიანობით, პროფესიული ნიშნით, კოლექტივის წინაშე მდგარი ამოცანებით. როგორც ცნობილია, შრომითი ხასიათი განსაზღვრავს საზოგადოების დიფერენციაციას, შესაბამისად, შრომითი საქმიანობა იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: ფიზიკურ და გონებრივ ჯგუფებად. თანამედროვე საზოგადოებაში, თანდათანობით ისპობა აღნიშნული ცალმხრივი განსხვავებები. ადამიანები ცდილობენ შეახამონ ერთმანეთთან ფიზიკური და გონებრივი საქმიანობა. თანდათან იზრდება გონებრივი შრომის ხვედრითი წილი. ხდება ფიზიკური შრომის ინტელექტუალიზაცია. მძიმე ფიზიკურ სამუშაოებს ასრულებს მძლავრი მანქანა-დანადგარები. ავტომატიზირებულ საწარმოებში გონებრივი შრომის მუშაკები მცირე ფიზიკური დატვირთვის პირობებში შრომობენ შემოქმედებითად. შესაბამისად, მცირდება ზღვარი გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის.

სოციოლოგიის ერთ-ერთ ძირითად საკითხს წარმოადგენს სოციალური უთანასწორობის სხვადასხვა სტრატიფიკაციული სისტემების განხილვა: ᲬᲝᲓᲔᲑᲠᲘᲕᲘ, ᲙᲐᲡᲢᲣᲠᲘ, ᲙᲚᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ დაყოფა.

ᲡᲢᲠᲐᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ წარმოსდგება „სტრატი“-დან (ლათ. ნიშნავს ფენებად დაყოფას, ფენების თანმიმდევრულ განლაგებას), ე.ი. საზოგადოების ფენებად დაყოფას, ანუ საზოგადოებრივ მდგომარეობას, ქონებრივ, შემოსავლებით, ცხოვრების პირობებით და სხვა ნიშნებით.

კაცობრიობის ისტორია იცნობს სოციალური დაყოფის უთანასწორობაზე დამყარებულ სხვადასხვა სტრატიფიკაციულ სისტემებს, როგორიცაა: მათგან უძველესი ᲬᲝᲓᲔᲑᲠᲘᲕᲘ მდგომარეობა, რომლებიც სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისაგან განსხვავდებიან იმით, რომ ისინი საზოგადოებრივი პირამიდის მაღალ საფეხურებზე იმყოფებიან, რაც კანონით ან ადათით არის განმტკიცებული, რომელნიც განსხვავებული უფლებებით სარგებლობენ; სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშვნის უპირატესობით, წოდების მემკვიდრეობით გადაცემის უფლებით განთავისუფლებულნი არიან გადასახადებისაგან და სხვა სიკეთით.

წოდებრივი დაყოფა მონათმფლობელური საზოადოების პირმშოა, რომელიც ფეოდალიზმშიც გრძელდება – თავადაზნაურები, სამღვდელოება; ხოლო, ყმა გლეხები, ხელოსნები, ვაჭრები, მეწარმენი – მესამე წოდებად ითვლებოდნენ.

ᲙᲐᲡᲢᲐ – (პორტუგალ. წმინდა გვარს ნიშნავს), კასტა არის ადამიანთა ჯგუფური გაერთიანების განსაკუთრებული, შეუვალი და დახურული სახე, რომლისთვისაც დამახასიათებელია: მემკვიდრეობითობა, საერთო პროფესიული საქმიანობა, კასტის წევრებთან შეზღუდული ურთიერთობები, კასტის შიგა ქორწინებრივი კავშირები და სხვა.

კასტები იქმნებიან ეთნიკური, რელიგიური, წოდებრივი, პროფესიული, ან სხვა ნიშნით. მაგალითად, ევროპაში დიდხანს ეგონათ, რომ კასტის წევრები განსხვავებული სისხლისანი იყვნენ; ინდოეთში კასტები იერარქიულად იყვნენ განლაგებულნი. უმაღლეს კასტას ბრაჰმანები წარმოადგენდნენ, შემდეგ ქშატრიები,

ვაიშიები და ბოლოს შუდრები (რომლებსაც „უწმინდურებს“ ეძახდნენ); ა.შ.შ.-ში კასტები იქმნებოდა რასობრივი ნიშნით.

წოდებებსა და კასტებს შორის არის გარკვეული მსგავსება, მაგრამ თუ წოდებებში დაშვებული იყო გამონაკლისები, წოდებიდან წოდებაში გადასვლა, ტიტულის შესყიდვა, მემკვიდრეობითობის პრინციპის დარღვევა და სხვა კასტებში ეს ყველაფერი მკაცრად იყო დაცული.

კაპიტალისტური ურთიერთობების დამკვიდრებამ დაამსხვრია საზოგადოების წოდებრივი და კასტური დაყოფა. მათი ადგილი საზოგადოების კლასობრივმა დაყოფამ დაიკავა, მაგრამ არსებობენ ქვეყნები, სადაც, ჯერ კიდევ, შენარჩუნებულია წოდებრიობა.

საზოგადოების კლასობრივი დაყოფა კაპიტალიზმის ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. კლასები ადამიანთა დიდ ჯგუფებს წარმოადგენენ, რომლებიც არსებითად განსხვავდებიან წოდებებისა და კასტებისაგან.

საზოგადოების კლასებად დაყოფის ცნებას ანტიკური პერიოდიდან ვხვდებით. პლატონს საზოგადოებრივი ჯგუფების განმასხვავებელ ნიშნად მათი საზოგადოებრივი ფუნქცია მიაჩნდა; არისტოტელეს – ქონებრივი მდგომარეობა. ახალ დროში დ. რიკარდო, ა. სმიტი – შემოსავლის წყაროებით ანსხვავებენ სოციალურ ჯგუფებს – კაპიტალისტებს – მოგება, ხოლო პროლეტარებს – ხელფასი. კ. მარქსსა და ფ. ენგელსს უშუალოდ არ მოუციათ კლასების განსაზღვრება, მაგრამ მათი მოძღვრებიდან გამომდინარე, კლასები წარმოადგენენ ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულებით და, აგრეთვე, შემოსავლის წყაროებით. შემდეგ ვ. ლენინმა სრულჰყო კლასების მარქსისტული

გაგება და ჩამოაყალიბა განსაზღვრება: კლასები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულებით, საკუთრების ფორმით, საზოგადოებრივი სიმდიდრის მითვისების ფორმით და ოდენობით და შრომის ორგანიზაციაში შესრულებული როლით.

თანამედროვე სოციოლოგიაში მიაჩნიათ, რომ კლასების მარქსისტული გაგება, საუკეთესო შემთხვევაში, შეესაბამებოდა კაპიტალიზმის განვითარების პირველ პერიოდს, მაგრამ აღარ შეესაბამება განვითარებული ინდუსტრიული საზოგადოების რეალობას. განვითარების თანამედროვე პერიოდში სულაც არ არის აუცილებელი, რომ ადამიანები ფლობდნენ წარმოების საშუალებებს, მიეკუთვნებოდნენ რომელიმე პრივილეგირებულ კლასს. წარმატებას ადამიანები აღწევენ მაშინაც, თუკი ისინი იქნებიან წარმოების საშუალებათა მეწილე ან აქციონერი; ამიტომ, კლასების მარქსისტული დაყოფა ბურჟუებად და პროლეტარებად კარგავს აზრს.

მართალია, თანამედროვე საზოგადოებაში კლასებად დაყოფის პრინციპი კვლავ რჩება ძალაში, მაგრამ არა იმ ნიშნით, თუ რა დამოკიდებულებაშია ადამიანი წარმოების საშუალებებთან, არამედ იმ ნიშნით, თუ რა მდგომარეობა უკავია მას საზოგადოებაში. თანამედროვე გაგებით, კლასების ცნებაში წინა პლანზეა წამოწეული ამა თუ იმ სოციალური ჯგუფის სტატუსი, უფლება-მოვალეობები, ცხოვრების პირობები, პროფესიული დონე, კულტურის დონე, განათლება და სხვა.

თანამედრონე სოციოლოგიაში ასევე უარყოფილია საზოგადოების ძირითად და არაძირითად კლასებად დაყოფის მარქსისტული თვალსაზრისი.

თანამედროვე სოციოლოგიაში საზოგადოება იყოფა სამ კლასად: 1. მაღალ; 2. საშუალო; 3. დაბალ კლასად.

მაღალ კლასში შედის საზოგადოების მცირე, მაგრამ მდიდარი ნაწილი, რომლებმაც მემკვიდრეობით ან საკუთარი ძალისხმევით შექმნეს ეს სიმდიდრე და აკონტროლებენ ეკონომიკას და პოლიტიკას.

თუ მარქსთან საშუალო კლასში გაერთიანებულია წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, გლეხები, თანამედროვე გაგებით საშუალო კლასში შედის მცირე ბიზნესის ფერმერული მეურნეობის წარმომადგენლები, კერძო მაღაზიებისა და სხვა მომსახურების ობიექტების მფლობელები: მენეჯერები, ეკონომისტები, მასწავლებლები, სამედიცინო პერსონალი და ა.შ., რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და დიდი შემოსავლები. უნდა აღინიშნოს, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებებში საშუალო კლასის გაცილებით აჭარბებს ყველა დანარჩენს რიცხვობრივად.

რაც შეეხება დაბალ კლასებს, მათი შემადგენლობა სხვადასხვაგვარია (ქვეყნების მიხედვით). დაბალ კლასში შედიან ფაბრიკა-ქარხნებისა და საწარმოების ნახევრად კვალიფიციური და არაკვალიფიციური მუშები, ეთნიკური უმცირესობები, მიგრანტები და სხვა.

კლასების გაგების საკითხში ძალზედ მნიშვნელოვანია ისეთი გავლენიანი სოციოლოგების აზრი, როგორებიც არიან: მაქს ვებერი და ე. რაიტი. მ. ვებერს კლასების არსებით ნიშნად სოციალური სტატუსი და პარტიულობა მიაჩნია. ასევე, მნიშვნელოვანია პრესტიჟიც, თუ როგორი ავტორიტეტით სარგებლობს ესა თუ ის სოციალური ჯგუფი არა სიმდიდრითა

და შემოსავლებით, არამედ საზოგადოებრივი ფუნქციით, დამსახურებით, კულტურის დონითა და სხვა მახასიათებლებით.

ე. რაიტი თანამედროვე კლასების კიდევ ერთ, არსებით განმასხვავებელ, ნიშნად ეკონომიკურ რესურსებზე კონტროლს მიიჩნევს. საზოგადოებრივი კლასები ერთმანეთისაგან იმით განსხვავდებიან, თუ როგორ კონტროლს ახორციელებენ ისინი და რა დოზით არიან ჩართულნი ფულადი კაპიტალის ბრუნვასა და ინვესტიციებზე კონტროლში. კაპიტალისტთა კლასი ამ კონტროლს ახორციელებს, მუშათა კლასი კი ყოველივე ამას მოკლებულია; მათ შორის მდგარი სოციალური ჯგუფი კი საშუალო კლასს მიეკუთვნება.

ძალზედ საგულისხმოა სოციოლოგიის კლასიკოსის დარენდორფის პოზიცია კლასებთან დაკავშირებით. მისი აზრით, მარქსიზმის კრიტიკოსებმა ვერ დაძლიეს მარქსი. მათ მიერ წარმოებულ კრიტიკაში რჩება „ბადაუწყვეტელი ამოცანები", რასაც განაპირობებს ოთხი გარემოება: 1. ზოგი სოციოლოგი ამოდის იქიდან, რომ მარქსიზმმა ვერ გაამართლა, მაგრამ მის ნაცვლად არ აყენებს ალტერნატიულ თეორიას; 2. ზოგი კრიტიკის წანამძღვრად იღებს იმას, რაც კრიტიკის შედეგი უნდა იყოს, კერძოდ, მარქსიზმს თავიდანვე უაზრობად თვლის; 3. ზოგი აკრიტიკებს არა მარქსის თეორიას, არამედ მათი წარმოდგენით შექმნილ მარქსს; 4. არიან კრიტიკოსები, რომლებიც მარქსის თეორიას ეხებიან, მაგრამ ვერ ითვალისწინებენ მთელი საზოგადოების ცვლილებებს და მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე ამახვილებენ ყურადღებას.

დარენდორფი ღრმად აანალიზებს ყველაფერს და ცდილობს მისი დაძლევით მოგვცეს ახალი თეორია, რისი შემუშავებაც მოითხოვა ახალმა შეცვლილმა სინამდვილემ (როგორც ეს

მოხდა ფიზიკაში, სინათლის კორპუსკულარული თეორიის შეცვლა ახალი ტალღური თეორიით, რომელმაც გააერთიანა კორპუსკულარული და ტალღური თეორიების ძირითადი პრინციპები). სოციოლოგიაში უნდა შეიქმნას საზოგადოების ისეთი თეორია, რომელშიც მარქსს თავისი ადგილი ექნება და, ამავე დროს, უპასუხებს ახალი ინდუსტრიული საზოგადოების სტრუქტუროლოგიის საკითხებს. დარენდორფი ინარჩუნებს კლასის ცნებას, მხოლოდ მის გამოყენებას, მეტი სიფრთხილით ეკიდება. მისი აზრით, იგი განთავისუფლებული უნდა იყოს „პოლიტიკური ცრურწმენებისაგან".

XX საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ პიტირიმ სოროკინი კლასის 32 ცნებას განასხვავებდა, ბოლო პერიოდში კლასის სხვადასხვაგვარი განმარტებები კიდევ უფრო გამრავლდა. დარენდორფის აზრით, ბოლო პერიოდში, საზოგადოებაში სტრუქტურული ცვლილებები კიდევ უფრო გამრავალფეროვნდა და მათი ამხსნელი ფაქტორებიც უფრო მრავალი უნდა იყოს, ვიდრე ეს მარქსთან არის. თანამედროვე სოციოლოგიაში განსხვავებული დამოკიდებულებაა როგორც სოციალური სტრუქტურის, ისე სოციალურ ცვლილებათა სასიათსა და მიმართულებაზე. ერთნი უარყოფენ რევოლუციას, როგორც სოციალური მოძრაობის კანონს და სოციალური ცვლილებების მიზეზებიდან გამორიცხავენ მას. მეორენი კი თავისებურ პლურალისტურ რევოლუციებს აღიარებენ. დარენდორფი კი ებრძვის ყოველგვარ რევოლუციებს. მისი აზრით, სოციალური ცვლილებები ხდება თანდათანობით, რევოლუციები იშვიათი გამონაკლისებია და არა წესი. მარქსთან საკუთრების ფორმა გამოყენებული იყო კლასის მაკონსტრუირებელ პრინციპად,

თანამედროვე ვითარებაში, დარენდორფის მიხედვით, ეს შეუძლებელია, რადგან ახლა საკუთრება აღარ არის კლასობრიობის განმსაზღვრელი. მარქსთან კლასობრივი ურთიერთობა ნიშნავს დაქვემდებარებასა . და ბატონობას, რაც თანამედროვე ვითარებაში ასე არ არის. ე.ი. საკუთრების ფორმამ დაკარგა კრიტერიუმად ყოფნის მნიშვნელობა და ახლა იგი არის ბატონობაც და ურთიერთკონტროლიც.

დარემდორფის აზრით, თანამედროვე პირობებში საჭიროა ახალი კრიტერიუმი, ასეთად გამოდგება ბატონობის ფორმა, ანუ ავტორიტარული სტრუქტურა, როგორც მთელი საზოგადოების კლასთა კონფლიქტის განმსაზღვრელი და საფუძველი. საკუთრება ბატონობის ერთ-ერთი ფორმაა და არა ერთადერთი. დარენდორფი კლასებს ასე განსაზღვრავს: „კლასები კონფლიქტში მყოფი სოციალური ჯგუფებია, რომელთა საფუძველი ბატონობის კავშირის ფორმაა, მასში მონაწილეობის ან მისგან გამორიცხვის სახით". კლასის დარენდორფისეულ განსაზღვრებას ეხმაურება თანამედროვე ამერიკულ სოციოლოგიაში დამკვიდრებული განსაზღვრება, რომლის მიხედვითაც; „კლასის ცნება აღნიშნავს განსხვავებას მათ შორის, ვინც საზოგადოებაში „მაღლა" ან „დაბლა" დგას. უფრო სწორად, კლასებად მოიაზრება განსხვავებული შემოსავლების მქონე და შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანთა ჯგუფები".

საინტერესოა დარენდორფისეული განმარტება, თუ როგორ მიეკუთვნება ინდივიდი ამა თუ იმ კლასს. ინდივიდი იმდენად ეკუთვნის ამა თუ იმ კლასს, თუ რა როლს ასრულებს იგი არსებულ სოციალურ სისტემაში. არ არსებობს პიროვნება, როლის გარეშე და, შესაბამისად, კლასობრივი კუთვნილების გარეშე. უნდა

აღინიშნოს, რომ როგორც როლის, ისე კლასის კუთვნილება შეძენადია. თუ მუშას ირჩევენ ხელმძღვანელობაში, იგი იცვლის როლსაც და კლასობრივ კუთვნილებასაც. დიფერენცირებულია ოჯახის კუთვნილებაც კლასისადმი. თუ ოჯახის უფროსი მენეჯერის როლს ასრულებს, იგი მენეჯერთა კლასს ეკუთვნის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მისი ცოლ-შვილიც ამავე კლასის წარმომადგენლები იქნებიან; მათი კლასობრივი კუთვნილება განისაზღვრება მათივე როლით საზოგადოებაში. გაბატონებულ კლასად არ ჩაითვლება ბიუროკრატია. მართალია, მათ გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ, მაგრამ მაინც სხვის ბრძანებებს ასრულებენ. გაბატონებულ კლასს მიეკუთვნებიან ისინი, ვისაც პოლიტიკურად გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ: მინისტრები, პარლამენტარები, მოსამართლეები და სხვები.

თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში მთავარია არა ის, თუ ვისი შვილი და რომელი ფენის წარმომადგენელია ადამიანი, არამედ, რა განათლება და პროფესია გააჩნია პიროვნებას. აღზრდისა და განათლების დონე ხდება განსაზღვრული, მთავარია შრომა და კვალიფიკაცია; თუმცა, საკუთრებასაც აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იგი გავლენას ახდენს შემოსავალზე.

ფონ ვიზე განასხვავებს ხუთ კლასს: 1. ღატაკნი; 2. მუშათა კლასი; 3. წვრილი კაპიტალისტები; 4. შეძლებული კლასები; 5. ძალზე მდიდრები. ყოველი კლასის შიგნით იგი ფენებს განასხვავებს, მაგალითად, მუშათა კლასში სამ ფენას განასხვავებს: 1. ყველაზე ადვილად შეცვლადი; 2. ადვილად შეცვლადი; 3. ძნელად შეცვლადი. ე.ი. ფონ ვიზესათვის კლასები

შესაძლებლობებით, მიღწევებით და წარმატებებით განსხვავდებიან და სადაც ყველას ეძლევა შანსი, შეცვალოს თავისი მდგომარეობა.

ამგვარად, თუ გავიზიარებთ საზოგადოების კლასობრივი დაყოფის პრინციპს და მიმოვიხილავთ კლასობრიობის პრობლემატიკაზე მომუშავე ავტორიტეტული სოციოლოგების პოზიციებს, შეიძლება კლასების შემდეგნაირი განსაზღვრება ჩამოვაყალიბოთ: კლასები ეწოდება ადამიანთა დიდ ჯგუფებს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობით, რასაც საფუძვლად უდევს არა მხოლოდ მათი არათანაბარი ეკონომიკური შესაძლებლობები, შემოსავლების ოდენობა, არამედ განსხვავებული სოციალური სტატუსი და როლი.

ასეთია კლასების თანამედროვე განსაზღვრება, მაგრამ არიან ისეთი თანამედროვე სოციოლოგებიც, რომლებიც საერთოდ უარყოფენ საზოგადოების კლასობრივ დაყოფას და უნდათ, იგი საზოგადოების ფენობრივი დაყოფით შეცვალონ. ასეთები არიან ლ. ვიზე, ჰ. დრაიტცელი, რომელთა აზრითაც თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში კლასების ადგილი ახალმა სოციალურმა ფენებმა ე.წ. ელიტებმა დაიკავეს. ელიტები წარმოადგენენ საზოგადოებრივ ფენებს, რომლებიც აერთიანებენ ნიჭიერ, გამორჩეულ ადამიანებს, ასევე, მასებსაც. ყველაზე მაღალ ელიტას მიეკუთვნება პოლიტიკური ფუნქციონერები, მმართველები და ა.შ. მაგრამ, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოების ფენებად დაყოფა არ გამორიცხავს კლასობრივ დაყოფას, რომლებიც ფენებთან შედარებით უფრო დიდ ჯგუფებს წარმოადგენენ, რომლებიც განსხვავდებიან თავიანთი

მდგომარეობით. ამავე პოზიციას იზიარებენ თანამედროვე სოციოლოგიის უდიდესი ავტორიტეტები: ნ. სმელზერი და ე. გიდენსი. როგორც ნ. სმელზერი წერს, კლასებს შორის განსხვავებაზე მათი ტერიტორიული დასახლების ფაქტიც კი მეტყველებს და მოჰყავს დეტროიტის მაგალითი, მდიდრები ქალაქის ფეშენებელურ ნაწილში ცხოვრობენ, ღარიბები კი – ღარიბულში. ე. გიდენსი კი აღნიშნავს, რომ სოციალურ ჯგუფებში კლასობრივი განსხვავება შობადობაშიც კი აისახება. მუშების ახალშობილი ბავშვები გამხდრები და მცირე წონით იბადებიან; მდიდრებისა კი – მსუქნები და დიდი წონისანი; ავადმყოფობა ღარიბთა შვილებში გაცილებით მეტია, ვიდრე მდიდართა შვილებში და ა.შ.

საბოლოოდ, უნდა ითქვას, რომ საზოგადოების სტრატიფიკაცია, ანუ დაყოფა ჯგუფებად, ძირითადად ორგვარია: ერთგანზომილებიანი, როდესაც ჯგუფებს ვანსხვავებთ ერთი რომელიმე ნიშნით; ხოლო, მრავალგანზომილებიანი კი გულისხმობს რამდენიმე არსებითი ნიშნით დაყოფას.

არსებობს სოციალური ჯგუფიდან ჯგუფში გადასვლის ჰორიზონტალური – (ჯგუფის შიგნით გადაადგილება) და ვერტიკალური – (ერთი ფენიდან მეორეში ვერტიკალურად ზევით ან ქვევით გადაადგილება).

ამგვარად, სოციალური ფენები წარმოადგენენ საზოგადოებრივი დიდი ჯგუფების შემადგენელ ნაწილს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან: ძონებრივი მდგომარეობით, შემოსავლებით, უფლება-მოვალეობით, კულტურით, ცხოვრების წესით და სხვა; მაგრამ, არის ისეთი მომენტები, რაც მათ აერთიანებთ, მაგალითად, ა.შ.შ.-ში მაღალი

კლასის ზედა ფენას მიეკუთვნებიან ძალზე მდიდარი არისტოკრატული წარმოშობის ადამიანები; ხოლო მაღალი კლასის ქვედა ფენას კი – ის არისტოკრატული წარმოშობის ადამიანები, რომლებსაც საკუთარი ძალისხმევით აქვთ მოპოვებული სიმდიდრე და არა წინაპრების მიერ დანატოვარი. საშუალო კლასს მიეკუთვნებიან ე.წ. „თეთრსაყელოიანები“ – (გონებრივი შრომის მუშაკები), მაღალი განათლების, დიდი შემოსავლების მქონე ინტელექტუალური საქმიანი ადამიანები: იურისტები, ბანკირები, ექიმები;; ხოლო, დაბალი კლასის ზედა ფენას – ე.წ. „ცისფერსაყელოიანებს“, საკანცელარიო საქმიანობის და სხვა დარგის გონებრივი შრომის დაბალი რანგის მუშაკები. ხოლო, დაბალ ფენას – სოციალურად და ეკონომიურად გაჭირვებული, ფიზიკური შრომით დაკავებული ნაკლებად უზრუნველყოფილი და უმუშევარი ადამიანები. დაახლოებით ასეთივეა ევროპის განვითარებული ქვეყნების სტრსტიფიკაციული შემადგენლობაც.

რაც შეეხება საქართველოს, კლასობრივ-სტრატიფიკაციულ სტრუქტურას, აქაც, როგორც სხვა მსგავსი განვითარების ქვეყნებში, რომლებმაც განვლეს განვითარების დაახლოებით ერთიდაიგივე გზა, შესაბამისად მსგავსია.

საქართველოში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, შეიცვალა საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა. თავისი თავისებურებებიდან გამომდინარე, ქვეყანაში დაიწყო დიდმნიშვნელოვანი რეფორმები,, ყალიბდება ახალი თავისუფალი ღია საზოგადოების შესაბამისი სტრუქტურა. საბაზრო-ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლა, მიწის კერძო საკუთრებაში მოქცევა, თავისუფალ სამეწარმეო საქმიანობის დაშვებამ, დემოკრატიული სამართლებრივი ბაზის შექმნამ, საშუალება მისცა ახალი

სოციალური სტრუქტურის ჩამოყალიბებას. იკვეთება მოსახლეობის დაყოფის სამი დიდი საზოგადოებრივი ჯგუფი – მაღალი, საშუალო და დაბალი.

რაც შეეხება კლასსშიგა ფენებს, დასავლეთის მსგავსად, თითოეულ კლასში ყალიბდება ზედა და ქვედა ფენები. ჩვენი სპეციფიკიდან გამომდინარე, კლასთა და ფენათა განმასხვავებელი უპირველესი ნიშანი ეკონომიკური-შემოსავლების ოდენობაა. ეს იმით არის განპირობებული, რომ ჯერ კიდევ, ქვეყანაში კრიზისი და ეკონომიკური გაჭირვებაა. ამიტომ ჩვენში, შესაბამისად, მაღალ კლასში შედის მოსახლეობის ის უმცირესი ნაწილი, ვინც მდიდარია და ის ნაწილიც, რომლებიც სიმდიდრით არ გამოირჩევიან, მაგრამ აქვთ ძალაუფლებასთან კავშირი, ანუ მაღალი საზოგადოებრივი სტატუსი და პრესტიჟი. დანარჩენი ფაქტორები, როგორიცაა განათლება, კულტურა, პროფესიონალიზმი და სხვა, ნაკლებად პრესტიჟულია; მათი გამოყენების შეზღუდულობის გამო, უნდა აღინიშნოს, ყველა ფენისათვის მთავარი და უმნიშვნელოვანესია შემოსავლები და ქონება.

ვარაუდობენ, რომ საქართველოში მაღალი კლასის მაღალი და დაბალი ფენა 5-6%. საშუალო კლასის შემოსავლები დაახლოებით უტოლდება სამომხმარებლო მინიმუმს, ისინი თავის თავს უზრუნველყოფენ სურსათითა და ტანსაცმლით. ეს არის საშუალო და მცირე ბიზნესით დაკავებული ადამიანები: სამეცნიერო, სამედიცინო, საინჟინრო-ტექნიკური, შემოქმედებითი ინტელიგენციის მაღალი რანგის წარმომადგენლები, რომლებიც მოსახლეობის 18-20%-ს შეადგენენ. დაბალი კლასის წარმომადგენლები კი, ჩვენში 76-78%-ია. დაბალი კლასის ზედა ფენა სიღარიბის ზღვარზეა – აქ იგულისხმება ინტელიგენციის

უმრავლესობა და გლეხობის დიდი ნაწილი. ამ კლასის დაბალ ფენებში კი, ნამდვილად, გაუსაძლისი მდგომარეობაა: მარტოხელები, ქვრივ-ობლები, ინვალიდები, უმუშევრები, ლტოლვილები – მართლაც რომ სავალალო მდგომარეობაში არიან.

4.2. სოციალური სტრუქტურის თეორია

თანამედროვე პირობებში, მითუმეტეს პოსტსაბჭოურ სივრცეში, სადაც გაბატონებული იყო მარქსისტული იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც სოციალური სტრუქტურა წარმოდგენილი იყო გამარტივებულად – არსებობდა ორი კლასი: მუშათა და გლეხთა და, ინტელიგენცია, როგორც ფენა, გაუქმებული იქნა. სოციალური სისტემა შეიცვალა კაპიტალისტურით; ასეთ ვითარებაში აქტუალური გახდა სოციალური სტრუქტურალიზაციის ახლებურად გადაწყვეტის საკითხი; ამისთვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გასცემოდა კითხვას პასუხი, თუ რა კრიტერიუმებით უნდა გვეხელმძღვანელა საზოგადოების სტრუქტურულად დაყოფისათვის. დასავლეთის ქვეყნებში, ამ პერიოდისათვის წარმატებით გამოიყენებდნენ ისეთ კრიტერიუმებს, როგორიცაა: საკუთრების ფორმები, პროფესია, განათლების დონე, პრესტიჟი, კვალიფიკაცია, შემოსავლების ოდენობა და სხვა.

აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისათვის, ასევე, უდიდესი მნიშვნელობის არის კითხვა, სოციალური სტრუქტურა ეს ობიექტური რეალობაა, რომელზედაც შემეცნების პროცესს ვახორციელებთ, თუ სუბიექტურია, ე.ი. შემეცნების პროცესში შექმნილი რეალობაა? არსებობენ სოციოლოგები, რომლებიც ფიქრობენ, რომ სოციალური სტრუქტურა უნდა განვიხილოთ როგორც ობიექტურ კავშირთა და იერარქიათა სისტემა, რომლის შემეცნებასაც ვახორციელებთ; მაგრამ, არიან ისეთებიც, რომლებიც

ამტკიცებენ იმას, რომ სოციალურ რეალობაში იარსებებს იმდენი სტრუქტურა, რამდენ კრიტერიუმსაც შევიმუშავებთ საზოგადოების დიფერენციისათვის.

მართებულად მიგვაჩნია სოციოლოგიის თეორეტიკოსის ბლაუს აზრი, რომლის მიხედვითაც სოციალური სტრუქტურის საფუძველი სოციალურ რეალობაშია. შემმეცნებელი, მისი ინტერესების შესაბამისად, არჩევს განსაზღვრულ სტრუქტურულ განზომილებებს, რომლებსაც უამრავი კრიტერიუმი შეიძლება მოენახოს, როგორიცაა: ჯგუფები, ერთობები, საზოგადოებები, ფენები, კლასები, სოციალური სტატუსი, სოციალური როლები, სოციალური წარმოშობა, ცხოვრების წესი, სარწმუნოება, ენის, ტერიტორია, ეთნიკური ნიშანი თუ სხვა, რომელსაც შემმეცნებელი კი არ ქმნის, არამედ ობიექტურად არსებობს, რომელსაც შემმეცნებელი იმეცნებს.

სოციალური სტრუქტურის ცნება ორი მნიშვნელობით გამოიყენება – ვიწრო და ფართო.

ვიწრო გაგებით, სოციალური სტრუქტურა კლასობრივ და წოდებრივ დაყოფას უიგივდება (მას უკავშირებენ მარქსიზმს). თანამედროვე სოციოლოგიაში უფრო მიღებულია სოციალური სტრუქტურის ფართო გაგება, რასაც ეყრდნობა თანამედროვე სოციალური სტრატიფიკაციის თეორია, რომელსაც დიდმა სოციოლოგებმა: პარსონსმა და ვებერმა ჩაუყარა საფუძველი. თანამედროვე სტრატიფიკაციის თეორიამ კი საზოგადოების დაყოფის არსებით კრიტერიუმად შრომის ხასიათი აღიარა. აღნიშნული თეორიის მიხედვით კი საზოგადოება იყოფა მმართველებად, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალად, ე.ი. კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ მუშებად და ა.შ. სტრატიფიკაციის თეორია აღიარებს მაღალი და დაბალი ფენების არსებობას, იერარქიულობას და სოციალურ უთანასწორობას, რომელსაც

მრავალი ფაქტორი განაპირობებს. როგორც პ. სოროკინი წერს, ასეთია უფლებები და პრივილეგიები, მოვალეობები და პასუხისმგებლობა, სომდიდრე და სიღატაკე, ძალაუფლება და გავლენა. ამგვარად, თანამედროვე სოციალური სტრატიფიკაცია მრავალგანზომილებიანია, იგი კლასობრივ დაყოფაზე უფრო მეტი ფაქტორის მომცველი და რეალური სურათის ამსახველია; თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური სტრუქტურის მარქსისტულ ანალიზს გვერდს ვერ უვლიან და მის უპირატესობასაც აღიარებენ ისეთი დიდი სოციოლოგები, როგორებიც არიან ამერიკელი სოციოლოგები: როსკო, ჰინკლი, ალვინ ბოსკოვი და ცნობილი გერმანელი სოციოლოგი რალფ დარენდორფი.

ა. ბოსკოვის აზრით: „კ. მარქსი იყო პირველი, ვინც შექმნა და დაამუშავა კლასისა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური და სოციალ-პოლიტიკური საფუძვლების ყოველისმომცველი თეორია, თუმცა მას არ მოუცია „კლასის" განსაზღვრება იმ სახით, როგორც ამას სახელმძღვანელოებში ვხვდებით. მიუხედავად ამისა, ის იქცა ეკონომიკურ ახსნათა კლასიკურ წყაროდ, რომელიც უნდა გავაკრიტიკოთ, მაგრამ მისი უგულვებელყოფა შეუძლებელია."

რ. დარენდორფის მიხედვით: „მარქსის იგნორირება შესაძლებელია, მაგრამ ამის გაკეთება გულუბრყვილო და ზედაპირული იქნება. არცერთი ფიზიკოსი არ უარყოფს ა. აინშტაინს იმის გამო, რომ ის არ ეთანხმება მის პოლიტიკურ შეხედულებებს. ჩვენ მარქსიზმიდან ამოვდივართ, რადგან კლასთა თეორიის მარქსისტული ფორმულირება დღემდე პირველი და ერთადერთია."

თანამედროვე სოციოლოგები სოციალური სტრუქტურის მარქსისტულ მიდგომას ორ ნაწილად ჰყოფენ. ერთნი ინარჩუნებენ კლასის ცნებას და ცდილობენ მისი შინაარსის შეცვლას

(გამოჰყავთ სხვა კრიტერიუმებიდან, როგორიცაა: სოციალური სტატუსი, პრესტიჟი, ადგილი, როლი და ა.შ.). მეორენი კი უარყოფენ როგორც კლასის ცნებას, ასევე მის კრიტერიუმებს და ცდილობენ მის შეცვლას (სოციალური ფენების, კასტების, წოდებების და ელიტის ცნებებით).

სოციალური სტრუქტურის ეკონომიკური კრიტერიუმით კლასიფიკაცია ამერიკულ სოციოლოგიაში ევროპული სოციოლოგიიდან მაქს ვებერის, ლეოპოლდ ვიზესა და სხვებზე დაყრდნობით შეიმუშავეს, სადაც კლასის ყველაზე ზოგადი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო წარმოებისადმი დამოკიდებულება, პროფესიას, სიმდიდრეს, შემოსავლის ოდენობას, საკუთრების, ქონებას, ძალაუფლებას და პრივილეგიების შემოსავლის ტიპს, კვალიფიკაციას, ცხოვრების დონეს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. ასევე, იშვიათად იხსენებდნენ: მორალურ სტანდარტებს, გემოვნებისეულ განსხვავებებს, მიზნებში, ღირებულებებსა და კულტურაში განსხვავებებს.

ბოლო ხანებში, მდგომარეობა შეიცვალა ამერიკულ სოციოლოგიაში, სოციალური სტრატიფიკაციის საკითხი აქტუალური გახდა; შეიქმნა ახალი მეთოდიკა, წინა პლანზე წამოიწია ემპირიულმა კვლევებმა, სადაც ეკონომიკური კრიტერიუმის ნაცვლად დომინანტური გახდა სოციალური პრესტიჟის, სოციალური სტატუსის, სოციალური როლის მნიშვნელობა. ამ პირობებში იცვლება კლასების ცნების შინაარსიც სოციალური სტრუქტურის ახალი თეორიის მიხედვით, რომლის წარმომადგენლებიც არიან: ფონ ვიზე, დრაიტცელი, დარენდორფი.

თანამედროვე ამერიკულ სოციოლოგიაში სოციალური სტრუქტურის კვლევა ვებერიდან იღებს სათავეს.

XX საუკუნის პირველ ნახევარში მაქს ვებერმა შემოიტანა ახალი „სოციალური სტრატიფიკაციის" ცნება (გეოლოგიური ტერმინია, ნიშნავს ფენას), რომელიც უფრო სრულად ასახავს სოციალურ იერარქიას და მოიცავს საზოგადოების ყველა ჯგუფს თუ ფენას. 1927 წელს პიტირიმ სოროკინმა გამოსცა შრომები: „სოციალური მობილობა" და „სტრატიფიკაციის ძირითადი ცნებები". მ. ვებერი და პ. სოროკინი „სტრატიფიკაციის" ცნების შემოტანით უპირისპირდებიან „კლასის" მარქსისტულ გაგებას. აღნიშნული მოაზროვნეებისათვის სტრატიფიკაციის კრიტერიუმი ძალაუფლებაა, იქნება იგი ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა. ვებერი ძალაუფლებას ასე განმარტავს: „ძალაუფლებაში გვესმის ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის შესაძლებლობა, მოახდონოს თავისი საკუთარი ნებელობის რეალიზაცია", მასში მონაწილე სხვა ადამიანთა წინააღმდეგობის მიუხედავადაც.

მართალია, მ. ვებერი კლასის ცნებასაც იყენებს, მაგრამ შეცვლილი შინაარსით. კლასის განსაზღვრებისთვის იყენებს სტატუსის ცნებას. „კლასი ადამიანთა ყოველგვარი ჯგუფია, რომელთაც ერთიდაიგივე სტატუსი აქვთ". მან კლასის ცნება დააფუძნა როგორც საკუთრებაზე, ასევე, ინტერესზე, სტატუსზე და პრესტიჟზე.

მ. ვებერის მიხედვით: „სოციალური სტრატიფიკაცია ადამიანთა მოცემული ერთიანობის კლასებად დიფერენციაციაა იერარქიულ რანგში. ის გამოხატულებას პოულობს მაღალი და დაბალი ფენების არსებობაში. მისი საფუძველი და არსება უფლებათა და პრივილეგიათა, მოვალეობათა და პასუხისმგებლობათა არათანაბარ გადანაწილებაშია".

როგორც ინგლისელი დიდი სოციოლოგი ანტონ გიდენსი აღნიშნავს: „უთანასწორობა ქმნის სტრატიფიკაციას" და სტრატიფიკაცია განისაზღვრება როგორც „ადამიანთა

სხვადასხვა ჯგუფებს შორის უთანასწორობის სტრუქტურირება". ა. ბიდენი განასხვავებს სტრატიფიკაციის ოთხ სისტემას: 1. მონობა; 2. კასტები; 3. წოდებები; 4. კლასები. სტრატიფიკაციის ფართო გაგებას ეთანხმება თანამედროვე ავტორიტეტული მკვლევარი გაიგერიც.

ფ. ვიზეს აზრით, არსებობს სოციალური სისტემის ოთხი ტიპი:

1. კარინული – კარინული სისტემით საზოგადოებრივი ფენების განმასხვავებელი არის სისხლი;

2. დომინური – დომინურ სისტემაში ბატონობს „ომი და მიწა", რის შედეგადაც საზოგადოება იყოფა რაინდებად მემამულეებად და ვაჭრებად;

3. ბურჟუაზიული – ბურჟუაზიულ სისტემაში სამი ფენაა: უმაღლესი, საშუალო და დაბალი (აქ შეიძლება კლასობრივ სტრუქტურაზე საუბარი);

4. ინდუსტრიული – ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი ფენებია ელიტები.

ამავე აზრისაა დრაიტცელიც – მისი აზრით, ელიტების ცნება ინდუსტრიული საზოგადოების შედეგია ისევე, როგორც ფეოდალიზმის დამახასიათებელი იყო „წოდებები" ბურჟუაზიულისთვის – „კლასები"; თანამედროვე ინდუსტრიული საზოგადოებისათვის კი – „ელიტები".

თავი V.

5.1. სოციალური მობილობა

როგორც ცნობილია, სოციალური ცხოვრება მუდმივად იცვლება, ამ ცვალებადობის მუდმივი თანამგზავრია სოციალური სუბიექტების თუ ჯგუფების პოზიციათა ცვლა, მათი გადაადგილება ერთი პოზიციიდან მეორეში.

სოციოლოგიის ამოცანაა, გაარკვიოს ადამიანთა და სოციალური ჯგუფების სოციალური პოზიცია, მათი ადგილი და იერარქია საზოგადოებაში.სწორედ ამ საკითხს ეძღვნება პ. სოროკინის პირველი შრომა „სოციალური მობილობა". სოციალურ მობილობაში იგულისხმება ინდივიდის, ჯგუფის ან ნებისმიერი სოციალური ობიექტის ანუ ყოველივე იმის, რაც „ადამიანის მოღვაწეობით არის შექმნილი და გარდასახულია ერთი პოზიციიდან მეორეში"; ე.ი. სოციალური მობილობა არის სოციალური ადგილმონაცვლეობა.

სოციალური მობილობა ორი მიმართულებისაა – ჰორიზონტალური და ვერტიკალური. პირველი – ერთიდაიგივე დონეზე გვერდზე გადაადგილებას გულისხმობს სტატუსისა და პრესტიჟის შეცვლის გარეშე; ხოლო, მეორე – ერთი ფენიდან მეორეში გადასვლას, როცა იცვლება მათი სოციალური მდგომარეობა, სტატუსი და როლი. ვერტიკალური გადანაცვლება ორგანზომილებიანია – ზემოთ და ქვემოთ.

ადამიანთა სოციალური მდგომარეობა რომ ვიცოდეთ, უნდა გავიგოთ მათი წარმოშობა, ოჯახური მდგომარეობა, თანამდებობა ქონება, რწმენა, პრესტიჟი, განათლება და ა.შ., თუ ადამიანები ან ჯგუფები ყოველივე ამით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაშინ ისინი სხვადასხვა ჯგუფებს მიეკუთვნებიან.

სოციალური მობილობის საკითხი განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ინდუსტრიულ საზოგადოებაში. მის პირველ ეტაპზე განსაზღვრული ხდება არა წოდებრივი კუთვნილება, არამედ საკუთრება, რომელიც უზრუნველყოფს პრესტიჟს მეორე საფეხურზე (პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში) კი საკუთრებაც კი აღარ არის განმსაზღვრელი სოციალური სტატუსისა. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში განმსაზღვრელია განათლება, პროფესია საკუთრებასთან ერთად.

თუმცა, ულტრათანამედროვე სოციოლოგიაში გამოჩნდნენ ისეთი ავტორები: ვისკონსი, ფრეიმანი, ცეტენბერგი და სხვები, რომლებიც ინდიკატორად იყენებენ ყოველგვარ მაჩვენებელს: სქესს, ეროვნებას, რასას, განათლებას, კვალიფიკაციას, ქონებას, თანამდებობას და ა.შ., რაც გავლენას ახდენს სოციალურ სტატუსზე.

5.2. სოციალური ცვალებადობა და მისი ფორმები.

ყველაფერი ცვალებადობას ექვემდებარება; იცვლება საზოგადოებაც, მისი ეკონომიკაც, მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც, იარაღები და მოწყობილობანი, ბუნებაზე ზემოქმედების ხერხები, ადამიანთა ჩვეულები და გამოცდილება, მათი შეხედულებები, განწყობა, ინტერესები, იდეები; ხდება ღირებულებათა გადაფასება, იცვლება პოლიტიკური სისტემები, მართვის ფორმები, ადამიანთა ცხოვრების წესი, ადათები, ტრადიციები, ფსიქოლოგია და კულტურა. რა თქმა უნდა, იცვლება თვით საზოგადოების სტრუქტურა ადამიანთა და სოციალურ ჯგუფთა შორის ურთიერთობები; მაგრამ, ყოველივე ეს ცვლილება არ არის ტოტალური, აბსოლუტური. საზოგადოება თავის განვითარებაში, გარკვეულწილად, ინარჩუნებს იგივეობრიობასა და

სტაბილურობას; ამასთანავე, ყოველთვის ერთნაირი როდია სოციალური ცვლილებების ტემპები. იგი შედარებით ნელა მიმდინარეობდა კაცობრიობის განვითარების ადრეულ პერიოდში, იგი განსაკუთრებით დაჩქარდა ბოლო საუკუნეში.

სოციოლოგიის უმთავრეს ამოცანას სწორედ ამ ცვლილებების ახსნა წარმოადგენს. მისი მიზანია, გაარკვიოს სოციალურ ცვლილებათა ბუნება და გამოავლინოს არსებულ ცვლილებათა მიზეზები.

„სოციალური ცვლილებების" ორგვარი გაგება არსებობს: ვიწრო და ფართო. ფართო მნიშვნელობით სოციალურ ცვლილებებში იგულისხმება ყველაფერი, რაც ხდება საზოგადოებაში.

ვიწრო მნიშვნელობით „სოციალურ ცვლილებებში" იგულისხმება, უშუალოდ, ადამიანთა სოციალურ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, ის, რაც ხდება უშუალოდ სოციალურ ჯგუფებში: ინსტიტუტებში, ორგანიზაციებში, ადამიანთა ქცევებში.

არსებობს სოციალური ცვლილებების ბუნებრივი და არაბუნებრივი სახე. ბუნებრივია სოციალური ცვლილებები, თუ ისინი შეესაბამება საზოგადოების განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს, როცა ცვლილებები მიდის ზომიერად, თავისთავად, ჰარმონიულად, ხელოვნური ჩარევებისა და კონფლიქტების გარეშე.

არაბუნებრივია ცვლილებები, როცა ხელისუფლება სუბიექტურად და ვოლუნტარისტულად ერევა სოციალურ პროცესებში, ძალდატანებით წარმართავს სოციალურ პროცესებს.

რა იწვევს საზოგადოებრივ ცვლილებებს? ძველიდან ახალ მდგომარეობაში გადასვლის აუცილებლობას? ამ კითხვებზე პასუხს, წმინდა თეორიული ინტერესების გარდა, პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა გააჩნია. რაზედაც სხვადასხვა მიმართულების

სოციოლოგები განსხვავებულ პასუხებს იძლეოდნენ. მაგალითად, მექანიკური მიმდინარეობის სოციოლოგები მექანიკური მიზეზებით ხსნიდნენ; ფსიქოლოგისტური მიმართულების სოციოლოგები მიზეზებს ფსიქიკაში ეძებდნენ; გეოგრაფიული ორიენტაციის მქონენი კი – ბუნების, გარემოს თავისებურებებში; მარქსისტები სოციალური ცვლილებების მიზეზად წარმოების წესსა და წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულებას მიიჩნევენ; სოციალ-დარვინისტები სოციალურ ევოლუციასა და ბიოლოგიურ კანონზომიერებებში ხედავენ.

სოციალურ ცვლილებათა მიზეზი, ასევე, სხვადასხვაგვარად არის წარმოდგენილი, სოციალურ თეორიებში, სოციოლოგიის ისეთ დიდ ავტორიტეტებთან, როგორებიც არიან: პ. სოროკინი, უ. როსტოუ, დ. ბელი, ა. ტურინი, რ. არონი, ტ. პარსონსი, მ. ვებერი, ე. გიდენსი.

პ. სოროკინის აზრით, სოციალური ცვლილებები ადამიანთა სულიერი ღირებულებებიდან, მსოფლმხედველობიდან, რელიგიური მრწამსიდან მომდინარეობს.

ტექნოლოგიური თეორიის წარმომადგენლები: როსტიუ, ბელი, ტურინი, არონი – სოციალურ ცვლილებებს ტექნოლოგიურ გარდაქმნებს უკავშირებენ. მათი აზრით, მანქანურმა წარმოებამ, პროცესების მექანიზაციამ და ავტომატიზაციამ, ახალი ენერგეტიკული წყაროების გამოყენებამ და სხვა ტექნიკურმა სიახლეებმა განსაზღვრა საზოგადოებრივი ცვლილებები. სოციალური, კლასობრივი, პროფესიული და კულტურული ღირებულებებიტ. პარსონსის მიხედვით, ცვლილებებს საზოგადოებაში განსაზღვრავს: ენა, რელიგია, ნათესაური ურთიერთობები და ახალი ტექნოლოგიები.

მ. ვებერის თანახმად, საზოგადოებრივ ცვლილებებზე უაღრესად დიდ გავლენას ახდენს საზოგადოებრივი მართვის წესები, იდეოლოგია, სამხედრო ძალა, საბოლოო ჯამში – სახელმწიფო.

ე. გიდენსის მიხედვით, შეუძლებელია „ერთფაქტორიანი" სისტემით ავხსნათ სოციალური ცვლილებები. იგი გამომწვევ მიზეზებს სამ ჯგუფად ჰყოფს: 1. ფიზიკური გარემო (კლიმატური პირობები, ფლორა, ფაუნა, ნიადაგის ნაყოფიერება, ბუნებრივი სიმდიდრე); 2. პოლიტიკური ორგანიზაცია (პოლიტიკური სისტემა, ლიდერი, სამხედრო ძალა); 3. კულტურული ფაქტორი (აზროვნების წესი), იდეალები, რელიგია, მეცნიერება და ა.შ.), რასაც შეუძლია შეცვალოს აზროვნება და მიდგომები. აქ დასახელებული ფაქტორებიდან ცალკე აღებული არ მოგვცემს სოციალური ცვლილებების მთლიან სურათს, თუკი მთლიანობაში კომპლექსურად არ განვიხილავთ მათ.

როგორც წესი, სოციალური ცვლილებები ხორციელდება ევოლუციურად და რევოლუციით.

ევოლუცია – (ლათ. გაშლას ნიშნავს), გულისხმობს ნელ, თანდათანობით ცვლილებებს რეფორმებისა და გარდაქმნების გზით.

საინტერესოა ტერმინი „რევოლუციის" ეტიმოლოგია; იგი პირველად ფლორენციელმა ვაჭრებმა, ჯოვანმა და ვილენმა, შემოიტანეს უეცარი პოლიტიკური გადატრიალების აღსანიშნავად, რასაც უწესრიგობა და კრიზისი მოჰყვა, ე.ი. მასში უარყოფითი შინაარსი იდო.

თავიდან, ინგლისურ ენაზე „რევოლუციაში" – „წრეში მოძრაობა", ანუ უკან დაბრუნება იგულისხმებოდა. შემდგომში კი

„რევოლუცია“ – პოლიტიკურ, რადიკალურ გარდაქმნებს, ძველი წყობილების ახლით შეცვლას გულისხმობს.

თანამედროვე გაგებით, სოციალური რევოლუცია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის გზით, პოლიტიკური ცხოვრების ძირეულ შემობრუნებას ნიშნავს. სახელმწიფოებრივი გადატრიალება, როცა უცვლელი რჩება პოლიტიკური სისტემა, სოციალური სტრუქტურები და ინსტიტუტები რევოლუციად არ აღიქმება, ე.ი. რევოლუცია გულისხმობს საზოგადოების ძირეულ ცვლილებებს ძალადობის გამოყენების გზით. აჯანყებაც ძალადობას გულისხმობს, მაგრამ მან თუ არსებითად არ შეცვალა საზოგადოებრივი წყობილება, იგი რევოლუციად არ ჩაითვლება.

სოციალურ რევოლუციას ახასიათებს შემდეგი არსებითი ნიშნები: 1. მასობრიობა (მთელი საზოგადოების ინტერესების გამომხატველი); 2. სახელმწიფო ხელისუფლების ძალდატანებით მოპოვება; 3. გატარებულ ღონისძიებათა ფართომასშტაბურობა; 4. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირეული გარდატეხის მოტანა.

სოციალური რევოლუცია ევოლუციისაგან იმით განსხვავდება, რომ რევოლუციის დროს ხდება ერთი საზოგადოებიდან მეორეზე ნახტომისებური გადასვლა, ძველის უკუგდება და ახლის მოკლე პერიოდში დამყარება.

ცივილიზებული საზოგადოება რადიკალურად ემიჯნება ძალადობის გზით საზოგადოების გარდაქმნის მარქსისტულ თეორიას. სადაც კი, ძალადობის გზით, განხორციელდა რევოლუციები, ყოველთვის მას მოჰყვა: ნგრევა, სისხლი, საზოგადოების ღრმა კრიზისი. ზოგჯერ, ასეთ გარდაქმნებს მოაქვს დროებითი წარმატებებიც, მაგრამ ძალადობაზე

დაფუძნებული იმთავითვე განწირულია და არ შეიძლება მას კეთილი ბოლო ჰქონდეს; თუმცა, აღნიშნული შეფასებაც არ არის ერთმნიშვნელოვნად ყველასათვის მისაღები. ზოგიერთებს, მაგალითად კონდორსეს, გიზოს – რევოლუციები აუცილებელ, კანონზომიერ მოვლენად მიაჩნიათ; მარქსი „ისტორიის ლოკომოტივს“ უწოდებს; ხოლო, სხვები რევოლუციას ნორმალური, კანონზომიერი გზიდან გადახრად მიიჩნევს; ზოგიერთები კი მას სატანისეულ საქმედ და საზოგადოების დამანგრეველ მოვლენად აღიარებს.

სოციალური რევოლუციები, მართლაც, ისტორიული ფაქტია; მაგრამ, მას კანონზომიერ მოვლენად ვერ ვაღიარებთ, რადგან იგი ძალმომრეობის განსაკუთრებული ფორმაა, მაგრამ საგულისხმოა ის, თუ რა ძალები იყენებენ ამ ძალმომრეობას. რევოლუცია სამართლიანად და კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, თუ იგი ხალხის პროგრესულ ინტერესებს და იდეალებს გამოხატავს; თუ იგი ძველი, დრომოჭმული, საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი ძალების წინააღმდეგ არის მიმართული და ძალადობის გარეშე მათი ალაგმვა შეუძლებელია. მართალია, მას მოაქვს მსხვერპლი და ნგრევა, მაგრამ რეგრესულის პროგრესულით შეცვლა მაინც გამართლებულია, როგორც ეს მოხდა ამერიკისა და საფრანგეთის 1776-1789 წწ. რევოლუციების დროს.

ე.ი. სოციალური რევოლუცია მხოლოდ მაშინ ასრულებს ისტორიულ მისიას, როცა იგი ბუნებრივად არის ჩართული განვითარების, ანუ სოციალური ევოლუციის მთლიან ჯაჭვში და არ წარმოადგენს რადიკალურად განწყობილი ვიწრო ჯგუფის ან

დაფუძნებული იმთავითვე განწირულია და არ შეიძლება მას კეთილი ბოლო ჰქონდეს; თუმცა, აღნიშნული შეფასებაც არ არის ერთმნიშვნელოვნად ყველასათვის მისაღები. ზოგიერთებს, მაგალითად კონდორსეს, გიზოს – რევოლუციები აუცილებელ, კანონზომიერ მოვლენად მიაჩნიათ; მარქსი „ისტორიის ლოკომოტივს“ უწოდებს; ხოლო, სხვები რევოლუციას ნორმალური, კანონზომიერი გზიდან გადახრად მიიჩნევს; ზოგიერთები კი მას სატანისეულ საქმედ და საზოგადოების დამანგრეველ მოვლენად აღიარებს.

სოციალური რევოლუციები, მართლაც, ისტორიული ფაქტია; მაგრამ, მას კანონზომიერ მოვლენად ვერ ვაღიარებთ, რადგან იგი ძალმომრეობის განსაკუთრებული ფორმაა, მაგრამ საგულისხმოა ის, თუ რა ძალები იყენებენ ამ ძალმომრეობას. რევოლუცია სამართლიანად და კანონზომიერ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს მაშინ, თუ იგი ხალხის პროგრესულ ინტერესებს და იდეალებს გამოხატავს; თუ იგი ძველი, დრომოჭმული, საზოგადოების განვითარების შემაფერხებელი ძალების წინააღმდეგ არის მიმართული და ძალადობის გარეშე მათი ალაგმვა შეუძლებელია. მართალია, მას მოაქვს მსხვერპლი და ნგრევა, მაგრამ რეგრესულის პროგრესულით შეცვლა ზაინც გამართლებულია, როგორც ეს მოხდა ამერიკისა და საფრანგეთის 1776-1789 წწ. რევოლუციების დროს.

ე.ი. სოციალური რევოლუცია მხოლოდ მაშინ ასრულებს ისტორიულ მისიას, როცა იგი ბუნებრივად არის ჩართული განვითარების, ანუ სოციალური ევოლუციის მთლიან ჯაჭვში და არ წარმოადგენს რადიკალურად განწყობილი ვიწრო ჯგუფის ან შეთქმულთა ინსპირირებულ ქმედებას, რასაც, ნამდვილად არაფერი დადებითის მოტანა არ შეუძლია.

საშინაო ფუნქციაში შედის ქვეყნის შიდა ძალების, სოციალური ჯგუფების, პარტიების, ორგანიზაციების, ადამიანთა შორის ურთიერთობების რეგულირება, წესრიგისა და სტაბილურობის შექმნა, ადამიანთა უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, კანონის წინაშე თანასწორობის დაცვა. დისკრიმინაციული დამოკიდებულების რასობრივი, ეროვნული, ქონებრივი, რწმენითი თუ სხვა ნეგატიურის აღკვეთა; მოქალაქეებისადმი მინიჭებული უფლების დაცვა.

საგარეო ფუნქცია გულისხმობს სხვა ქვეყნებთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ და სხვა ურთიერთობების დამყარებას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას გონივრულ დემოგრაფული და ეკოლოგიური პოლიტიკის გატარებას, საერთაშორისო ტერორიზმთან, სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლას.

სახელმწიფო მართვის ფორმებიდან გავრცელებულია ტოტალიტარული, ავტორიტარული და დემოკრატიული ფორმები.

ტოტალიტარულია – სახელმწიფო, როცა იგი მთლიანად დიქტატორულია, ე.ი. როცა იგი კანონით შეუზღუდავია და კონტროლს უწევს საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროს.

ავტორიტარულია – სახელმწიფო, როცა მას მართავს ავტორიტარული პიროვნება, რომელიც დიქტატურის მისაჩქმალად ზოგიერთ დემოკრატიულ ინსტიტუტს ინარჩუნებს.

დემოკრატიულია – სახელმწიფო, როცა მისი ხელისუფლება ხალხის მიერ არის არჩეული, ხალხი მონაწილეობს მის მართვაში და ხალხის ინტერესებს გამოხატავს. დემოკრატიულ

სახელმწიფოში მართვის ფუნქციები მხოლოდ ცენტრალურ ხელისუფლებაზე კი არ არის გადაბარებული, არამედ მათ პარალელურად არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, კავშირები, რომელთა ერთობას სამოქალაქო საზოგადოებას უწოდებენ, რომელთა მთავარ ამოცანას პოლიტიკური აქტივობა, მოქალაქეთა უფლებებისა და სხვა დემოკრატიულ ფასეულობათა დაცვაა. ცენტრალური ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის შეთანხმებული საქმიანობა დემოკრატიის სრულქმნასა და განვითარებას ემსახურება.

პოლიტიკურ სისტემაში, ასევე, დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიებს რომლებშიაც ერთიანდებიან სოციალური ჯგუფების და ფენების აქტიური წარმომადგენლები.

პარტიები ორიენტაციის მიხედვით იყოფიან: მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტულ მიმართულებად.

პარტიების ძირითად ამოცანას წარმოადგენს პოლიტიკური აქტივობის გამოვლენა, საზოგადოების საჭირბოროტო საკითხების გადაჭრის მიზნით სახელმწიფო ხელისუფლებაზე ზეწოლა, რათა მან ანგარიში გუწიოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხალხის მოთხოვნებს, რაც მთავარია პარტიები უნდა იდგნენ საზოგადოების სხვადასხვა ფენების ინტერესების დაცვის სადარაჯოზე და ლობირებდნენ სხვადასხვა ფენების ინტერესთა რეალიზებას.

თავი VI.

6.1. ინდუსტრიული საზოგადოება

არსებობს საზოგადოების სხვადასხვა ტიპი. არსებობს საზოგადოების განმასხვავებელი კრიტერიუმები იმის მიხედვით, თუ რა კრიტერიუმებით მივუდგებით და ვისარგებლებთ, საზოგადოება შეიძლება დავყოთ: დემოკრატიულად და ტოტალიტარულად; კაპიტალისტურად და სოციალისტურად; ინდუსტრიულად და პოსტინდუსტრიულად; ღიად და დახურულად; ტრადიციულად და თანამედროვედ; სამოქალაქოდ და სამხედროდ და სხვა.

ინდუსტრიული საზოგადოება, რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ყალიბდება, დღემდე არ არსებობს მისი ერთგვაროვანი გაგება. ინდუსტრიულ საზოგადოებას ზოგი სოციოლოგი განსაზღვრავს სამრეწველო რევოლუციიდან დღემდე ერთიან საზოგადოებას.. მისი განვითარების ეტაპების მხედველობაში მიღების გარეშე და საზოგადოების შიგნით არსებულ განსხვავებებს უმნიშვნელოდ მიიჩნევს. ზოგიერთები კი (რომელთა აზრიც უფრო მართებულად მიგვაჩნია) ინდუსტრიულ საზოგადოებას ყოფენ სამრეწველო რევოლუციიდან მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციამდე, რომელსაც მოჰყვება ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების მეორე ეტაპი, როგორიცაა პოსტინდუსტრიული საზოგადოება. ზოგიერთების აზრით კი, ინდუსტრიული საზოგადოება სამრეწველო რევოლუციიდან დღემდე გრძელდება ორ ეტაპად: 1. ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების დაბალი ეტაპი და, 2. მაღალი ეტაპი. განვითარების ამ ორ ეტაპს შორის არსებობს გარკვეული განსხვავებები. ამ

თვალსაზრისის გამტარებლები არიან: ბელი, გალბრეითი, არონი, როსტოუ, დარენდორფი.

„ინდუსტრიულ საზოგადოებაზე“ პირველი მინიშნებები ფიქსირდება სოციოლოგიის მამად წოდებულ ოგიუსტ კონტთან, რომესაც ფრანგმა სოციოლოგმა რ. არონმა უწოდა დიდი სოციოლოგი ფილოსოფოსთა შორის და ფილოსოფოსი სოციოლოგებში. როგორც სოციოლოგი გურევიჩი წერს, იგივე შეიძლება ითქვას არონზეც, რომელიც თავის შრომაში „სოციოლოგიის განვითარების ეტაპები“, იწყებს მონტესკიეთი და შემდეგ განიხილავს ო. კონტს, როგორც ინდუსტრიულ საზოგადოებაზე ორიენტირებულ მოაზროვნეს.

როგორც რაიმონ არონი აღნიშნავს, ო. კონტის მოღვაწეობის პერიოდში ჩნდება ინდუსტრიული საზოგადოების ჩამოყალიბების პირობები. მის შრომებში, რომლებიც დაწერილია 1820-1826 წწ. „საზოგადოების რეორგანიზაციისათვის საჭირო გეგმა“, „სოციალური ფილოსოფიის ოპუსკულები“, „მეცნიერებათა და მეცნიერთა შესახებ ფილოსოფიური განაზრებანი“, წარმოდგენილია საზოგადოების ძველი ცხოვრების წესის კრიტიკა, ნაჩვენებია ცხოვრების ახალ წესზე გადასვლის აუცილებლობა, მსჯელობს იმის თაობაზე, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ძველი თეოლოგიური და სამხედრო ცხოვრების წესი უნდა შეიცვალოს ახალი მეცნიერული და ინდუსტრიული ცხოვრების წესით. ახალ საზოგადოებაში სამხედროების ადგილი უნდა დაიკავონ მეწარმეებმა, ხოლო თეოლოგების – მეცნიერულმა მსოფლმხედველობამ.

ო. კონტი საზოგადოების რეფორმირების გზაზე უმნიშვნელოვანეს საკითხად მიიჩნევს ინტელექტუალურ რეფორმას,

სადაც გამორიცხული იქნება ყოველგვარი რევოლუციები. როგორც აღვნიშნეთ, კონტის ეპოქაში ინდუსტრიული საზოგადოება არ იყო მთლიანად გამოკვეთილი და ბოლომდე ჩამოყალიბებული. არონმა საფუძვლიანად გააანალიზა კონტის მოსაზრებები. ინდუსტრიული საზოგადოების შესახებ (მას მიუძღვნა 18 ლექცია, რომელიც შემდეგ წიგნადაც გამოიცა), რომელიც 6-ძირითადი ნიშნით ჩამოაყალიბა (რომელთაგან 3-ნიშანი კონტისეულია, ხოლო 3 – მის მიერ შემდგომში მომატებული); ეს ნიშნებია: 1. მრეწველი ემყარება შრომის მეცნიერულ ორგანიზაციას, წარმოება გამიზნულია მაქსიმალურ უკუგებაზე; 2. შრომის ორგანიზაციაში მეცნიერების გამოყენების შედეგად კაცობრიობა კოლოსალურ რესურსებს მოუხმობს გამოსაყენებლად; 3. სამრეწველო წარმოება გულისხმობს მუშათა კონცენტრაციას, ქალაქებში მუშის ფენომენის გაჩენას; 4. ვლინდება წინააღმდეგობა მუშებსა და მეწარმეებს შორის, პროლეტარებსა და კაპიტალისტებს შორის; 5. მეცნიერების გამოყენებით სიმდიდრის ზრდის მიუხედავად, ხშირია ჭარბწარმოება, კრიზისები, სიუხვის პირობებში სიღატაკე; 6. შრომის სამრეწველო და მეცნიერულ ორგანიზაციაზე აგებული ეკონომიკური სისტემა ხასიათდება თავისუფალი საქონელბრუნვით და მოგებაზე გამოდევნებით.

ინდუსტრიული საზოგადოების მკვლევართა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი დიდი სოციოლოგების პოზიცია, როგორებიც არიან დარენდორფი და გალბრეითი, რომელთაც რამდენადმე განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ და რომელთა მოკლე მიმოხილვა შეგვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას ინდუსტრიულ საზოგადოებაზე.

დარენდორფს აღნიშნულ საკითხზე თავის შრომაში „სოციალური კლასები და კლასობრივი კონფლიქტი ინდუსტრიულ საზოგადოებაში“, ერთ-ერთი თავი აქვს მიძღვნილი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ კაპიტალიზმისაგან განსხვავებით ინდუსტრიული საზოგადოების სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ ამ უკანასკნელში წარმოებაში ორი განსხვავებული ჯგუფი მონაწილეობს – განმკარგულებლები და შემსრულებლები. XIX საუკუნის ბოლოდან, როცა ძალას კარგავს საკუთრებისა და კონტროლის ერთ ხელში გაერთიანება, მუშათა სიღატაკე და მოგებისადმი გამოდევნება, იწყება ინდუსტრიული საზოგადოება.

ტრადიციული კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, ინდუსტრიულ საზოგადოებაში კაპიტალიზმის შემდგომი განვითარება, ძირითადად, ოთხი მიმართულებით განხორციელდა:

1. ეკონომიკური რაციონალიზმის განვითარება; 2. ფუნქციონირების პრინციპის გატარება; 3. მოქალაქეობრივი თანასწორუფლებიანობის საყოველთაობა; 4. სტაბილურობის ფორმების შექმნა.

განვიხილოთ თითოეული ამ მიმართულებათაგანი: 1. ეკონომიკური რაციონალიზმის მიმართულებით საზოგადოების განვითარება ხასიათდება წარმოების ექსტენსიური და ინტენსიური ზრდით, ინდუსტრიის გაფართოება: მექანიზაციით, ავტომატიზაციით, საწარმოთა გამსხვილებით, სააქციო საზოგადოებათა ჩამოყალიბებით, ახალი პროფესიების ჩამოყალიბებით. 2. არსებითია ფუნქციონირების პრინციპის გატარება და კონტროლი რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების შემადგენლობის ფუნქციებსა და როლს. აქ ორი მნიშვნელოვანი

მომენტია: ა) სოციალური მობილობა, რომელიც ინდუსტრიულ საზოგადოებაში აღარ არის დამოკიდებული ოჯახზე, გვარზე, კლანებზე, სქესზე, არამედ მთლიანად არის განსაზღვრული ადამიანთა პირადი ფუნქციონირებით; ბ) აღზრდის ინსტიტუტები ხდებიან სოციალური მობილობის წარმმართველი ინსტიტუტები. 3. ინდუსტრიული საზოგადოება ყველასათვის ერთნაირ პირობებს ქმნის, რადგან საზოგადოებაში წარმატების მოსაპოვებლად განმსაზღვრელი ხდება ეკონომიკური რაციონალიზმი, სუბიექტის უნარი და აქტიურობა და არა მემკვიდრეობა, წოდება და საკუთრება. 4. ინდუსტრიული საზოგადოებისათვის სტაბილურობა ნიშნავს არა უძრაობასა და სიმშვიდეს, არამედ სოციალურ ურთიერთობათა ფორმების რეგულირებას კანონის უზენაესობიდან გამომდინარე.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებაში, როგორც დარენდორფი აღნიშნავს, ხდება საკუთრებისა და კონტროლის გათიშვა, საფუძველი ეყრება ახალ ურთიერთობებს. ჩნდებიან დირექტორები, მენეჯერები, რომლებიც მესაკუთრენი კი არ არიან, არამედ მოსამსახურე მმართველები. ყალიბდება ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სტრუქტურა: მესაკუთრეები ანუ აქციონერები და, მეორეს მხრივ, დირექტორები, მენეჯერები. მესაკუთრეები საკუთრებისთვის იღებენ დივიდენდებს, ხოლო დირექტორები და მენეჯერები მართავენ სხვის საკუთრებას სრული უფლებით, ე.ი. მესაკუთრე ანუ კაპიტალისტი კარგავს კონტროლის უფლებას და იგი გადადის დირექტორ-მენეჯერის ხელში. მართალია, ხშირად მესაკუთრეთა შვილები ხდებიან მენეჯერები, მაგრამ ეს ორი ფენა განსხვავებულია; რომ გახდე კაპიტალისტი, უნდა შეიძინო ქონება,

ხოლო რომ გახდე დირექტორ-მენეჯერი, უნდა გამოავლინო ფუნქციერების უნარი (ცოდნა, გამოცდილება, პროფესიონალიზმი).

ამგვარად, კაპიტალისტებთან ერთად ჩნდებიან „თეთრსაყელოიანი“ მენეჯერ-დირექტორები, რომლებიც კვალიფიციურ მუშათა, წვრილ მეწარმეთა და მოსამსახურეთა ფენას მიეკუთვნებიან.

დარენდორფის მიხედვით, XX საუკუნის პირველ ნახევარში ბიუროკრატები არ აღემატებოდნენ 10%; მეორე ნახევარში – ისინი უკვე 20%. ამ პერიოდში იქმნება მოსამსახურეთა ფენა საჯარო მმართველობის, ბანკების, თუ კორპორაციების მომსახურენი, კვალიფიკაციამ და პროფესიონალიზმმა მეტი მნიშვნელობა შეიძინა.

მუშათა კლასიც, შესაბამისად, დაიყო ფენებად. საკუთრებისა და კონტროლის გათიშვამ მოიტანა სოციალური სტრუქტურის დინამიკის მზარდი ტენდენცია. შესაბამისად, ინდუსტრიულ საზოგადოებაში იკვეთება საზოგადოებრივი მობილობის 3 მნიშვნელოვანი მაჩვენებელი: 1. რაც უფრო განვითარებულია ინდუსტრიული საზოგადოება, მით უფრო მობილური არიან ისინი, რგორც თაობათა . შიგნით, ისე თაობათა შორის, ისე ვერტიკალურად თუ ჰორიზონტალურად, როგორც მაღლა, ისე დაბლა; 2. რაც უფრო მაღალია ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, მით უფრო მაღალია მობილობის ნორმა; 3. სოციალური სტრუქტურალიზაცია და იერარქია ინდუსტრიულ საზოგადოებაში სრულიად ახალ სახეს იღებს: ძველი საზოგადოებრივი სტრუქტურები ფასდება ახალი კრიტერიუმებით: საკუთრების ნაცვლად განმსაზღვრელი ხდება ფუნქციონირებაზე აგებული სოციალური პრესტიჟი; საზოგადოების მყარი სტატუსი შეცვალა

სოციალურმა მობილობამ, რომელმაც საზოგადოება დინამიური გახადა; კაპიტალისტის ადგილი დაიკავა აქციონერმა, მეწარმისა – მენეჯერმა. შეიცვალა საზოგადოების ფენობრივი სტრუქტურა და მათი შეფასების კრიტერიუმები. უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა აღზრდის ახალმა ინსტიტუტებმა. ტრადიციულ საზოგადოებაში ოჯახური მეურნეობის ბატონობის სანაცვლოდ, ოჯახს ჩამოსცილდა წარმოება, იგი გადატანილი იქნა ფაბრიკა-ქარხნებში, რამაც განამტკიცა თანამედროვე ქალაქური ტიპის ცხოვრება. ოჯახმა და ეკლესიამ დაკარგა თავისი განმსაზღვრელი ტრადიციული როლი. კლასობრივი საზოგადოებიდან გადავდივართ პროფესიულ საზოგადოებაზე. დარენდორფი წერს: „თუ მანამდელ საზოგადოებაში დამკვიდრებული იყო ფენოვან სტრუქტურაზე (განსაზღვრული იყო შთამომავლობით, წოდებრიობით, წარმომავლობით), ინდუსტრიული საზოგადოება განსაზღვრულია აღზრდის დონით, განათლებით, პროფესიით, პირადი მონაცემებით და სხვა“.

ინდუსტრიული საზოგადოების სხვა ნიშანთა შორის განმსაზღვრელი მნიშვნელობა აქვს „თავისუფლებას როგორც მოქალაქეთა უფლებას“.

განასხვავებენ თავისუფლების სამ სახეს: იურიდიულს, პოლიტიკურს და სოციალურს, რაც ინდუსტრიულ საზოგადოებაში თანმიმდევრობით განხორციელდა: XVIII საუკუნეში – იურიდიული; XIX საუკუნეში – პოლიტიკური; XX საუკუნეში – სოციალური.

დარენდორფის აზრით, ინდუსტრიულმა საზოგადოებამ სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროებში თანასწორობის პრინციპი დაამკვიდრა. თანამედროვე საზოგადოება

უზრუნველყოფილია საარსებო მინიმუმით, დაცულია მოქალაქეთა თანასწორობა; თუმცა, შემოსავლებისა და განაწილების სფეროში, ჯერ კიდევ, არსებობს უთანასწორობა.

დიდმა ეკონომისტმა გალბრეიითმა მოგვცა ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ანალიზი, რომელიც 1967 წელს მან ჩამოაყალიბა თავის შრომებში: „სიუხვის საზოგადოება", „ეკონომიკა და საზოგადოების ინტერესები". გალბრეითისეული სოციალ-ეკონომიკური ანალიზი ემთხვევა დარენდორფისეულ სოციოლოგიურ ანალიზს, მხოლოდ იგი ახალ ვითარებაში განიხილავს ინდუსტრიული საზოგადოების სოციალ-ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას.

გალბრეითი იძლევა ინდუსტრიული საზოგადოების ორიგინალურ და არასტანდარტულ სურათს. კაპიტალიზმს და სოციალიზმს განიხილავს ერთი ტიპის სისტემად და ამტკიცებს ამ სისტემების კონვერგენციის (შერწყმის) შესაძლებლობას. იგი აკრიტიკებს როგორც საბაზრო ეკონომიკის გაფეტიშების, ისე სოციალისტური დაგეგმვის პრინციპს და მიაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკისა და ცენტრალური დაგეგმვის ზონიერად შეზღუდვით და შერწყმით მივიღებთ გაცილებით უკეთეს სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობას. ამასთანავე, გალბრეითი, თანამედროვე ეტაპზე, საჭიროდ მიიჩნევს სოციალური ორგანიზაციების, ინსტიტუტების როლის შეცვლას, პიროვნების ახლებურ გაგებას, კოლექტიური ხელმძღვანელობისა და მოგებისადმი ახლებურ დამოკიდებულებას.

გალბრეითის მიერ ჩამოყალიბებული ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ეკონომიკა 6-სიახლეს შეიცავს: 1. იზრდება დროის მონაკვეთი სამუშაოს დაწყებასა და დამთავრებას შორის; აქ

მხედველობაშია არა პროდუქტის წარმოებისათვის დროის გახანგრძლივება, არამედ – ამოცანის კომპლექსურად გადაწყვეტისათვის, კონკრეტული ამოცანის გლობალურად გააზრებისა და გადაწყვეტისათვის, რასაც მეტი დრო სჭირდება; 2. იზრდება დაბანდებული კაპიტალი, რომლის ნაწილიც ხმარდება წარმოების გაფართოებას და ტექნიკურ გადაიარაღებას; 3. კონცენტრაცია ხდება გარკვეულ მიმართულებებზე, ღრმავდება სპეციალიზაცია-დიფერენციაცია; 4. თანამედროვე ტექნიკური პირობები მოითხოვს შესაბამისი სფეროების ღრმა ცოდნასა და სპეციალიზაციას; 5. სპეციალიზაცია კი მოითხოვს სპეციალისტთა განსხვავებულ ორგანიზაციასა და კოორდინაციას; 6. ჩნდება დაგეგმვის აუცილებლობა.

ე.ი. გალბრეითისეული გეგმის მიხედვით, თანამედროვე წარმოების ბუნება მოითხოვს: ორგანიზაციათა გამსხვილებას, მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიების დანერგვას, ბაზრის გაფართოებას, საქმის ღრმა ცოდნასა და სპეციალიზაციას როგორც დღევანდელობის, ისე პერსპექტივის განჭვრეტას, საწარმოო ციკლის თავიდან ბოლომდე დაგეგმვას, რასაც იგი „სამრეწველო დაგეგმვას უწოდებს" და, რითაც იგი განსხვავდება ინდუსტრიული საზოგადოების სხვა თეორეტიკოსებისაგან.

გალბრეითის „ინდუსტრიული საზოგადოების" ერთ-ერთი არსებითი სპეციფიკა დაკავშირებულია ძალაუფლებასთან. თანამედროვე პირობებში, წარმოების კომპლექსურმა ხასიათმა, ტექნიკისა და ტექნოლოგიების უმაგალითო განვითარებამ შეუძლებელი გახადა კორპორაციის ერთი ადამიანის მიერ ინივიდუალურად მართვა. მესაკუთრე ერთპიროვნულად ვეღარ მართავდა, ასევე, შეუძლებელი გახდა მსხვილი საწარმოებს

დირექტორებისაგან დამენეჯერებისაგან ერთპიროვნული მართვა, რადგან მრავალდარგოვან საწარმოს შესაბამისი დარგის სპეციალისტ-მმართველი სჭირდებოდა, რის მაგალითსაც ფორდი წარმოადგენს. ფორდის წარმოება გაკოტრებას ვერ გადაურჩებოდა, რომელიც მართვის ძველი ტრადიციული მეთოდით მართავდა საწარმოს, თუ არა მისი ნაადრევი გარდაცვალება, რის შემდეგაც მისმა მემკვიდრეებმა დროზე შეცვალეს მართვის ინდივიდუალისტურ-ერთპიროვნული სტილი ჯგუფური მმართველობის ფორმით.

თანამედროვე პირობებში, პიროვნული მმართველობა გადასულია ჯგუფურ, ორგანიზაციულ მმართველობაზე, რადგან რაც არ უნდა მცოდნე და ენერგიული იყოს პიროვნება, სამრეწველო რთულ ტექნიკასა და ტექნოლოგიებში სრულყოფილად ვერ იქნება გაცნობიერებული; მსხვილი საწარმოები გაცილებით წარმატებულნი იქნებიან, თუკი მათი ხელმძღვანელობა დაეკისრება ამა თუ იმ დარგის სპეციალისტებს.

გალბრეითი ცვლის ტრადიციულ სოციალ-ეკონომიკურ სისტემას ტექნოსტრუქტურით. თუ რა სხვაობაა ტრადიციულ კაპიტალისტურ მეწარმე-მესაკუთრესა და ახალ ტექნოსტრუქტურას შორის, გალბრეითი განმარტავს. მეწარმე-მესაკუთრე ცდილობს, რომ თავის საწარმოდან მეტი მოგება მიიღოს; ტექნოსტრუქტურა კი მესაკუთრეებისაგან არ შედგება, იგი წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლის მიზანის წარმატება, რაციონალიზაცია. ამ შემთხვევაში შეცვლილია ღირებულებები, ორიენტირები. ტექნოსტრუქტურაში შეცვლილია პიროვნების მოტივაცია, პიროვნება ექვემდებარება ტექნოსტრუქტურის მიზნებს;

იგი დაინტერესებულია ხელფასის მომატებით, დაწინაურებით, პრესტიჟის ამაღლებით, ცოდნის დონის მატებით, თანამშრომელთა ავტორიტეტის მოპოვებით და ა.შ., მართალია, მსგავსი მოტივაციები არსებობდა ინდუსტრიალურამდელ საზოგადოებაშიც, მაგრამ ტექნოსტრუქტურის ეტაპზე ისინი აღარ არიან განმსაზღვრელნი. ტექნოსტრუქტურის წევრებს მხოლოდ ფული არ აინტერესებთ, მათთვის უფრო მნიშვნელოვანია იდენტიფიკაციის და შეგუების მოტივები; ე.ი. ახალი ინდუსტრიული საზოგადოება ანუ ტექნოსტრუქტურული მმართველობა ცვლის არა მარტო ძალაუფლებისა და საკუთრების თანაფარდობას, არამედ ადამიანთა მამოძრავებელ მოტივებს.

ამგვარად, ინდუსტრიული საზოგადოების განვითარების მეორე ანუ კორპორაციულ ეტაპზე იხსნება დაპირისპირებები მეპატრონე კაპიტალისტებსა და მუშებს შორის; იგი აუმჯობესებს წარმოების ორგანიზაციას, აადვილებს სამუშაო პირობებს, ზრდის ხელფასს, ამცირებს „ლურჯ საყელოიანებს", ზრდის „თეთრსაყელოიანებს", ასუსტებს პროფკავშირებისა და პარტიების როლს.

ახალი ინდუსტრიული საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია ის, რომ წარმოება არ უნდა იყოს პირდაპირ დაკავშირებული მოხმარებასთან, მომხმარებელთან. ე.ი. ინდუსტრიულ საზოგადოებაში იწარმოება უფრო მეტი, ვიდრე მომხმარებლისთვის არის საჭირო, რაც იწვევს ადამიანებზე ფსიქიკურ ზემოქმედებას. სიუხვის შეგრძნება კი ადამიანებში იწვევს საკუთარი მეობის გრძნობის განმტკიცებას და სხვების სოციალურად დათრგუნვას, როგორც გალბრეითი აღნიშნავს, ამ

საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო საშუალებებს.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში მეტად მნიშვნელოვანია განათლების მაღალი დონე, რაც აუცილებელია წარმატებისათვის და შემდგომი წინსვლისათვის. როგორც გალბრეითი წერს, თუ მანამდელი საზოგადოება გათიშული იყო ღარიბებად და მდიდრებად, ინდუსტრიულ საზოგადოებაში ხდება დაპირისპირება განათლებულსა და გაუნათლებელს შორის. ინდუსტრიულ საზოგადოებას ესაჭიროება მაღალი კვალიფიკაციის განათლებული საზოგადოება. ამავე დროს, იგი წარმოებიდან გამოანთავისუფლებს არაკვალიფიციურ მუშაკებს, რაც ქმნის უმუშევრობას; ამას ემატება ახალი პროფესიების წარმოშობა, რომელსაც ვერ ფლობენ ძველი განათლების მქონენი. ე.ი. ერთდროულად მწვავდება, ერთის მხრივ, უმუშევრობა და, მეორეს მხრივ, ახალი კადრების დეფიციტი, ანუ პროფესიონალების ნაკლებობა.

ახალ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ხდება ძველი კრიტერიუმების გადაფასება, კერძოდ, პრესტიჟულობის კრიტერიუმის გადასინჯვა. ახალ საზოგადოებაში წინა პლანზე დგებიან და პრესტიჟული ხდებიან მასწავლებლები. თუ მანამდე პრესტიჟულად ითვლებოდნენ: ბანკირები, ფინანსისტები, ახალ საზოგადოებაში ძალზედ პრესტიჟულად ჩაითვლებიან: ინჟინრები, პედაგოგები. ტექნიკურ საზოგადოებაში იცვლება დამოკიდებულებები: თუ მანამდე მუშები იბრძოდნენ სამუშაო დროის შემცირებისათვის, ახალ პერიდში, ფიზიკური შრომის გაიოლებამ პირიქით, განაპირობა ის, რომ ისინი უფრო მეტად ზრუნავენ სამუშაოს გახანგრძლივებაზე, რათა მეტი შემოსავლები

მიიღონ. ამდენად, ახალ ტექნოსტრუქტურაზე გადასვლა ასუსტებს წინააღმდეგობას დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის.

ინდუსტრიული საზოგადოებრივი სისტემა მჭიდრო კავშირშია სახელმწიფოსთან. ადრეულ პერიოდში, მეწარმისა და ბიზნესმენის დამოკიდებულება სახელმწიფოსთან ფრთხილი იყო, მათ შორის იყო წინააღმდეგობა – თუ სახელმწიფო აჯობებდა ბიზნესს, ახდენდა მის სოციალიზაციას, ზოგჯერ ზღუდავდა კიდეც. თუ ბიზნესი იმარჯვებდა, მაშინ იგი სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლობას აღწევდა. იგი, არჩევნებისა თუ სხვა საშუალებებით, გავლენას ახდენდა სახელმწიფოზე. ტექნოსტრუქტურა პირიქით, თვითონ არის დამოკიდებული სახელმწიფოზე. როგორც გალბრეითი წერს, მართალია, ტექნოსტრუქტურამ ბევრი სირთულე მოხსნა და გააადვილა ცხოვრება, მაგრამ, ამავე დროს, მრავალი ახალი რთული პრობლემის წინაშე დაგვაყენა; პირველ რიგში, ეს ეხება: 1. დამანგრეველი ტექნიკის შექმნას, რომელსაც კაცობრიობის დაღუპვა შეუძლია; 2. საზოგადოების განვითარება გულისხმობს პიროვნების თავისუფლებასა და სრულყოფას. ინდუსტრიული საზოგადოება კი აგებულია კოლექტიურ ინტელექტზე. ასეთ ვითარებაში როგორ შეიძლება ინდივიდუალურობისა და პიროვნულობის შენარჩუნება? 3. ინდუსტრიული საზოგადოება სათანადოდ ხელს ვერ უწყობს ხელოვნების განვითარებას; იგი ინდივიდუალური უფროა, ვიდრე კოლექტიური; ამავე დროს, იგი მოითხოვს დიდ დანახარჯებს, რადგან ეს სფერო არამწარმოებლურია, ძნელდება მისი დაფინანსება. ასეთივე პრობლემები ექმნება განათლების და მეცნიერების (განსაკუთრებით ფუნდამენტური მეცნიერების) უზრუნველყოფას;

როგორც გალბრეითი წერს: „მეცნიერებას და განათლებას ზღუდავს ინდუსტრიული საზოგადოების ეტლზე მიბმა“.

ინდუსტრიული სისტემა გამოდის მთელი საზოგადოების სახელით, მაგრამ, პრაქტიკულად, იგი მხოლოდ პრივილეგირებულ ფენათა ინტერესების დამცველია. ინდუსტრიული საზოგადოება მოწოდებულია მატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად; ამასთან, ორიენტირებულია წარმოებაზე და უყურადღებოდ ტოვებს ეკოლოგიურ, კულტურულ, ესთეტიკურ და სხვა არამწარმოებლურ სფეროებს. მოკლედ, ეს საზოგადოებაც არ არის უნაკლო, ამ საზოგადოებაშიც ხდება ადამიანის გაუცხოება.

ინდუსტრიული საზოგადოების მომავალს გალბრეითი ორი პრინციპის განხორციელებაში ხედავს: 1. ყველა საზოგადოება ექვემდებარება ცვლილებას და ინდუსტრიული საზოგადოებაც შეიცვლება; 2. მოხდება კაპიტალისტური საზოგადოების და სოციალისტური, ანუ დაგეგმვაზე აგებული, სისტემის შერწყმა – კონვერგენცია, რაც გამორიცხავს ამ ორი სისტემის დაჯახებას და კატასტროფას.

6.2. სიუხვის, საყოველთაო კეთილდღეობის და მომხმარებლური საზოგადოება

სიუხვისა და კეთილდღეობის მიღწევა ყოველი საზოგადოების სანუკვარ ოცნებას წარმოადგენს. თუ უფრო ადრე არა, მალთუსიდან მოყოლებული, საზოგადოების სიღატაკის დაძლევის და კეთილდღეობის საზოგადოების ჩამოყალიბებაზე მრავალი მოაზროვნე იმტვრევდა თავს. თეორიულად იქმნებოდა ბედნიერი საზოგადოების მრავალი მოდელი.

ინდუსტრიული საზოგადოების დამკვიდრებამ საზოგადების კეთილდღეობის მოდელად სიუხვის საზოგადოების შექმნა დაისახა. ეს მიზანი ამოძრავებდათ როგორც კაპიტალისტური, ისე სოციალისტური სისტემის იდეოლოგებს. მათ შორის სხვაობა მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის გზებსა და საშუალებებში მდგომარეობს. ადამიანთა მოთხოვნილებების მაქსიმალურად დაკმაყოფილება, წარმოებისა და მოხმარების მაქსიმალური ზრდა, ტექნიკური პროგრესი წარმოადგენს როგორც ერთი, ისე მეორე იდეოლოგთათვის, უმთავრეს ამოცანას. ამ ამოცანის გადასაწყვეტად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გადაწყვეტილიყო დასაქმებისა და უმუშევრობის პრობლემა. დასაქმებული ადამიანების თანდათაობით გამდიდრება, მსყიდველუნარიანობის ამაღლება და, შესაბამისად, მათი გაზრდილი მოთხოვნების განუხრელად დაკმაყოფილება; მაგრამ, აღმოჩნდა, რომ მოხმარების შესაძლებლობა ყოველთვის ვერ მიჰყვებოდა გაფართოებული წარმოების ამოცანებს, ამიტომ შემოღებული იქნა განვადებით გაყიდვის ფორმები.

საზოგადოების მატერიალური და სულიერი მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სიუხვისა და კეთილდღეობის საზოგადოების მიღწევის ორი გზა დაისახა: 1. ინდუსტრიული საზოგადოების – დასავლური მოდელი; 2. ინდუსტრიული საზოგადოების – სოციალისტური მოდელი. ორივე ეს მოდელი გულისხმობდა წარმოებისა და მოხმარების მაქსიმალურად ზრდას, ტექნიზაციისა და მაღალი ტექნოლოგიების დანერგვით სიუხვის შექმნას; ამავე დროს, მომხმარებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, დასახული იქნა მიზნად, რომ წარმოებული პროდუქცია დაშორებულიყო ნედლეულისაგან, რათა

მოპოვებასა და წარმოებას შორის მეტი შუალედური რგოლები ყოფილიყო, რომ მეტი მუშახელი დასაქმებულიყო, რითაც გადაწყდებოდა უმუშევრობისა და დასაქმების პრობლემა და მოსახლეობა გახდებოდა მსყიდველუნარიანი, რაც, თავის მხრივ, წარმოების გაფართოებასა და საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლებას გამოიწვევდა.

სიუხვისა და კეთილდღეობის გალბრეითისეული ეს თეორია, რომელიც XX საუკუნის 50-იან წლებში განავითარა თავის ტრილოგიის პირველ წიგნში: „სიუხვის საზოგადოება", მალე გახდა კრიტიკის საგანი, რადგან ჯერ კიდევ გალბრეითამდე, მარქსმა და მასთან ახლოს მდგომმა მოაზროვნეებმა მილმა, ფრომმა და სხვებმა აჩვენეს, როცა ადამიანები ვერ იძენენ და ვერ ითვისებენ წარმოებულ პროდუქციას, ხდება ადამიანთა გაუცხოება. ადამიანებში ისადგურებს სიცარიელე, როცა ისინი მატერიალურად უზრუნველყოფილნი არიან, მაგრამ სულიერებას მოკლებულნი. XIX საუკუნეში შეეძლოთ ეფიქრათ, რომ სიღარიბის დაძლევა და სიუხვის შექმნა მართლაც მოიტანდა კეთილდღეობას, მაგრამ XX საუკუნეში სიუხვის გამო ადამიანებმა იგრძნეს სულიერი შიმშილი, ამაოება და სიცარიელე; ის, რომ მხოლოდ მატერიალურ სიუხვეს არ შეუძლია მოიტანოს ბედნიერება და კეთილდღეობა; ამიტომ, გალბრეითი იძულებული იყო, „სიუხვის საზოგადოების" ცნება შეეცვალა „ინდუსტრიული საზოგადოების" ცნებით. ასეთივე ბედი ეწია კეინსის „მომხმარებლური საზოგადოების" თეორიას, რომელსაც ასევე ჰქონდა აღებული ორიენტაცია მოხმარების დონის ზრდაზე, ანუ საზოგადოების მსყიდველუნარიანობის ამაღლებაზე, რომლის საშუალებითაც, მისი აზრით, მოიხსნებოდა საზოგადოებაში

არსებული კონფლიქტები და მიღწეული იქნებოდა სტაბილიზაცია, რამაც ასევე არ გაამართლა, რადგან გაჩნდა კონფლიქტების სხვა მიზეზები. მქონებელთა და უქონელთა დაპირისპირება შეიცვალა მაკონტროლებელთა და კონტროლს დაქვემდებარებულთა, განათლებულთა და გაუნათლებელთა შორის კონფლიქტებით. საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებრივი თეორია თვლის, რომ ინდუსტრიულ საზოგადოებაში ყველა მდიდრდება, ხდება დიდი და მცირე შემოსავლიანთა დაახლოება; მცირე შემოსავლიანთა მეტად გამდიდრების ზრდით, მთლიანი საზოგადოება ხდება საყოველთაო უზრუნველყოფის საგანი.

ამგვარად, მალთუსიდან მოყოლებული გალბრეითის ჩათვლით, სოციალური თეორიები სხვადასხვა კუთხით, მაგრამ არსებითად ერთი მიმართულებით განსაზღვრავენ ინდუსტრიულ საზოგადოებას; სულ ერთია, რას დაარქმევენ მას – სიუხვის, მოხმარების, თუ საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებას. სიუხვის საზოგადოების თეორია XIX საუკუნის 50-იან წლებში წარმოიშვა, რომელსაც წინ უძღოდა მომხმარებლური საზოგადოების თეორია, რომლის წარმომადგენლებიც: როსტოუ, ტოფლერი და სხვები, საზოგადოების ეკონომიკურ აღმავლობას მოთხოვნილების ზრდით ხსნიდნენ. მოთხოვნილების ზრდას კი წარმოების ზრდაც მოჰყვება. ამ თეორიით ყველაფერი ემსახურება მოთხოვნილების უფრო მეტ ზრდას, ვიდრე წარმოებისას. მრეწველობის და წარმოების ინტენსიური ზრდა იწვევს ნედლეულის მოპოვებაზე მოთხოვნების გაზრდას; ბუნების გაზრდილი ექსპლუატაცია კი ეკოლოგიური კრიზისის საფუძველია, რაც საზოგადოებისათვის აუცილებელია, ტექნიკური პროგრესი და შრომის ნაყოფიერების ამაღლება; მაგრამ,

საგულისხმოა ისიც, თუ რა მოჰყვება ყოველივე ამას, რადგან შრომის ნაყოფიერების ზრდა და ტექნიკური პროგრესი იწვევს დასაქმებული მუშახელის შემცირებას, უმუშევრობას, მსყიდველუნარიანობის შემცირებასა და სხვა უარყოფით შედეგებს; ამიტომ, სოციალური პროგრესის გვერდით გაჩნდა პროგრესის სხვადასხვაგვარი გაგება, როგორიცაა: ექსტენსიური და ინტენსიური, პროცესიული და რეცესიული ცნებები.

ექსტენსიური – პროგრესი, როცა წარმოების არეალი და ფართობი იზრდება, შესაბამისად იზრდება დასაქმებულთა რაოდენობა.

ინტენსიური – პროგრესი, როცა ერთიდაიგივე ფართობზე, დამატებითი სამუშაოების შედეგად იზრდება შრომის ნაყოფიერება და წარმოებული პროდუქცია.

პროცესიული –პროგრესი, რომელიც უზრუნველყოფს პროდუქციაზე მოთხოვნილების და დასაქმების ზრდას, რომელსაც „სოვს“ უწოდებენ.

რეცესიული – ნეიტრალური პროგრესი, რომელიც ისეთი ტექნიკური სიახლეა, რომლის დროსაც პროდუქტიულობის ზრდა იგივე რჩება მწარმოებელთა ნებისმიერი რაოდენობის პირობებში; ანუ, „თუ დასაქმებულთა რიცხვი მწარმოებლურობის ზრდასთან ერთად მატულობს, პროგრესი პროცესიულია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი რეცესიულია“.

ამგვარად, მოთხოვნილება, მოხმარება და დასაქმება ერთმანეთთან არის დაკავშირებული და პროგრესის პროცესიულობა თუ რეცესიულობა მათ თანაფარდობაზეა დამოკიდებული. პროცესიული პროგრესი დაკავშირებულია შრომის ნაყოფიერების, დასაქმების, მოთხოვნილებებისა და

მოხმარების ზრდასთან. რეცესიულია ტექნიკური პროგრესი, რომელსაც მოაქვს სამუშაო ადგილების შემცირება, მაგრამ საბოლოო ჯამში მაინც პროცესიულია, რადგან ცვლის მოხმარებას. ერთიდაიგივე დარგში ტექნიკური პროგრესი შეიძლება იყოს პროცესიული და რეცესიული. მაგალითად, მევენახეობის დარგში შაბიამნის ეკონომია პროცესიული პროგრესია, მაგრამ მუშახელის შემცირება – რეცესიული პროგრესი.

ინდუსტრიული საზოგადოება დაინტერესებულია, ყველა ჰყავდეს დასაქმებული და მსყიდველუნარიანი; ამიტომ თვლიან ამ საზოგადოებას საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოებად. აღსანიშნავია, რომ მოთხოვნილებათა ზრდა ყოველთვის წინ უსწრებს ადამიანთა მსყიდველობით უნარიანობას, რომ შეინარჩუნონ მოხმარების მაღალი დონე, იგონებენ ვაჭრობის ახალ ფორმებს; მაგალითად, კრედიტით ვაჭრობას.

ინდუსტრიულ საზოგადოებაში ხშირად ხდება მიზნებისა და საშუალებების აღრევა. ის, რაც ადრე საშუალებად ითვლებოდა მიზანი ხდება, ხოლო ის, რაც მიზანი უნდა ყოფილიყო – საშუალებად. ეს იმიტომ ხდება, რომ ინდუსტრიულმა საზოგადოებამ კაცობრიობას იმედი მისცა, რომ შექმნიდა სიუხვეს და კეთილდღეობას ყველასათვის, რომ ტექნიკური პროგრესი უზრუნველყოფდა ყველაფერ ამას. ამ ილუზიის ტყვეობაში აღმოჩნდა ყველა, კაპიტალისტები თუ სოციალისტები, იდეალისტები თუ მატერიალისტები, რადგან ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებამ და ინტენსიურმა ექსპლუატაციამ გამოიწვია მთელი რიგი რესურსების, გაჩანაგება, ამოწურვა, წარმოშვა ეკოლოგიური კატასტროფები და მასთან დაკავშირებული კრიზისები.

მატერიალურმა უზრუნველყოფამ ვერ მოუტანა საზოგადოებას სანუკვარი ბედნიერება. ადამიანები ცდილობენ, დაიკმაყოფილონ მეტი მოთხოვნილებები, მაგრამ ვერ დაიოკეს სულიერი სურვილები, რაც თან ახლავს მდიდრული ცხოვრების წესს. ეკონომიკურმა პროგრესმა მიგვიყვანა ყოფიერების დაკარგვის საშიშროებამდე. ეს იმიტომ, რომ მოხდა მიზნებისა და საშუალებების აღრევა. იმის ნაცვლად, რომ ყოფიერება ყოფილიყო მიზანი, ქონება კი საშუალება ხდება პირიქით. ადამიანებმა ვერ გააცნობიერეს, რომ „ყველა სურვილის შეუზღუდველი დაკმაყოფილება ხელს არ უწყობს კეთილდღეობას, ის არ შეიძლება იყოს ბედნიერებისკენ სვლის გზა" (მარქსი). ადამიანები მატერიალური დოვლათის დაუფლებით ცდილობენ, მიაღწიონ დამოუკიდებლობას, უზრუნველყოფილ და ბედნიერ ცხოვრებას; მაგრამ, სინამდვილეში, სიმდიდრისკენ სწრაფვამ მათ დააკარგვინა ადამიანობა. გამდიდრება გახდა მათო ძირითადი მიზანი და ყველაფერი დანარჩენი მისი მიღწევის საშუალება. ცხოვრებამ კი აჩვენა, რომ სიმდიდრის დაგროვებამ მათ სრული ბედნიერება ვერ მოუტანა და ადამიანებს გაუჩინა ქონებისადმი პათოლოგიური მიდრეკილებები. ეს ვითარება კარგად აქვს გაანალიზებული დიდ ფსიქოლოგ ფრომს, რომელიც ადამიანთა მოთხოვნილებების ორ ჯგუფს განიხილავს – ბუნებრივს და კულტურულს. ფრომის მიხედვით, სანამ ადამიანი რჩება ბუნებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ფარგლებში, იგი თავისი თავის იგივეობრივია, მისი კულტურა კი – ჰუმანისტური, ხოლო როცა ადამიანი გამოედევნება ხელოვნური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, ჩნდება ქონებისადმი პათოლოგიური მიდრეკილებები. როცა რაიმეს შეძენის სურვილით შეპყრობილი

ადამიანები იძენენ ნივთებს, რომელთა მოხმარებაც არ შეუძლიათ. ყიდულობენ იმიტომ, რომ პრესტიჟულია და იწარმოება იმიტომ, რომ ყიდულობენ. შეძენა ხდება ცხოვრების ერთად-ერთი მიზანი. ნივთები იწყებენ ადამიანებზე ზეწოლას, ადამიანები ხდებიან ნივთების მონა; ასეთი ადამიანების ოჯახში თავს იყრის ისეთი გამოუყენებელი და ზედმეტი ნივთები, რომლებსაც ვერ იყენებენ. ადამიანები ვერ უძლებენ რეკლამის შემოტევას, სიახლის ცდუნებას და ეჯიბრებიან ერთმანეთს ნივთებისა და ანტიკვარების შეძენაში. ისე არიან შეპყრობილნი გამდიდრების მანიით, რომ ვედარ იაზრებენ და აცნობიერებენ თავიანთ ძირითად მიზნებს. ამ დროს, სხვა ადამიანები დაინტერესებულნი და შეპყრობილნი არიან ისეთი იარაღების შექმნით, რომ მოსპონ ადამიანები ისე, რომ ამით არაფერი დაუშავდეს ნივთებსა და ქონებას.

აქედან გამომდინარე, ნივთომანი ისეთ ადამიანს კი არ უნდა ვუწოდოთ, რომელსაც სურვილი აქვს, მისთვის საჭირო და მოსახმარისი ნივთის შეძენის, რომელიც მის ბუნებრივ ესთეტიკურ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებს, არამედ – პათოლოგიასთან მაშინ გვაქვს მხოლოდ საქმე, როცა ნივთებს მხოლოდ ქონებისათვის იძენენ, რომელსაც არ გააჩნია არც სახმარი, არც გამოყენებადი და, თუნდაც, ტკბობის დანიშნულება.

როგორც ძველი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი გვასწავლის:

„ნუ განადიდებ ძვირფას ნივთებს და მოისპობა კაცთაშორის პარვა".

„ზომიერება ყველაფრის საფუძველია, რადგან ადამიანები მცირედით კმაყოფილდებიან".

„ადამიანებს განახლება არ სურთ, ისინი კმაყოფილდებიან ძველით“.

„სისავსისაკენ არ მიელტვიან“.

ეს და სხვა შეგონებები ადამიანებს გვასწავლიან იმას, რომ სიახლისადმი დაუოკებელი ლტოლვა განაპირობებს წარმოებისა და მოთხოვნილების უსაზღვრო ზრდას, რაც საბოლოო ჯამში, კაცობრიობისათვის ვერაფერი კარგის მომტანია.

63. ღია და დახურული საზოგადოება

სოციოლოგიის ფუძემდებლის კონტის და მისი შემდგომი მოაზროვნეების სპენსერის, დიურკჰეიმის და სხვების ერთ-ერთ უპირველეს კითხვას წარმოადგენს, თუ ვინ ვართ და რა საზოგადოებაში ვცხოვრობთ?

ამ საკითხზე უმნიშვნელოვანესი შრომა აქვს გამოქვეყნებული პოპერს „ღია საზოგადოება და მისი მტრები“ (1945წ.), სადაც იგი აანალიზებს ევრაზიაში მომხდარ სოციალურ რყევებს, სოციალურ რევოლუციებს და, მათგან გამომდინარე, ტოტალიტარულ რეჟიმთა ჩამოყალიბებას, რამაც გამოიწვია მსოფლიო ორი საპირისპირო ბანაკის – ღია და დახურული ტიპის საზოგადოებების შექმნა. პოპერი დემოკრატიული საზოგადოების პარალელურად განიხილავს ბოლშევიკურ და ფაშისტურ-დიქტატორულ რეჟიმებს, რომლებიც ერთნაირად ცდილობენ პიროვნებათა ნიველირებას, ადამიანთა ადვილადმართვად უსახო მასად გადაქცევას თავისუფლებისა და თანასწორობის ლოზუნგით.

პოპერის ეს ნაწარმოები, რომელშიც მოცემულია ღია და დახურული საზოგადოების ტიპები, ღირსეული დაგვირგვინებაა

კონტის, დიურკჰეიმის, ბარტის, ვებერისა და სხვების მიერ მოცემულ საზოგადოებათა ტიპოლოგიებისა, როგორიცაა სამხედრო, რელიგიური დახურული საზოგადოებები, ხოლო ინდუსტრიული დემოკრატიული საზოგადოებები კი მიეკუთვნება ღია საზოგადოებას.

აღნიშნული შრომის პირველ ნაწილში პოპერი ანტიკური საზოგადოების პრობლემებს განიხილავს დღევანდელობის პოზიციებიდან. დემოკრატიის შესაძლებლობებისა და განხორციელების პირობებს. დიქტატურისა და თავისუფლების პრობლემის ისტორიულ ფონზე განხილვა და ანალიზი კი არ აშორებს თანამედროვეობას, არამედ პირიქით, ნაჩვენებია წარსულისა და აწმყოს დიდი მსგავსება (ანტიკურიდან იგი განიხილავს: სოფისტებს, სოკრატეს, პლატონს, არისტოტელეს. ახალ დროში – ჰეგელს, მარქსს).

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, თუ რა არის ღია საზოგადოება და რა არის დახურული, რა ნიშნებით ხასიათდებიან ისინი?

პოპერი ანალიზს იწყებს დახურული საზოგადოებით, რადგან ის არის საზოგადოების განვითარების პირველი ეტაპი და, ასევე, გვხვდება იგი საზოგადოების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. საზოგადოების ამ ორი ტიპის დაპირისპირება, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება: საზოგადოებასა და პიროვნებას, კოლექტივსა და ინდივიდს, ჯგუფსა და ერთეულს შორის ურთიერთმიმართებაში. აქ საკითხი, უპირველეს ყოვლისა, ეხება საზოგადოებაში ინდივიდის მეობის რეალიზაციის შესაძლებლობას, თუ რამდენადაა პიროვნება თავისუფალი. ცივილიზაციამდელ პერიოდში, ანუ დახურულ საზოგადოებაში

გვარ-ტომობრივ ურთიერთობაში განმსაზღვრელია ეს უკანასკნელი ხოლო პიროვნება კი არარაობაა.

ამგვარად, დახურული საზოგადოება გვარ-ტომობრივი ურთიერთობით იწყება და კლასიკურ ფორმას იღებს ძველ საბერძნეთში – სპარტაში. ღია საზოგადოება ამ ტოტალიტარულ დახურულ საზოგადოების საპირისპიროდ ყალიბდება ათენის დემოკრატიული სახელმწიფოს სახით (პერიკლეს ეპოქაში), რაც პოპერს მიაჩნია ღია საზოგადოების საწყისად.

პოპერის მიხედვით, ტოტალიტარულ ანუ დახურულ საზოგადოებაში კრიტიკული აზროვნება არ არსებობს, ამიტომ ნამდვილი ფილოსოფიური აზროვნება მხოლოდ დემოკრატიულ ანუ ღია საზოგადოებაში არის შესაძლებელი; ამიტომ, დახურულ საზოგადოებათა რღვევა ყოველთვის დაკავშირებულია კრიტიკული აზროვნების წარმოშობასთან და ღია საზოგადოების ჩამოყალიბებასთან.

პოპერის აზრით, სოციალური საკითხების გაცნობიერება სოფისტებიდან იწყება, კერძოდ, პროტაგორამ პირველმა განასხვავა ბუნებრივი და ნორმატიული კანონები. ნორმატიული კანონების გაცნობიერება კი თავისუფლების აღიარებას უდევს საფუძვლად რაც ღია საზოგადოებისათვის აუცილებელი პირობაა. მისი აზრით თავიდან არ იყო გაცნობიერებული განსხვავება ბუნებრივ და ნორმატიულ კანონებს შორის; არადა, ამის განსხვავება ისეთი მნიშვნელოვანი იყო, რომ მისი გაცნობიერებით საზოგადოების განვითარებაში ახალი ერა იწყება.

ნორმატიულია კანონები, რომლებიც გარკვეული სახის ქცევებს ნებას რთავენ ან კრძალავენ, როგორიცაა: ათი მცნება*, სამართლებრივი და მორალური ნორმები, რომლებიც არეგულირებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. დახურულ საზოგადოებას არ გააჩნია ამ ორი რიგის კანონთა განმასხვავებელი ცნობიერება; მათთვის ნორმატიულ კანონებს ისეთივე აუცილებლობა ახასიათებთ, როგორც ბუნებრივ კანონებს; ისინი გაიგივებულნი არიან ბუნებრივ აუცილებლობასთან და მონურად მორჩილებენ მას. არ უნდათ გაიგონ, რომ ნორმატიული კანონების შემოქმედნი არიან და მათვე შეუძლიათ მათი შეცვლა. საზოგადოების განვითარების პირველ ეტაპზე პოპერი განასხვავებს კანონების ორ ფორმას: 1. გულუბრყვილო-ნატურალისტურს, როცა ბუნებრივი და ნორმატიული საერთოდ უცვლელია და, 2. გულუბრყვილო-კონვენციონალისტურს, როცა ბუნებრივი და ნორმატიული რეგულირებანი ადამიანის მსგავსი ღმერთების, დემონების გადაწყვეტილებათა შედეგია, მათ მიაჩნდათ, რომ მაგიის ზებუნებრივი ძალების მეშვეობით შეიძლებოდა კანონების ცვლა.

როგორც აღვნიშნეთ, დახურული საზოგადოების ძირითადი ნიშნებია: გვარის, ტომის თუ ჯგუფის ნების ბატონობა ინდივიდზე. ამგვარი ტოტალიტარული საზოგადოება არსებობს არა მხოლოდ კაცობრიობის ისტორიის საწყის პერიოდში, (როგორც ამას ბერგსონი თვლიდა), არამედ საზოგადოების განვითარების

---

* პოპერი განასხვავებს ორი სახის რელიგიას: 1. ავტორიტეტისადმი, მაგიისადმი, ტაბუსადმი ბრმა რწმენას და 2. პიროვნულ პასუხისმგებლობაზე, სინდისის თავისუფლებაზე აგებულ რელიგიებს. პირველი დახურული საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი; მეორე კი მის გადალახვას და ღია საზოგადოებას ახასიათებს.

შემდგომ ეტაპზეც. პიროვნულობის ყოველი გამოვლენა დახურული საზოგადოების რღვევის მაჩვენებელია. ტოტალიტარიზმი და დიქტატურა, ისევე როგორც სამხედრო და რელიგიური სახელმწიფო წყობა, დახურული საზოგადოების არსებითი ნიშნებია. დახურული საზოგადოება გამორიცხავს ინდივიდუალიზმს და ამკვიდრებს კოლექტივიზმს, პირადი ინტერესების დათმობით აბატონებს საზოგადოებრივ ინტერესებს. დახურული საზოგადოება ამკვიდრებს უთანასწორობას წოდებრივი კუთვნილების საფუძველზე, იგი ორგანიზებულ მთლიანობას წარმოადგენს, სადაც ადამიანები საერთო მიზნებით და ინტერესებით, ცხოვრების საერთო წესით არიან შეკრულნი. დახურული საზოგადოება ალტრუისტული, ანტიჰუმანური საზოგადოებაა, რადგან ადამიანთა ინტერესები ეწირება საზოგადოების, სახელმწიფოს ინტერესებს. მართველობა ტოტალიტარულია, რადგან ინდივიდის და პიროვნების ინტერესები ნიველირებულია. მორალი-უტილიტარისტული, რომელიც გამომდინარეობს სახელმწიფო ინტერესებიდან.

დახურული საზოგადოებიდან ღია საზოგადოებაზე გადასვლა, როგორც პოპერი წერს: „შეიძლება დავახასიათოთ როგორც უღრმესი რევოლუციათაგანი, ეს რევოლუცია ბერძნებმა დაიწყეს, რომელიც ჯერ საწყის სტადიაშია, კერძოდ, დახურულიდან ღია საზოგადოებაზე გადასვლის სტადიაში“. ღია საზოგადოება რადიკალური რევოლუციის შედეგად აღმოცენდა, როგორც პოპერი წერს: „ჩემი ბავშვობიდან ის ძლიერ შეიცვალა, თუმცა ზოგიერთი მარქსისტი და არა მხოლოდ ისინი, მას ჯერაც „კაპიტალიზმს“ უწოდებენ; ძალზე ცოტა რამ აქვთ საერთო იმ საზოგადოებასთან, რომლის თანამედროვე იყო მარქსი და კიდევ უფრო ნაკლები

იმასთან, რაც მარქსმა აღწერა და რასაც მან „კაპიტალიზმი“ უწოდა. როგორც დარენდორფი აღნიშნავს, მარქსმა და მარქსისტებმა კაპიტალიზმი ისე გარყვნეს და გალანძღეს, რომ უკეთესი იქნება თუ თანამედროვე საზოგადოებას „ღია საზოგადოებას“ უწოდებთ. მაგრამ, თუ მაინცდამაინც ტერმინ კაპიტალიზმს გამოიყენებენ, უნდა ახსოვდეთ, რომ იგი წარუმატებელი კონსტრუქციაა, ქიმერაა და ჯოჯოხეთის მსგავსად ქვეყანაზე არსად არ არსებულა, ისევე როგორც ჯოჯოხეთი.

ღია საზოგადოების ეტაპზე ცნობიერება არსებითად იცვლება. გულუბრყვილო მონიზმიდან კრიტიკულ დუალიზმამდე გზა რთულია, მაგრამ ღია საზოგადოებაში იგი საბოლოოდ მკვიდრდება. ეს არის ადამიანთა წინსვლა თავისუფლებისა და დემოკრატიის გზაზე, ეს არის ნახტომი, რევოლუციური ცვლილება, როგორც ცნობიერებაში ისე ყოფიერებაში.

ამგვარად, ღია საზოგადოების ძირითადი ნიშნებია: ჰუმანიზმი, რომელიც ემყარება რაციონალურობას, ადამიანთა შორის თავისუფლებას, ძმობას, ერთობას; აგრეთვე, კრიტიკული ცნობიერების წარმოშობა, რაც დაკავშირებულია ფილოსოფიასთან, რამაც გაზარდა რწმენა ადამიანის ძლიერებისა და ყოვლისშემძლეობისა; ორიენტაცია ადამიანზე, რომ ადამიანი წარმოადგენს ძირითადად ფასეულობას და მნიშვნელოვან ფიგურას თავისი ცხოვრებით; ღია საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ნიშანია, აგრეთვე, დემოკრატიულობა – როცა სახელმწიფოს მართავს არა ერთი მუჭა ადამიანები, არამედ ხალხის უმრავლესობა, სადაც დაცული და გარანტირებულია თითოეული მოქალაქის უფლებები და მოვალეობები.

როგორც ცნობილია, დახურული საზოგადოებიდან ღია საზოგადოებაზე, ან პირიქით, ღია საზოგადოებიდან დახურულ საზოგადოებაზე გადასვლა შეიძლება მოხდეს საზოგადოების განვითარების ყველა პერიოდში, – ანტიკური პერიოდიდან მოყოლებული დღემდე, მაგალითად: ძველ საბერძნეთში ტოტალიტარული რეჟიმი შეიცვალა პერიკლეს დემოკრატიული მართველობით, რომელიც შემდგომში ისევ შეცვლილი იქნა 30-ტირანის გაბატონებით. ანდა, რენესანსის პერიოდში, ევროპის ქვეყნებში ახალი ჰუმანური იდეებისა და იდეოლოგიის შემოჭრამ საფუძველი დაუდო საზოგადოების ჰუმანიზაციასა და დემოკრატიზაციას, თუმცა შემდგომში მთელ რიგ ქვეყნებში გაბატონდა ტოტალიტარული რეჟიმები რუსეთში, ფაშიზმი – გერმანიაში, იტალიაში, ესპანეთში, რის შემდეგაც ამ ქვეყნებმა ისევ ღია საზოგადოებების შენება დაიწყეს, რადგან საზოგადოების განვითარების ყველაზე კარგი და მისაღები მოდელი სწორედ ღია საზოგადოება აღმოჩნდა და ვინც არ არის ამ მოდელზე გადასული დრო მოვა და აუცილებლად გადავლენ. საბოლოოდ, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არსებობს საზოგადოების შემდეგი ტიპები: ტრადიციული და თანამედროვე; წინა ინდუსტრიული და ინდუსტრიული; ღია და დახურული; პრინციპული და ანომიური; პროვერბალური და პრესკრიპტული. ყოველ მათგანში არის იგივეობრივი მომენტები, ამიტომ სოციოლოგები შეთანხმებული არიან, რომ ძირითადად არსებობს ორი ტიპის საზოგადოება: 1. ტრადიციული, დახურული, წინაინდუსტრიული, პროვერბალური და პრესკრიფციული, რომლებიც ორიენტირებულნი არიან ტრადიციებზე, ადათ-წესებზე, ტაბუთი დაწყებული და ტოტალიტარულით დამთავრებული, სადაც

მართველობას ახასიათებს კანონზე მაღლა დგომა, სადაც საზოგადოება ბრბოს ემსგავსება, სადაც თავისუფლებისა და დემოკრატიის დეფიციტია, სადაც ინდივიდის ნაცვლად – კოლექტივი, პიროვნების ნაცვლად – მასა დომინირებს და, 2. მისი საპირისპირო ღია საზოგადოება, ანუ მორალის, კანონის უზენაესობაზე, პიროვნების თავისუფლებაზე და დემოკრატიულ პრინციპზეა აგებული; სადაც, ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელია ღია, გამჭვირვალე, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების გზით.

ამგვარად, საზოგადოების ტიპოლოგიური დაყოფა, ძირითადად, ორზე დაიყვანება. ე.ი. არსებობს ღია, ანუ პრინციპული და დახურული ანუ პრესკრიფციული საზოგადოება.

6.4. პოსტინდუსტრიული საზოგადოების თეორია

XX საუკუნეში, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა კითხვამ, თუ, რა ჰქვია თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებას? ამ კითხვაზე აქტუალურად მსჯელობდნენ: ანთროპოლოგები, ეკონომისტები, ფილოსოფოსები, სოციოლოგები, პოლიტოლოგები და სხვები, რომლებიც თანამედროვე საზოგადოებას სხვადასხვა სახელებს არქმევდნენ: – დარენდორფი თანამედროვე საზოგადოებას პოსტკაპიტალისტურს უწოდებს; ლიხტაიმი – პოსტბურჟუაზიულს; ეტსიმანი – პოსტმოდერნისტულს; ბოულდინგი – პოსტცივილიზაციურს; კანი – პოსტეკონომიკურს; ბარნეტი – პოსტნავთობისეულს და ა.შ. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული სახელები მჭიდროდ უკავშირდება პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცნებას, რომელსაც დიდი

პოპულარობა მოუპოვა ჰარვარდელმა სოციოლოგმა დ. ბელმა. ამასთანავე, ზემოაღნიშნულის გარდა, დომინირებდა ისეთი სახელები, როგორიცაა: „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება" – გალბრეითი; „ტელემატური საზოგადოება – ჯ. მარტინი"; „კომუნიკაციური ანუ პროგრამირებული საზოგადოება" – ტურენი. მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება და დამკვიდრებულია პოსტინდუსტრიული ან ინფორმაციული საზოგადოება.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების ცნების დამკვიდრებასთან დაკავშირებული მთავარი სირთულე მდგომარეობს მის წინა საზოგადოებასთან მიმართების საკითხში. პოსტინდუსტრიული საზოგადოების წინა საზოგადოება ინდუსტრიული საზოგადოებაა. რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან? აშკარაა, რომ მათ შორის არსებობს საერთო ნიშნები. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, რა იგულისხმება ტერმინ „პოსტ"-ში. ამერიკელი სოციოლოგების აზრით, საზოგადოების განვითარების ამ ორ ეტაპს შორის განსხვავება შეიძლება შევადაროთ: „დაბერებას, როცა ადამიანი სიბერეში გადადის, როცა მისი ძვლები, კუნთები, არტერიები კარგავენ ელასტიურობას, აღდგენის უნარს". დაბერების ანალოგიური ნიშნები ახასიათებს ორგანიზაციებს, ერებს, საზოგადოებას. ამ თვალსაზრისით, პოსტინდუსტრიული ნიშნავს ინდუსტრიული საზოგადოების სიბერეში გადასვლას.

როდესაც საკითხი ეხება ერთი საზოგადოებიდან მეორეში გადასვლას, უმნიშვნელოვანესია გაირკვეს, რა კრიტერიუმებით ვხელმძღვანელობთ; საგულისხმოა ის, თუ საიდან ვხედავთ და ვაფასებთ ამ ცვლილებებს – ამოსავალი პოზიციიდან თუ

უკანასკნელი საფეხურიდან. უნდა დადგინდეს, რატომ შეიცვალა ერთი – მეორეთი, რა არის ამ გადასვლის მთავარი მიზანი. არა მარტო ის არის მნიშვნელოვანი, თუ საითკენ მივდივართ, არამედ ისიც, თუ საიდან მოვდივართ და რატომ ხდება, საერთოდ, საზოგადოებრივი ცვლილებები.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით, სოციოლოგიაში არსებობს სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება; მაგალითად, სოციოლოგი დაიზარდი კითხვაზე, თუ როგორია ინფორმაციული ანუ პოსტინდუსტრიული საზოგადოების მომავალი, პასუხობს, რომ: აკადემიურ თეორიათაგან არცერთი იძლევა ნათელ პასუხს. მეცნიერები საუბრობენ იმის თაობაზე, რომ ბოლო 30 წლის მანძილზე, ჩვენი სამყარო მკვეთრად შეიცვალა. მომდევნო 30 წელი კიდევ მეტ ცვლილებებს გვპირდება. ჩვენს წარმოდგენებს მომავალზე მხოლოდ ალბათური ხასიათი შეიძლება ჰქონდეს. პროგნოზები შეიძლება იმდენად ვაკეთოთ, რამდენადაც ვიცით, რომ მომავალი არსებულის წიაღში ისახება და, რომ არსებობს კანონზომიერება წარსულის, აწმყოსა და მომავლის კავშირის უწყვეტობისა.

აღნიშნულ თვალსაზრისზე მყოფი თეორეტიკოსების მიხედვით, ინდუსტრიული საზოგადოება კრიზისში ვარდება. ამ დროს ხდება: ღირებულებათა რადიკალური გადაფასება, იცვლება ძალაუფლების ბუნება, შრომისადმი დამოკიდებულება, სოციალიზაციის მეთოდები და მომავლისადმი დამოკიდებულება.

არსებობს ისეთი თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც ინდუსტრიული საზოგადოებიდან პოსტინდუსტრიულში გარდამავალ პერიოდში სულაც არ იყო კრიზისული ვითარება, მაგრამ მისი შეცვლა მაინც აუცილებელი იყო, რადგან

პოსტინდუსტრიული საზოგადოება უფრო მაღალი, პროდუქტიული და პერსპექტიული საზოგადოებრივ-ორგანიზაციული ტიპია.

არიან ისეთი მოაზროვნეებიც, რომლებიც საზოგადოების განვითარების ახლანდელ ეტაპს, კაცობრიობის სოციალური განვითარების უკანასკნელის წინა საფეხურად მიიჩნევს, რომელთა მიხედვითაც კაცობრიობამ მიაღწია განვითარების იმ დონეს, როცა თვითმკვლელობით უნდა დაასრულოს მოღვაწეობა.

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა „სოციეტური" საზოგადოების ახალი ტიპი. სულ ერთია, რას ვუწოდებთ მას – პოსტინდუსტრიულს, ინფორმაციულს თუ კომუნიკაციურს. ამ პოზიციაზე მდგომთათვის უმნიშვნელოვანესია, გავარკვიოთ, რას წარმოადგენს ინდუსტრიული საზოგადოება, რა აკავშირებს და განასხვავებს მას წინა საზოგადოებისაგან. მკვლევარები სოციეტური ტიპოლოგიის მრავალ ნიმუშს გვთავაზობენ: 1. აგრარული ეკონომიკის საზოგადოება, სადაც უმთავრესია კვების პროდუქტთა წარმოება, მალიმიტირებელი ფაქტორი კი – შემოსავლიანი მიწა; 2. ინდუსტრიული ეკონომიკის საზოგადოებაში უმთავრესია საქონლის წარმოება, მალიმიტირებელი ფაქტორი – კაპიტალი; 3. ინფორმატიული ეკონომიკის საზოგადოებაში მთავარია ინფორმაციის გამოყენება წარმოების ეფექტურობისათვის, მალიმიტირებელი ფაქტორი – ცოდნა. ყველა ამ საზოგადოებას აქვს მარადიული არსებობის პრეტენზია.

ზემოჩამოთვლილ ამ საზოგადოებათაგან ყველაზე რევოლუციურია ინდუსტრიული საზოგადოება, რომელიც განსაკუთრებულ გარდაქმნებს ახდენს შრომის ორგანიზაციაში, ნერგავს შრომის ახალ ორგანიზაციას. ძირითადი ინვესტიციები წარმოების საშუალებებისაკენ კი არ მიემართება, არამედ შრომის

ორგანიზაციისაკენ; ხოლო, რაც შეეხება „პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას", აქ ინვესტიციები და ძირითადი ყურადღება გადატანილია წარმოების საშუალებათა წარმოებისაკენ. თუ შრომის ორგანიზაცია ეხება მუშებს შორის ურთიერთობებს – „პოსტინდუსტრიული საზოგადოება" ცვლის მთელი წარმოების პროცესს, რომელშიც მუშებს შორის დამოკიდებულება მხოლოდ ერთი მომენტია. „პოსტინდუსტრიული საზოგადოება" ახდენს ინვესტიციებს მეცნიერებაზე, ტექნიკაზე, მართვაზე, იყენებს ინფორმაციას, კომუნიკაციის რთულ სისტემებს; მაგრამ, საზოგადოება რთული მექანიზმია და ერთი რომელიმე, თუნდაც განმსაზღვრელი ტექნოლოგია ვერ ამოწურავს მის რაობას. საზოგადოებისათვის როგორი დიდი მნიშვნელობაც არ უნდა ჰქონდეს ტექნიკასა და ტექნოლოგიას, იგი ვერ განსაზღვრავს საზოგადოების მთელ ფიზეონომიას.

როგორც წესი, საზოგადოების ყოველ შემდგომ ტიპში მონაწილეობს მისი წინა ტიპი; მაგალითად, მიწათმოქმედება იქნება თუ ვაჭრობა, აისახება ინდუსტრიულ საზოგადოებაშიც; ინდუსტრიული საზოგადოების ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს ვხვდებით პოსტინდუსტრიულშიც.

დ. ბელმა ინფორმატიული ანუ პოსტინდუსტრიული საზოგადოების სპეციფიკური ნიშნები ჩამოაყალიბა. იგი ინდუსტრიულ საზოგადოებაში გამოჰყოფს 3 ძირითად ასპექტს: 1. ინდუსტრიულიდან მომსახურეობის საზოგადოებაზე გადასვლა; 2. ტექნიკურ ინოვაციათა განხორციელებისათვის კოდიფიცირებული, თეორიული ცოდნის გადამწყვეტი მნიშვნელობა; 3. ახალი ტექნოლოგიის გადაქცევა სისტემური ანალიზისა და გადაწყვეტილებათა მიღების ძირეულ ინსტიტუტად.

მთავარი და განმსაზღვრელია მეცნიერების ახალი როლი რომელიც ცვლის მთელ სოციალურ ცხოვრებას. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, განმსაზღვრელი მნიშვნელობა ენიჭება ცოდნას; მეცნიერებისა და ტექნიკის მაღალი დონე განმსაზღვრელი ხდება ყველაფერი დანარჩენისა. თუ ინდუსტრიული საზოგადოების ტექნიკა და ტექნოლოგიები დამყარებულია ელექტრობაზე – პოსტინდუსტრიული საზოგადოება ემყარება კომპიუტერს.

XX ს. 60-იან წლებში, როცა ბელი აყალიბებდა პოსტინდუსტრიული საზოგადოების სისტემას, ხაზს უსვამდა ხუთ სიახლეს: 1. სატელეფონო და კომპიუტერულ სისტემათა ტელეკომუნიკაციის, ინფორმაციის დამუშავების ერთ მოდელში შერწყმა. ამ დროს ღიად აქვს დატოვებული ახალი სისტემების შექმნის პერსპექტივა (თანამგზავრთა სისტემის შექმნა მიკროტალღების სადგურების შექმნა); 2. ქაღალდის შეცვლა ელექტრონული საშუალებებით (ჩეკებისა და სხვა დოკუმენტაციის ელექტრონული ფოსტით შეცვლა, გაზეთების გადაცემა ფაქსით); 3. სატელეფონო სამსახურის გაფართოება მრავალარხოვანი კაბელური სისტემით; 4. ტრანსპორტს შეცვლის ტელეკომუნიკაციები, მოხდება ინფორმაციის შენახვის რეორგანიზაცია ერთიანი კომპიუტერული ქსელით, რომელიც ყველასათვის იქნება ხელმისაწვდომი; 5. კომპიუტერული სწავლების გაფართოების ბაზაზე განვითარდება განათლების ქსელი, ტელეკომუნიკაცია და ინფორმაციის დამუშავება შეირწყმება ერთ მოდელში, რასაც ეწოდება კომპიუნიკაცია.

ყოველივე ეს არის ახალი საზოგადოებისათვის აუცილებელი, რასაც ეწოდება კომუნიკაციური ან ინფორმაციული საზოგადოება.

დ. ბელის აზრით, თუ ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი რესურსი იყო კაპიტალი, პოსტინდუსტრიული საზოგადოების სტრატეგიული რესურსებია ინფორმაცია და თეორიული ცოდნა. მისი ერთ-ერთი მთავარი პრინციპია მეცნიერების ახალი როლი, მისი გადაქცევა საზოგადოების ძირითად მწარმოებლურ ძალად.

თანამედროვე საზოგადოებაში, ახალი ტექნოლოგიების მიმართ, აზრთა სხვადასხვაობაა. საქმე იმაშია, რომ ახალმა ტექნოლოგიებმა, დადებითის გარდა, საზოგადოება დიდი საფრთხეების წინაშე დააყენა. საზოგადოება დადგა დილემის წინაშე – გაჰყოლოდა ახალ ტექნოლოგიებს, თუ დაბრუნებოდა ბუნებრიობას. ორივე ამ თვალსაზრისს ჰყავს თავისი მომხრეები, მაგრამ სიახლისა და კომფორტისაკენ სწრაფვის სურვილი ისევე ბუნებრივი აღმოჩნდა კაცობრიობისათვის, როგორც საკვების მოპოვება და გამრავლება.

დღევანდელ საზოგადოებას უკან დასახევი აღარ აქვს, რადგან მას მიზნად აქვს დასახული სიუხვის საზოგადოების შექმნა, რომლის იდეალიც საზოგადოების სიმდიდრესა და ფუფუნებაში ცხოვრებაა. როგორც სტოუნი წერს, საზოგადოება ისწრაფვის თავისი შემოსავლების გაზრდაზე, რაც შესაძლებელია: 1) კაპიტალის მუდმივი დაბანდებით; 2) ტერიტორიების გაფართოებითა და ათვისებით; 3) ახალი ტექნიკის გამოყენებით. თანამედროვე საზოგადოებაში იცვლება ტრადიციული წარმოდგენები ღირებულებებზე: ოქროზე, ვერცხლზე, პლატინასა და ალმასზე უფრო ძვირფასი აღმოჩნდა ქვიშა და მისი

კომპონენტი – კაჟი, რომელიც ინტენსიურად გამოიყენება ინტეგრალურ სისტემებში და სხვა ტექნიკურ მოწყობილობებში გამოყენებით იძლევა გაცილებით დიდ მოგებას. კაჟიდან კეთდება ფოტო-ელექტრული ბატარეიები, რომლითაც მზიდან ელექტრონის გენერირებას ახდენენ, დაწყებული ჯიბის კალკულატორებიდან (რომელთა დატენვა მზის ენერგიით ხდება) და დამთავრებული კავშირგაბმულობის თანამგზავრებით. ამდენად, ქვიშას უფრო მეტი სიმდიდრის შექმნის პოტენციალი აქვს, ვიდრე ბუნებაში მცირე რაოდენობით არსებულ ოქროს.

ყოველივე ამის თვალსაჩინო მაგალითია კალიფორნიის შტატის 90 ათას კვ.კმ-ზე გადაჭიმული კაჟის ველი, რომელზედაც გაშენებულ ქალაქებში წამყვანი ადგილი უჭირავს ელექტრომოწყობილობათა წარმოებას. მათ შორის სტენფორდის მიერ დაარსებული კვლევის ცენტრი – უნივერსიტეტი, სადაც წარმატებით ვითარდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. აქვეა განლაგებული შესაბამისი ფირმები, შექმნილია ნახევარგამტარებისა და კომპიუტერული მრეწველობის მსოფლიოში უდიდესი ცენტრი, სადაც ქმნიან ინტეგრალურ სქემებს, მიკროპროცესორებს; რაც ქმნის მიკროელექტრონიკის ტექნოლოგიას, რომლის ცენტრში მოქცეულია ე.წ. ჩიპები, რომელიც სულ უფრო მეტად გამოიყენება პროგრამული მართვის მოწყობილობებში. სულ უფრო მეტად იზრდება მოთხოვნები მეხსიერების მქონე ტექნიკაზე. მთელი ყოფითი ტექნიკა და ინფორმაცია აგებული იქნა კომპიუტერიზაციის პრინციპზე. საქმე გვაქვს ხელოვნური ინტელექტის შექმნასთან, რომელზედაც დამოკიდებულია საზოგადოების აწმყო და მომავალ.

ამგვარად, ინდუსტრიულმა საზოგადოებამ დაიწყო მექანიზაციით და დაამთავრა ავტომატიზაციით. პოსტინდუსტრიულმა საზოგადოებამ დაიწყო რობოტიზაციით და წარმოება გადაჰყავს სრულიად ახლებურ პრინციპებზე; მისი მიზანია, კომპიუტერული ტექნიკა დანერგოს ცხოვრების ყველა სფეროში, ყველა ოჯახში და ყველასათვის მისაწვდომი გახადოს; როგორც ჯონ მარტინი წერს: „ამჟამად, შესაძლებელია ისეთი მიკროკომპიუტერების გამოშვება, რომლებიც ელექტრონული საათის სიდიდის იქნება და არ ეღირება 2$-ზე მეტი“.

6.5. საზოგადოებრივი პროგრესი

ცნობილია, რომ საზოგადოებაში მოძრაობა და ცვალებადობა საზოგადოების არსებობის წესია. მას არ შეუძლია გაქვავებულ და უძრავ მდგომარეობაში არსებობა, მაგრამ საინტერესოა და ასახსნელია თუ ამ ცვალებადობასა და ცვლილებებს საითკენ მიჰყავს იგი? რაში მდგომარეობს ამ ცვალებადობის არსი და მიზანი? არის თუ არა იგი საზოგადოების განვითარების, წინსვლის, სრულქმნისა და პროგრესისკენ მიმართული?

ამ კითხვებზე ცნობილი და ავტორიტეტული მოაზროვნეები განსხვავებულ პასუხებს იძლევიან. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით, არსებობს ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲡᲢᲣᲠᲘ და ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲡᲢᲣᲠᲘ პოზიციები.

ჯერ კიდევ, ანტიკური პერიოდის მოაზროვნეებმა დააფიქსირეს აღნიშნულ საკითხზე პესიმისტური შეხედულებები, საზოგადოების პროგრესული განვითარების შესახებ. მათი აზრით, აწმყო არაფრით არ არის უმჯობესი წარსულთან შედარებით, უფრო მეტიც, მთელმა რიგმა საზოგადოებებმა საუკეთესო

პერიოდები ე.წ. „ოქროს ხანები“ უკვე განვლეს და შემდგომში უარესი აქვთ გასასვლელი „ვერცხლის“, შემდეგ „სპილენძის“ და ბოლოს „რკინის“ ხანები.

ანტიკურ პერიოდში, აგრეთვე, საფუძველი ეყრება ისეთ შეხედულებებს, როგორიც არის საზოგადოების განვითარებისა და ცვალებადობის „წრებრუნვითი ხასიათი“ (პლატონი, არისტოტელე).

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ანტიკური პერიოდის პესიმისტ მოაზროვნეებს მხედველობაში ჰქონდათ ცალკეული ქვეყნების დაღმავალი განვითარება და არა საზოგადოება გლობალური მაშტაბით, რადგან ასეთი ზოგადსაკაცობრიო ხედვა იმ პერიოდში არც არსებობდა.

კაპიტალისტური ურთიერთობების ჩამოყალიბების საწყის პერიოდში იწყება აღორძინება პესიმისტური თვალსაზრისებისა, რომლებიც უკვე გლობალურად მთელი კაცობრიობის განვითარების პერსპექტივაზე ვრცელდება. მაგალითად ჟან-ჟაკ რუსო კაცობრიობის არსებობის პერიოდში ყველაზე ბედნიერ ხანად პირველ – „ბუნებრივ მდგომარეობაში“ ყოფნის პერიოდს მიიჩნევდა, როცა ადამიანები იყვნენ თავისუფალნი, თანასწორნი, როცა არ არსებობდა ჩაგვრა და ექსპლუატაცია, რომელიც კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობამ შეცვალა და კაცობრიობას მოუტანა ყოველივე ის სიმახინჯე, რომელიც მკვიდრდება საზოგადოებაში. ჟ.ჟ. რუსოს აზრით, საზოგადოების ბუნებრივი მდგომარეობიდან სამოქალაქო მდგომარეობისკენ სვლა არის სრულყოფილებიდან რეგრესისაკენ მიმართული და რაც მეტად მოიკიდებს ფეხს საზოგადოებაში ცივილიზაცია და ტექნიზაცია, მით უფრო გაუკულმართდება და გაღარიბდება საზოგადოების სულიერი და მორალური მხარე.

სოციალური აზრის განვითარების ახალ პერიოდში, იტალიელმა მოაზროვნემ ჯ. ვიკომ (1668-1744 წწ)., საბოლოოდ

ჩამოაყალიბა საზოგადოების განვითარების „ისტორიული წრებრუნვის თეორია“, რომლის მიხედვითაც საკაცობრიო ისტორიას ახასიათებს წრებრუნვა, ხოლო ყოველი წრის შიგნით კი სამსტადიური მოძრაობა – წარმოშობის, აღმავლობის და დაცემის ისევე როგორც ადამიანს – ყრმობის, მოწიფულობის და სიბერის პერიოდები. საზოგადოება სამი საფეხურის გავლის შემდეგ ისევ საწყის მდგომარეობას უბრუნდება.

ჯ. ვიკოს აზრით, კაცობრიობას ქრისტიანობის წარმოშობამდე უკვე გავლილი ჰქონდა სამსაფეხურიანი პერიოდი: ღმერთების, გმირების და დემოკრატიის საფეხურები და, ქრისტესშობის შემდგომ პერიოდში, იგივე საფეხურების განმეორებით გავლა მოუწევს.

საზოგადოების განვითარებაში ოპტიმისტური თვალსაზრისის შემომტანია ნიკოლაი კონდორსე (1773-1795 წწ.), რომლის მიხედვითაც კაცობრიობის ისტორია ითვლის განვითარების ათ პერიოდს, სადაც ყოველი შემდგომი პერიოდი, წინასთან შედარებით, პროგრესულია (მან შემოიტანა ტერმინი პროგრესი), ესენია:

1. მომთაბარეობის ტომობრივი პერიოდი;
2. პერიოდი იწყება მიწათმოქმედებაზე გადასვლით, ცხოველების მოშინაურებით;
3. პერიოდი დაკავშირებულია შრომის დანაწილების გაღრმავებასთან, ხელოსნობის გაჩენასთან, როცა ჩნდება სახელმწიფო მართვის პირველი ნიშნები;
4. პერიოდში წარმოიშვა საბერძნეთი თავისი ფილოსოფიით;
5. პერიოდში წარმოიშვა რომი, თავისი უნიკალური კულტურითა და სამართლიო და ა.შ. მაგალითად, 8-

პერიოდი არის აღორძინების პერიოდი – აღორძინდა მეცნიერული აზროვნება, დაიწყო წიგნების ბეჭდვა;

9. პერიოდი არის დიდი ფილოსოფოსებისა და განმანათლებლების: დეკარტეს, ლაიბნიცის, ლოკის, ვოლტერისა და სხვათა ეპოქა, როცა ჩნდება თანასწორობის, თავისუფლებისა და სხვა ჰუმანური იდეები.

10. პერიოდი არის ფეოდალიზმის კაპიტალიზმით შეცვლის და ახალი აღმოჩენების ხანა. აქ მთავარი ის არის, რომ ნ. კონდორსემ საზოგადოების განვითარების ათ-პერიოდიან ციკლში დაასაბუთა საზოგადობის თანდათანობითი აღმავალი სწორხაზობრივი უწყვეტი მიმდინარეობით წინსვლა და პროგრესი (განსაკუთრებით სულიერებაში).

საზოგადოების აღმავალი ხაზით განვითარების დამცველად გამოდის გოტფრიდ ჰერდერი (1744-1803 წწ.), რომელიც მართებულად ეწინააღმდეგებოდა საზოგადოების სწორხაზობრივად განვითარების შესაძლებლობას და ასაბუთებდა იმას, რომ აღმავლობით მიმდინარე განვითარებას ახასიათებს განმეორებები, დაბრკოლებები და შეჩერებებიც კი, თუმცა საბოლოოდ მაინც წინსწრაფი პროცესია, რათა საზოგადოებამ სულ უფრო მეტ ჰუმანურობასა და სრულყოფას მიაღწიოს. ამ მიგნებით ჰერდერმა მნიშვნელოვნად წინ წასწია საზოგადოებრივი პროგრესის თანამედროვე გაგება.

დიდი გერმანელი ფილოსოფოსის, ბ. ჰეგელის (1770-1831 წწ.) მიხედვით მსოფლიო ისტორია აბსოლუტური სულის გამოვლენის ასპარეზია, თავისუფლება კი – უმაღლესი მიზანი, რომელიც საზოგადოების განვითარების სამ საფეხურად ვლინდება.

მსოფლიო ისტორიის პირველ საფეხურზე – აღმოსავლეთის ხალხებში – თავისუფლების შეგნება მხოლოდ ერთს მონარქს გააჩნია; განვითარების მეორე საფეხურზე – საბერძნეთში, რომში კი რამდენიმე ადამიანს; მესამე საფეხურზე – გერმანიაში კი თავისუფლების შეგნება ყველა ადამიანის უფლებაა.

ამგვარად, ჰეგელის აზრით, საზოგადოების განვითარების ისტორიული პროგრესი მსოფლიო სულის განვითარებაში, თავისუფლების გაცნობიერებაში მდგომარეობს.

კარლ მარქსის მიხედვით, საზოგადოების აღმავალ განვითარებას არა იდეა და სული, არამედ მატერიელური, ეკონომიკური ფაქტორები, წარმოების საშუალებათა საკუთრების ფორმები, საწარმოო ძალთა განვითარების დონე განსაზღვრავს. კ. მარქსი აყალიბებს და ასაბუთებს საზოგადოების განვითარების ხუთი ეკონომიკური ფორმაციის თანმიმდევრულ პროგრესულ ცვლას. ეს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებია: პირველყოფილი თემური წყობილება, მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული და სოციალისტური. რომლებიც ორგანულად არიან დაკავშირებულნი. ყოველი შემდგომი ფორმაცია მის წინა ფორმაციაში ისახება და აღმავალი ხაზით ვითარდება. ფორმაციათა ცვლისა და, შესაბამისად, პროგრესისკენ სვლის მიზეზად წარმოდგენილია საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის წარმოქმნილი წინააღმდეგობა, რომელიც საბოლოოდ ანგრევს ძველს და იმარჯვებს ახალი, უფრო პროგრესული ფორმაციული წყობა.

ფორმაციათა ცვლა, მარქსიზმის მიხედვით, ძალადობითა და რევოლუციებით ხდება, რაც მიუღებელი აღმოჩნდა მარქსიზმის კრიტიკოსებისათვის; ამიტომაც, დასავლეთის ქვეყნები არ გაჰყვნენ

განვითარების ამ გზას – უფრო მისაღები აღმოჩნდა საზოგადოების განვითარების მშვიდობიანი ევოლუციური გზები.

სოციალური აზრის განვითარების ისტორიაში არსებობს ოსვალდ შპენგლერის (1830-1936 წწ.) „ციკლური" თეალსაზრისი, რომლის მიხედვითაც არ არსებობს ერთიანი საკაცობრიო განვითარების კანონზომიერება. ყოველი საზოგადოება ცხოვრობს თავისთვის დამოუკიდებლად, ისინი არ შეადგენენ ერთიანი საკაცობრიო ჯაჭვის რგოლებს. არ არსებობს ერთიანი საკაცობრიო პროგრესის ცნება, კაცობრიობის ცნებაც კი ევროპელების მოგონილია, რათა მათ ევროპული თარგი მსოფლიო ხალხთა ისტორიაზე მოერგოთ და ასე ავხსნათ კაცობრიობის მთელი ისტორია.

ო. შპენგლერი თავის წიგნში „ევროპის დაისი", მსოფლიო ხალხთა ისტორიას რვა ტიპის კულტურით წარმოადგენს, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა. ეს კულტურებია: ჩინური, ბაბილონური, ეგვიპტური, ინდური, ანტიკური, მაგიური ანუ ბიზანტიურ-არაბული, დასავლურ-ევროპული, ამერიკული (მხედველობაში აქვს ინდიელ ტომთა კულტურა) და მოსალოდნელად თელიდა ახალი რუსული ტიპის კულტურის წარმოშობას. ო. შპენგლერის აზრით, ეს კულტურები სრულიად დამოუკიდებლად ოთხ აუცილებელ სტადიას გადიან: 1. ყოველ მათგანს ახასიათებს თავისი „ბავშვობის"; 2. სიჭაბუკის; 3. მოწიფულობისა და 4. სიბერის პერიოდები.

საზოგადოების კულტურათა სიბერის პერიოდი დგება ქალაქური ცივილიზაციის დამკვიდრებიდან მოყოლებული, რაც იწვევს სულიერი, შემოქმედებითი ძალების კვდომას და პრაგმატული მიდგომების გაბატონებას. ამ ტენდენციების

გამომხატველად და თავისი პოზიციის განსამტკიცებლად მას მოჰყავს ისეთი ავტორიტეტები, როგორებიც არიან: შოპენჰაუერი, ნიცშე, დარვინი, მარქსი. საინტერესოა ის გარემოება, რომ ო. შპენგლერს კულტურათა დამანგრეველ ძალად ესახება პროლეტარიატი, რომელიც საბოლოოდ ანგრევს გამოფიტულ და გადაგვარებულ კულტურას; მაგრამ, საზოგადოებას თავისი ორგანიზებულობის პირობებში (არისტოკრატიულ უმცირესობას, ნაციონალ-სოციალისტებს) შეუძლიათ რამდენადმე შეანელონ საზოგადოების დაბერებისა და ხრწნის პროცესი და მოსალოდნელი კატასტროფის არა თავიდან აცილება, არამედ მხოლოდ დროებით გადაწევა.

საზოგადოების განვითარების „ციკლური თეორიის" მთავარი წარმომადგენელი ინგლისელი სოციოლოგი არნოლდ ტოინბი (1889-1975 წწ.) თავის თორმეტტომეულში „ისტორიის გამოკვლევა" კაცობრიობის განვითარების ისტორიაში ოცზე მეტ ცივილიზაციას გამოჰყოფს, რომელთაგანაც თანამედროვეობას მხოლოდ 7-შემორჩა:

1. დასავლეთ ქრისტიანული (სადაც კათოლიკურ-პროტესტანტული რელიგიებია. აქ შედის ევროპა, ამერიკა, ავსტრალია);
2. მართლმადიდებლურ-ქრისტიანული (სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, რუსეთი);
3. ისლამი (ახლო და შუა აღმოსავლეთი, ჩრდილო და აღმოსავლეთ აფრიკა);
4. ინდუსების – ინდოეთი;
5. შორეული აღმოსავლეთის;
6. ქრისტიანულ – მონოფიზიტური (ეგვიპტე, ეთიოპია, სირია, სომხეთი);

7. ბუდისტური – (ჩინეთი, ტიბეტი, მონღოლეთი, კამბოჯა, ბირმა, ცეილონი).

ე. ი. ა. ტოიმბი ცივილიზაციებს რელიგიური ნიშნით განასხვავებს, რომლებიც თავიანთი განვითარების დახურულ სტადიებს ოთხ პერიოდად გადიან: წარმოშობის, ზრდის, ხრწნის და დაღუპვის პერიოდებს. ტოიმბის მიხედვით, თითოეული ცივილიზაციის საფუძვლები შიგნითვე მზადდება და არავითარი კავშირი არა აქვს სხვებთან. ა. ტოიმბის აზრით, ცივილიზაციების წარმოქმნასა და განვითარებაში წამყვან როლს თამაშობს „შემოქმედებითი ელიტის" მცირე ჯგუფები, რომლებიც უმრავლესობის სათავეში ექცევიან და წარმართავენ მთელი საზოგადოების მომავალს ჯერ ავტორიტეტის წყალობით, სანამ ის ჰყოფნით. შემდეგ ძალადობით და სწორედ ამ პერიოდიდან შედის საზოგადოება ხრწნის სტადიაში, იწყება უმცირესობასა და უმრავლესობას შორის გაუთავებელი წინააღმდეგობა და ბრძოლა, რასაც არსებულის ნგრევა და ახალი ცივილიზაციის წარმოშობა მოჰყვება. ასეთივე ბედს იზიარებს ყოველივე მომდევნო ლოკალური ცივილიზაციები. ყალიბდება ახალი „შემოქმედებითი ელიტა", რომელიც წარმართავს უმრავლესობის ცხოვრებას ჯერ ავტორიტეტზე დაყრდნობით, შემდეგ ძალით და მეორდება იგივე. ა. ტოიმბი, შპენგლერის მსგავსად, იცავს საზოგადოების ციკლური განვითარების თვალსაზრისს და, პრინციპში, უპირისპირდება საკაცობრიო პროგრესის იდეას.

საზოგადოების პროგრესულად განვითარების მეტად მნიშვნელოვანი თეორიის ავტორია უოლტ როსტოუ, რომელმაც თავის წიგნში „ეკონომიკური ზრდის სტადიები" განავითარა საზოგადოების სტადიურად განვითარების თვალსაზრისი,

რომელიც თანამედროვე სოციოლოგების მიერ გარკვეული გადმუშავებისა და განვითარების შემდეგ დომინირებს ჩვენს დროშიც. უ. როსტოუ კ. მარქსის მსგავსად, საზოგადოების განვითარების ხუთ სტადიას აფიქსირებს.

ფორმაციათა შორის განსხვავების მთავარ ნიშნად საწარმოო ძალებისა და ტექნიკის განვითარების სხვადასხვა დონეს მიიჩნევს. იგი საზოგადოების განვითარების პირველ პერიოდს „ტრადიციულს" ანუ „აგრარულს" უწოდებს, რომელიც კაცობრიობის წარმოშობიდან ფეოდალიზმის დასასრულამდე გრძელდება; რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო შრომის პრიმიტიული იარაღები, მიწის მესაკუთრეთა ძალაუფლება, შრომის ნაყოფიერებისა და მეცნიერების დაბალი „ნიუტონამდელი" დონე.

მეორე პერიოდი „გარდამავალი პერიოდია", ანუ კაპიტალიზმის განვითარების პირველი პერიოდი, რომელსაც ახასიათებს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდა, ახალი სოციალური ჯგუფის – მეწარმეთა ჩამოყალიბება, კაპიტალდაბანდებათა ზრდა, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ზრდა, ინვესტიციების დონის ზრდა, ეროვნული შემოსავლების მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტში დაბანდება; რამაც საფუძვლები მოუმზადა განვითარების მესამე სტადიაზე გადასვლას.

მესამე პერიოდი არის განვითარებულ კაპიტალიზმზე გადასვლა, ანუ „ძვრის სტადია". ამ სტადიაზე მნიშვნელოვნად იზრდება კაპიტალის დაგროვება, სწრაფად ვითარდება მრეწველობა და მეურნეობის ყველა დარგი, იცვლება წარმოების მეთოდები, რაც აუცილებლობით იწვევს საზოგადოების განვითარების შემდგომ სტადიას.

მეოთხე – სიმწიფის სტადია განაპირობებს „ინდუსტრიული საზოგადოების“ ჩამოყალიბებას. აღნიშნულ სტადიაზე ძალზედ გაზრდილია წარმოების აღმშენებლობის, ინვესტიციების დონე, ფართოდ ინერგება მეცნიერულ-ტექნიკური მონაპოვრები, ძირეულად იცვლება მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა, კვალიფიციურ მუშაკთა ხვედრითი წილი, მნიშვნელოვნად იზრდება ქალაქის მოსახლეობა და ა.შ.

მეხუთე ეტაპი არის „მასობრივი მოხმარების“ სტადია. განვითარების აღნიშნულ დონეზე იმყოფებიან მოწინავე ქვეყნები: ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, გერმანია, საფრანგეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა და სხვები. ამ სტადიის მთავარი მახასიათებელი არის მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოება და მომსახურების მაღალი დონე, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების ფუფუნებაში ცხოვრებას.

როგორც აღვნიშნეთ, დასავლურმა სოციოლოგიამ საზოგადოების განვითარების სტადიური თეორია დახვეწა და განავითარა. შენარჩუნებულია უ. როსტოუს ყველა პროგრესული იდეა და პოზიცია დ' განვითარების თანამედროვე ეტაპზე საყოველთაოდ არის მიღებული ის პოზიცია, რომლის მიხედვითაც კაცობრიობამ, თავისი არსებობის მანძილზე, განვლო შემდეგი სტადიები:

1. ველურობის სტადია – როცა ადამიანები ეწევიან შემგროვებლურ საქმიანობას, მისდევენ მეთევზეობასა და მონადირეობას. შემდეგ კი ცხოველებისა და ფრინველების მოშინაურებას;
2. აგრარული ანუ ტრადიციული სტადია – როცა ადამიანები უმთავრესად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით არიან

დაკავებულნი. განვითარების ამ სტადიაზე ჩნდება ხელოსნობა, ვაჭრობა და გონებრივი შრომით დაკავებულ ადამიანთა ჯგუფები;
3. „ინდუსტრიული საზოგადოების“ სტადია (რომელიც არონმა და როსტოუმ შემოიღო), სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სამრეწველო პროდუქციის წარმოებით არის დასაქმებული, სადაც მეურნეობის ყველა დარგი ინდუსტრიულ საფუძველზე ფუნქციონირებს, მთელი მეურნეობა საბაზრო ეკონომიკის პრინციპზეა მოწყობილი და საზოგადოება დემოკრატიული პრინციპებით არის უზრუნველყოფილი;
4. „პოსტინდუსტრიული“ საზოგადოება (რომელიც ბელმა და ტურინმა შემოიღო, თუმცა მას ბჟეზინსკი „ტექნოკრატიულს“ უწოდებს, ხოლო ტოფლერი – „ზეინდუსტრიულს“);

პოსტინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია მომსახურების სფეროს უპირატესი ზრდა, განათლების, მეცნიერების, კულტურის აღმავლობა.

საზოგადოების მომავალზე ორიენტირებულმა მკვლევარმა სოციოლოგებმა, ანუ ფუტუროლოგებმა XX საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყეს საუბარი იმის თაობაზე, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოების შემდგომი სტადია იქნება ინფორმაციული საზოგადოება, რომლის მთავარი მახასიათებელი იქნება არა მატერიალური წარმოება, არამედ ინფორმაციის წარმოება, კოდირებული ცოდნა, ინფორმაციის მოპოვება, გაცვლა, განაწილება და მოხმარება. პირველი რიგის მეცნიერებები იქნება: ინფორმატიკა, გამოთვლითი ტექნიკა, ელექტრონიკა,

კომპიუტერიზაცია, რობოტიზაცია და სხვა. ცოდნის ამაღლების ინდუსტრია ძირეულ რეფორმებს მოითხოვს სწავლა-განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

ფუტუროლოგი სოციოლოგები იმასაც ვარაუდობენ, რომ მომავლის ანუ ინფორმაციული საზოგადოება შეეზრდება ან კიდევ გადაიზრდება „ეკოლოგიურ საზოგადოებად", რომლის მთავარი მახასიათებელი იქნება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება, არაგანახლებადი რესურსებიდან განახლებად ბუნებრივ რესურსებზე, გადასვლა ბიოტექნიზებულ მრეწველობაზე და ბუნებრივი რესურსების ეკოლოგიურ გამოყენებაზე.

ასეთია გამოჩენილი სოციოლოგების პოზიცია და აზრი საზოგადოების განვითარების პროგრესულობაზე.

ამგვარად, სოციალური პროგრესი არის საზოგადოების წინსვლითი მოძრაობა აღმავალი ხაზით, მისი არასრულყოფილი მდგომარეობიდან სრულყოფილებისაკენ, დაბალი საფეხურიდან მაღლისკენ სვლა, რომელსაც ახასიათებს რეგრესული მომენტებიც, იგი ვითარდება არა სწორხაზობრივად, არამედ სპირალისებურად, რომელიც გამოხატავს საზოგადოების განვითარების კანონზომიერ სვლას აღმავალი გზით.

საზოგადოებას წინსვლა და პროგრესი ახასიათებს ცხოვრების ყველა სფეროში: საწარმოო ძალების განვითარებაში, შრომის იარაღებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდაში, სახელმწიფო მართვის სრულყოფაში, მორალურ-სამართლებრივი სისტემის გაუმჯობესება-დახვეწაში, ადამიანთა ურთიერთობების ჰუმანიზაციაში და ა.შ.

საზოგადოების პროგრესული განვითარების თვალსაჩინო ნიშანია ერთეული ღირებულებებიდან საერთო, საყოველთაო ღირებულებებზე გადასვლა. ისტორია გვიდასტურებს, რომ ის რაც ჭეშმარიტ ღირებულებას წარმოადგენდა ერთი ხალხისთვის – შემდგომში თანდათანობით იქცევა ჯერ ზოგიერთი, შემდეგ კი ხალხების უმრავლესობისათვის; მაგალითად, ქვის იარაღებიდან ბრინჯაოს, შემდეგ რკინის და ფოლადის იარაღებზე გადასვლა. კომპასის, ტელეფონის და ა.შ. გამოგონება ხდება ყველასთვის მისაღები და მისაბაძი. პროგრესის მატარებელი ადამიანებისა და საზოგადოებების გარეშე წარმოუდგენელია, ისაუბრო ცივილიზაციაზე და პროგრესზე ნებისმიერ სფეროში ტექნიკაზე: ევკლიდეს, ნიუტონის, აინშტაინისა და სხვების გარეშე; მწერლობაში: ჰომეროსის, პესიოდეს, რუსთაველის, შექსპირის გოეთეს, ჰაინეს, პუშკინის და სხვების გარეშე; აზროვნების სფეროში: სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ბეკონის, დეკარტეს კანტის, ჰეგელის და სხვების გარეშე, ასე ხელოვნებაში თუ სხვა სფეროებში მოწინავე ადამიანთა იდეები და დაწინაურებული საზოგადოების ყოფა-ცხოვრება გადამდებია დანარჩენებისათვის. მოწინავე ხალხების საუკეთესო გამოცდილებები საერთაშორისო სტანდარტის ფორმით ყალიბდება. სხვები კი ცდილობენ ამ სტანდარტებთან მიახლოებას, რომელიც საყოველთაო ხდება. შემდეგ სტანდარტებიც იცვლება, თანდათან იხვეწება სრულიქმნება და ასე იკვეთება საზოგადოების პროგრესულად განვითარების ზეაღმავალი ხაზი.

ნაწ. II. კონკრეტული სოციოლოგია

თავი I.

1.1. სოციოლოგიის მიზანი

როგორც წიგნის პირველ ნაწილში აღვნიშნეთ, სოციოლოგიაში არსებობს სამი სტრუქტურული დონე: 1. ზოგადი სოციოლოგია; 2. სპეციალური სოციოლოგიური ანუ შუალედური თეორია და 3. კონკრეტული ანუ ემპირიული, გამოყენებითი სოციოლოგია.

აღნიშნული სოციოლოგიების ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან მოწყვეტით ფუნქციონირება დიდი წარმატების მომტანი ვერ იქნება, ამიტომ მათ, განსაკუთრებით კი ზოგად და კონკრეტულ სოციოლოგიებს, ყოველთვის (თუ არა, XX საუკუნიდან მაინც) ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში განიხილავენ, რაც აუცილებელი პირობაა იმისათვის, რომ სოციალური მოვლენები და პროცესები მეცნიერულად, სრულყოფილად და დასაბუთებულად იქნეს შესწავლილი.

თეორიული სოციოლოგიის საბოლოო მიზანი ხომ მაინც მის პრაქტიკულ დანიშნულებასა და გამოყენებაშია, ამიტომ კონკრეტულ სოციოლოგიურ მონაპოვრებს სოციოლოგია იყენებს თავისი არსენალის გასამდიდრებლად, თეორიული დებულებების დასასაბუთებლად; ამასთანავე, ნებისმიერი დიდი თუ მცირე სოციალური ჯგუფი, რომელიც კონკრეტული კვლევის ობიექტია, ამავე დროს, იგი ზოგადი სოციოლოგიის შესასწავლი ობიექტიცაა.

საზოგადოების განვითარების პერიოდში, სოციალურ ურთიერთობაში ხშირად იქმნება დისჰარმონია, რომელიც ხელს უშლის სოციალური ჯგუფის თუ ორგანიზაციის, როგორც მთელის

წარმატებულ საქმიანობას. სოციალურ ურთიერთობებში გაჩენილი წინააღნდეგობებისა და ნეგატიური მდგომარეობის გამოსასწორებლად მიმართავენ სოციოლოგიურ ჯგუფებს, რასაც სოციალური შეკვეთა ეწოდება, ხოლო მიმმართველს – შემკვეთი.

სოციოლოგიური კვლევის მიზანია გამოსაკვლევი ობიექტის შესახებ მოგვცეს როგორც თეორიულ-მეთოდოლოგიური, ისე პრაქტიკული ცოდნა.

სოციოლოგიური კვლევა, როგორც წესი, იწყება კვლევის მიზნის გაცნობიერებით, წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებით, კვლევის პროგრამისა და სამუშაო გეგმის შედგენით, ჩატარების ვადების განსაზღვრით, ინფორმაციის შეგროვება-დამუშავების შესაძლებლობების მობილიზაციით; შემდეგ იწყება პირველადი ინფორმაციის შეგროვება, არსებული მასალების მომზადება ელექტროგამომთვლელ მანქანებზე დასამუშავებლად და მისთვის სპეციალური პროგრამის შედგენა; ბოლოს მიმდინარეობს ინფორმაციის ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადება.

ამგვარად, კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევა, ძირითადად, მიმდინარეობს 3-ეტაპად: 1. მოსამზადებელი ეტაპი – გულისხმობს კვლევის წინასწარი სამუშაოების ჩატარებას, პროგრამისა და სამუშაო გეგმის შედგენას; 2. ძირითადი ეტაპი – გულისხმობს ინფორმაციის მოპოვებასა და გამოკითხვებს; 3. კვლევის დაბოლოება – მოკვლეული მასალის დამუშავებას, ანალიზს, დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადებას.

როგორც წესი, სოციოლოგიური კვლევა იწყება თემით, რომელიც აინტერესებს ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფსა თუ ორგანიზაციას. საკვლევ თემას წინ უსწრებს ამ თემის

წარმომშობელი ფაქტორებისა და პრობლემების შემქმნელი მიზეზების მიმოხილვა და დადგენა.

ამ მიზნით, მკვლევარებმა პროგრამის შედგენამდე:

1. უნდა შეისწავლონ პრობლემის რეალური მოცემულობები (გამოჰკითხონ ექსპერტებსა და საქმის მცოდნე ადამიანებს, მოიძიონ სტატისტიკა აღნიშნულ თემაზე და დარწმუნდნენ მის სარწმუნოობაში);
2. უნდა შეისწავლონ და გამოჰყონ პრობლემის არსებითი ფაქტორები და ელემენტები. მაგალითად, თუ კვლევის თემა არის წარმოების დაბალი ეფექტურობის მიზეზებზე, მაშინ სოციოლოგიურმა ჯგუფმა უნდა შეისწავლოს მოცემულ წარმოებაში დასაქმებულ ადამიანთა ის ჯგუფები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოცემულ პრობლემასთან, უნდა გაარკვიონ მათი მიდგომები სამუშაოსადმი დამოკიდებულება, ინტერესები, მოტივაციები, როგორ სტიმულირდება მათი მუშაობა და ა.შ;
3. უნდა გამოჰყონ პრობლემური სიტუაციის ცნობილი ელემენტები, რომლებიც გამოდგებიან საინფორმაციო ბაზად უცნობი ელემენტებისა და მხარეების შესასწავლად (მაგალითად, სტატისტიკური მონაცემები და სხვ.);
4. გამოჰყონ პრობლემური სიტუაციიდან მთავარი და მეორეხარისხოვანი კომპონენტები, რომ უკეთესად განსაზღვრონ კვლევის მიმართულება;
5. უნდა გააანალიზონ ანალოგიურ პრობლემებზე არსებული მასალა, ამისათვის მოძიებული და შესწავლილ უნდა იქნეს ყველა შესაბამისი ლიტერატურა, დოკუმენტი თუ ცნობა; უნდა გაესაუბრონ ყველა ექსპერტსა და

ავტორიტეტულ პირს, აღნიშნული პრობლემით დაკავებულ მეცნიერებს, მკვლევარებს, პრაქტიკოსებს.

როგორც აღვნიშნეთ, თუ საქმე ეხება, მაგალითად, საწარმოს გამოკვლევას, პრობლემები 5-პუნქტად უნდა ჩამოვაყალიბოთ:

1) პრობლემის განსაზღვრის დროს უნდა დადგინდეს შესადარებელი ობიექტი, თუ რასთან ვადარებთ და რის საფუძველზე მოცემულ საწარმოს, რატომ და რის საფუძველზე ვთვლით, რომ საწარმოს ეფექტურობა დაბალია და სოციალური დაძაბულობა – მაღალი?
2) თუ წარმოებასთან გვაქვს საქმე, უნდა დადგინდეს, წარმოების რომელი რგოლის მუშაობით არის გამოწვეული აღნიშნული პრობლემები, რომლებიც შემდეგ ვრცელდება სხვა რგოლებზე;
3) არის თუ არა პრობლემები ღია (ყველასათვის ცნობილი), თუ დახურული? უნდა შევისწავლოთ ხელმძღვანელი თუ სხვა პირები, ვინც შეხებაში არიან პრობლემასთან;
4) მნიშვნელოვანია აბსოლუტური თუ შეფარდებითი დანაკარგისა თუ დანაკლისის ცოდნა, გამოუყენებელი სიმძლავრეების სიდიდე, ხვედრითი წილი, რეზერვების მდგომარეობა;
5) რა დროის მანძილზე ფიქსირდება პრობლემის არსებობა; კრიზისი დაფიქსირდა ერთჯერ თუ რამდენჯერმე; როგორია პრობლემის განვითარების ტენდენციები, სუსტდება თუ ძლიერდება იგი?

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სოციოლოგიური კვლევის პროგრამისა და გეგმის შედგენამდე საჭიროა პირველადი ინფორმაციის შემგროვებელი ჯგუფის განსაზღვრა და მომზადება,

აგრეთვე, აუცილებელია დაზღვევითი ანუ პილოტაჟის ჩატარება, მითუმეტეს მაშინ, როცა საკვლევ ობიექტზე ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს და არ გაგვაჩნია რაიმე ჰიპოთეზა.

პილოტაჟის ფუნქცია და ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ მისი საშუალებით შევძლოთ პრობლემის მკაფიოდ დანახვა და ფორმულირება, ამოცანის დაზუსტება, ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობების გარკვევა, ჰიპოთეზის შემუშავება, მეთოდიკის დამუშავება და ა.შ.

პილოტაჟი, როგორც წესი, ხორციელდება მცირე მასშტაბით და შემოიფარგლება დოკუმენტების წინასწარი შესწავლით, ექსპერტებისაგან და საქმის მცოდნე ადამიანებისაგან საჭირო ინფორმაციის მიღებით და საკუთარი დაკვირვებით.

აგრეთვე, პროგრამის შედგენამდე აუცილებელია პრობლემის ლოგიკური ანალიზი, რომლის ეფექტურად განხორციელების ხერხებია ფუნქციონალური და სისტემური ანალიზი:

ფუნქციონალური ანალიზი გულისხმობს შესასწავლი ობიექტის მნიშვნელოვან გარემოებათა გამოყოფას, მოწესრიგებას, სუბორდინაციას.

სისტემური ანალიზის მთავარი ამოცანაა, რომ პროცესი დანაწევრებულ იქნეს შემადგენელ ნაწილებად და გამოვლენილ იქნეს მათი ურთიერთკავშირის ხასიათი.

ამგვარად, წინასწარი სამუშაოების, გარკვეული გამოკვლევებისა და დაკვირვების შემდეგ, შემუშავებული იქნება სოციოლოგიური კვლევის პროგრამა, რომელიც წარმოადგენს აუცილებელ და მნიშვნელოვან დოკუმენტს ნებისმიერი კვლევისათვის. კვლევის პროგრამაში ნაჩვენები უნდა იყოს: 1.

კვლევის თეორიული მიზნები და ამოცანები, კვლევის საგანი და ობიექტი; 2. მეთოდოლოგიურად შერჩეულ უნდა იქნეს კვლევის მეთოდები, მოპოვებული ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მეთოდები; 3. წარმოდგენილ უნდა იქნეს კვლევის საორგანიზაციო გეგმა (რომელზედაც შემდგომში გვექნება მსჯელობა).

პროგრამა შედგება მეთოდოლოგიური და მეთოდური ნაწილისაგან, სადაც აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის ტექნიკურ-ორგანიზაციული მხარე.

პროგრამის ძირითად ნაწილად ითვლება მისი მეთოდოლოგიური ნაწილი, რომელიც გულისხმობს პრობლემური სიტუაციის ფორმულირებას და მისი აქტუალობის დასაბუთებას; გამოკვლევის ამოცანის განსაზღვრას და ჰიპოთეზის ფორმულირებას.

მეთოდური ნაწილი კი გულისხმობს პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის შეგროვების მეთოდების განსაზღვრას, მათ თანმიმდევრულ გამოყენებას; ქმნის ინფორმაციის მანქანური (ეგმ-სათვის) დამუშავებისათვის ლოგიკურ პროგრამას.

ძალზედ მნიშვნელოვანია კვლევის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა, რომელიც არეგულირებს შემკვეთსა და შემსრულებელს ანუ სოციოლოგიურ ჯგუფს შორის ურთიერთობებს, მათ შორის მოსალოდნელი სამუშაოს მოცულობას, მოსალოდნელი რეზულტატის განსაზღვრას, დანახარჯების დადგენას.

როდესაც სოციოლოგიური კვლევის მიზანი თეორიულია, მაშინ ძირითადი ყურადღება ეთმობა თეორიულ და

მეთოდოლოგიურ საკითხებს და კვლევის ობიექტი გამოიკვეთება თეორიული სამუშაოების შესრულების შემდეგ; ხოლო, როცა კვლევის მიზანი პრაქტიკულია, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს კვლევის კონკრეტული მიზნები და ამ მიზნების ტიპიური გადაჭრის მაგალითები.

სოციოლოგიური ჯგუფი შეიძლება შეეჭიდოს მრავალ-განზომილებიანი პრობლემის კვლევას; მაგრამ, გამოცდილი სოციოლოგები თვლიან, რომ რამოდენიმე პრობლემის ერთი კვლევის ჩარჩოებში მოქცევა არ არის სასურველი, რადგან ასეთ შემთხვევაში რთულდება კვლევის ჩატარება (რადგან იზრდება სამუშაო დოკუმენტების რაოდენობა, იზრდება ანკეტის მოცულობა; ასეთი გამოკვლევა საჭიროებს მეტ ტექნიკურ უზრუნველყოფას, ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, მეტ დროს და, შესაბამისად, კვლევა ძნელდება და კარგავს ოპერატიულობას).

კვლევის მიზნები შეიძლება სხვადასხვა იყოს; მაგალითად, თუ პრობლემა ფორმულირებულია „ორგანიზაციის ნაკლებ ეფექტურობის მიზეზების კვლევა", მაშინ მიზანი იქნება რეალური სიტუაციის ანალიზი, დამატებითი სარეზერვო ფონდების გამოვლენა, დაფარული და ახალი ურთიერთობების აღმოჩენა და პრობლემის მოსახსნელად პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება.

ხშირად აიგივებენ კვლევის „ობიექტსა" და კვლევის „საგანს". კვლევის ობიექტი შეიძლება ეწოდოს ნებისმიერ სფეროს, რაზედაც მიმართულია შემეცნების პროცესი; ხოლო, კვლევის საბანი კი არის უშუალოდ ის, რაც შესწავლის საგანს წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ამ ორი ცნების ერთმანეთისაგან

განსხვავება, რადგან საგანზე ორიენტირებული კვლევა აგვარიდებს მთელი ობიექტის გამოკვლევას. მაგალითად, თუ გამოვლინდა, რომ ორგანიზაციის ნაკლებ ეფექტურობის მიზეზი გადაწყვეტილებათა მიღების სისტემის ბრალია, მაშინ კვლევის საგანიც ეს იწქნება და კვლევაც იქითკენ წარიმართება და არა მთელ ორგანიზაციაზე ანუ ობიექტზე. საჭირო იქნება ხელმძღვანელი მუშაკის მუშაობის სტილის შეცვლა, დაბალი ეფექტურობის გამოსასწორებლად და, გამოკვლევაც ამ სცენარით გაგრძელდება.

კვლევის ძირითადი მიზნის დასადგენად, თეორიული კვლევის ემპირიულ ფაზაში გადასვლისას, ყალიბდება ჰიპოთეზა, რომელიც არსებულ მასალაზე დაყრდნობით ვარაუდის სახით გამოითქმის. ჰიპოთეზა არის საკვლევი ფაქტის, მოვლენის, პროცესის ასახსნელად გამოთქმული ვარაუდი, რომელიც კვლევის დროს დასაბუთდება ან უარიყოფა.

სოციოლოგიაში არსებობს ჰიპოთეზის სისწორის დადგენის გარკვეული წესები: 1. ჰიპოთეზა თანხმობაში უნდა იყოს იმ ფაქტებთან, რაზედაც იგი გამოითქმის; 2. ურთიერთსაწინააღმდეგო ჰიპოთეზებიდან, რომლებიც გამოთქმული იქნება, მისაღები იქნება ის, რომელიც მეტად ხსნის ამ ფაქტს; 3. ჰიპოთეზის წამოყენებისას გაცნობიერებული უნდა გვქონდეს მისი შედეგი; 4. არ შეიძლება ურთიერთსაწინააღმდეგო ჰიპოთეზებით ხელმძღვანელობა.

სოციოლოგიური კვლევა, როგორც წესი, ეფუძნება წინასწარ შემუშავებულ ვარაუდებს. კვლევის დროს გამოითქმება ვარაუდები არსებული პრობლემის მიზეზებზე. მკვლევარმა თავისი ალღოთი და ცოდნით სწორად უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი ჰიპოთეზა და იმით იხელმძღვანელოს, მაგრამ კვლევის პროცესში

თუ აღმოჩნდა, რომ იგი არ ამართლებს, უნდა შეცვალოს სხვა ჰიპოთეზით. შეიძლება არსებობდეს ძირითადი და დამატებითი ჰიპოთეზა, რომელიც ჩამოყალიბებული უნდა იყოს ნათლად და გასაგებად. მუშა ჰიპოთეზის შესამუშავებლად ხშირად იყენებენ პილოტირების მეთოდით გამოკითხვას.

1.2. სოციოლოგიური კვლევის სამუშაო გეგმა

კვლევის პროგრამის შედგენაზე არანაკლები მნიშვნელობის არის კვლევის სამუშაო გეგმის შედგენა, რომელშიც გაწერილი იქნება კვლევითი სამუშაოს წარმართვის ცალკეული ეტაპები. ყველა პროცედურული ღონისძიება, რომლებიც აუცილებელია კვლევის წარმატებით ჩატარებისათვის.

ძალზედ მნიშვნელოვანია კვლევის სამუშაო, ანუ როგორც სხვაგვარად მას უწოდებენ, სამუშაოს ორგანიზაციულ-ტექნიკური გეგმის კვალიფიციურად შედგენა, რომელშიც შედის ყველა ის მნიშვნელოვანი ოპერაცია, რომელთა გააზრებულად ჩამოყალიბება და მისი თანმიმდევრულად განხორციელება წარმატებული კვლევის საწინდარია. კვალიფიციურად და გააზრებულად შედგენილი კვლევის გეგმა გულისხმობს: დროის თვალსაზრისით სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების განსაზღვრას, საკვლევი ჯგუფის სიდიდის დადგენას და მათ შორის შრომის დეტალურ დანაწილებას, ეკონომიკური და ფინანსური დანახარჯების გათვლასა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გათვალისწინებას.

სამუშაო გეგმის უფრო ნათლად და სრულყოფილად წარმოსადგენად, საჭიროდ მიგვაჩნია მისი ეტაპობრივად შესრულების თანმიმდევრობა:

1) უპირველეს ყოვლისა, წინასწარი სამუშაოებისთვის უნდა მომზადდეს პირველადი ინფორმაციის შემგროვებელი ჯგუფი; უნდა ჩატარდეს პილოტაჟური ანუ სადაზვერვო სამუშაო, რათა გაირკვეს, თუ როგორ მდგომარეობაშია კვლევის „ინსტრუმენტარიები", უნდა გადამოწმდეს ყველა სამუშაოდ მომზადებული დოკუმენტი, ანკეტები, რათა დავრწმუნდეთ მათ ვარგისიანობაში და მათი ტირაჟირების შემდეგ გადავცეთ სამუშაო ჯგუფებს;
2) გულდასმით განხილულ უნდა იქნეს ყველა მეთოდური თუ ორგანიზაციული საკითხები, რა სამუშაოებია ჩასატარებელი და რა დროში; წინასწარ უნდა მომზადდეს და გაცემულ იქნეს პასუხები რესპონდენტთა იმ შესაძლო კითხვებზე, რომლებიც მათ შეიძლება გაუჩნდეთ გამოკითხვის პერიოდში. ჯგუფის წევრებმა ზედმიწევნით კარგად უნდა იცოდნენ ანკეტებისა და სხვა დოკუმენტების შევსების თავისებურებები, მითუმეტეს, ისინი სოციოლოგიის დახმარებით უნდა შეივსოს;
3) კვლევის ამ ეტაპზე უნდა მოხდეს შეგროვილი ინფორმაციის დამუშავების ორგანიზება. მუშა-ჯგუფების განსაზღვრა, პროგრამისტებთან და ოპერატორებთან ერთად ხდება დასამუშავებელი მასალის მანქანური დამუშავებისთვის მომზადება (დაშიფვრა და კოდირება). კომპიუტერული ტექნიკიდან მიღებული პასუხების

დალაგება ყველა პარამეტრის მიხედვით და მათი ანალიზი;

4) კვლევის ბოლო ეტაპზე ხდება ანალიზის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით წინასწარი, შუალედური და საბოლოო ანგარიშის წარმოდგენა, შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების შემოთავაზება შემკვეთისათვის.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრის კვლევა სოციოლოგიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს. საზოგადოებრივი აზრი არის მასობრივი ცნობიერების ფორმა, რომელიც ავლენს ცალკეული ადამიანის, საზოგადოებრივი ჯგუფების, ფენების, კლასების დამოკიდებულებას მათთვის საინტერესო ფაქტებისა და მოვლენებისადმი, აქტუალური სოციალური პრობლემებისადმი.

საზოგადოებრივი აზრი, ეს უმრავლესობის აზრია, მაგრამ მასთან ერთად გასათვალისწინებელია უმცირესობის აზრიც, რათა საფუძვლიანად გავერკვეთ სინამდვილეში საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების მართებულად თუ უმართებულოდ წარმართვაში.

საზოგადოებრივი აზრი შეიძლება არსებობდეს ცნობიერების ნებისმიერ სფეროზე, რომელიც ყალიბდება სხვადასხვა გზით, როგორც სტიქიურად, ანუ თავისთავად, შეგნებულად ანუ გეგმაზომიერად, ორგანიზაციული და ინფორმაციული საშუალებების ზეგავლენით.

იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება საზოგადოებრივი აზრი რეალურ ვითარებას, იგი შეიძლება იყოს

ადექვატური რეალობის ანდა მცდარი, მაგრამ ორივე შემთხვევაში საზოგადოებრივი აზრის შესწავლა აუცილებელია.

საზოგადოებრივ აზრს აქვს სხვადასხვა ფუნქცია: 1. მას აქვს ადამიანთა და სოციალური ჯგუფების განწყობილებისა და მისწრაფებების, მათ მიერ დაკავებული პოზიციების ნათლად გამოხატვის, ე. წ. ექსპრესიული ფუნქცია; 2. მას გააჩნია საკონსულტაციო ფუნქცია; იგი შეიცავს რჩევებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც ანგარიში უნდა გაუწიონ მმართველმა პირებმა; 3. მას გააჩნია საკონტროლო ფუნქცია; ადამიანებს აქვთ სურვილი, თუ რამდენად და რა ზომით ხორციელდება მიღებული რეკომენდაციები, გადაწყვეტილებები, გეგმები და პირობები; 4. საზოგადოებრივ აზრს აქვს დირექტიული ფუნქცია, თუ იგი თავის თავში შეიცავს კატეგორიულ მოთხოვნებს საკითხთა გადასაჭრელად.

1.3. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები

სოციალურ მონაცემთა შეგროვებას ანუ ახალი სოციოლოგიური ინფორმაციის მიღებას, რომელსაც ფაქტობრივად, ეფუძნება კონკრეტულ-სოციოლოგიური მეცნიერება, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

სოციოლოგიური კვლევის დროს, სოციოლოგიურ ჯგუფს საქმე აქვს სხვადასხვა ადამიანებთან, ერთმანეთისაგან განსხვავებული საზოგადოების მცირე თუ დიდ ჯგუფებთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან თუ დაწესებულებებთა, რომლებიც არაერთგვაროვნად აღიქვამენ და აფასებენ ფაქტებსა და მოვლენებს, საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. შესაბამისად,

გარდა ზოგადსოციოლოგიური კვლევის მეთოდებისა, როგორიცაა: ცდა, დაკვირვება, ექსპერიმენტი, ანალიზი და სინთეზი, მოდელირება, ვერიფიკაცია , და სხვა. არსებობს სპეციალური კვლევის მეთოდები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია, წარმატებით დადგინდეს საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, საერთო და განმეორებადი ტენდენციები., მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და, საერთოდ, განხორციელდეს საკვლევი ობიექტის მეცნიერული გამოკვლევა, რის საფუძველზეც მიღებულმა დასკვნებმა და რეკომენდაციებმა ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ ვითარებათა შეცვლასა და გაუმჯობესებას.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა შორის უპირველესად უნდა განვიხილოთ შერჩევითი კვლევის მეთოდი, რომლის საშუალებითაც საკვლევი ობიექტის შესახებ ინფორმაციის მოპოვება ხდება შერჩევის გზით. ამ მეთოდით გამოიკითხება საკვლევი ობიექტის არა მთელი ანუ გენერალური ერთობლიობა, არამედ მთელი კონტინგენტის ნაწილი. შერჩევითი მეთოდით შეირჩევა სოციუმის გარკვეული ნაწილი, რომელიც უშუალოდ იქნება შესწავლილი და დასკვნები კი გაკეთდება მთელს საკვლევ ობიექტზე, ანუ გენერალურ ერთობლიობაზე.

საზოგადოებაში არსებობს ისეთი კანონზომიერებები, როცა საჭირო არ არის მთელი ერთობლიობის კვლევა და შერჩევით მისი ნაწილის გამოკვლევა, რომელიც მოითხოვს შედარებით მცირე ძალისხმევას, დროსა და სახსრებს, იძლევა იგივე შედეგებს, რასაც სრული გამოკვლევა.

რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი შემთხვევები და გარემოებები, როცა აუცილებელია მთელი საკვლევი ობიექტის, ანუ

გენერალური ერთობლიობის კვლევა (მაგალითად, მოსახლეობის აღწერა, რეფერენდუმის ჩატარება და სხვ.), რომლის დროსაც უფრო სრულყოფილ ინფორმაციას ვღებულობთ, მაგრამ ზედმეტი დანახარჯების თავიდან აცილების მიზნით მიზანშეწონილია შერჩევითი მეთოდით კვლევა, რადგან შერჩევითი ერთობლიობა გენერალური ერთობლიობის ორგანული ნაწილია, სადაც სრულად ვლინდება მთელის ბუნება.

შერჩევითი მეთოდით კვლევის დროს მთავარია სწორად შევარჩიოთ ის წარმომადგენლობითი ნაწილი, რომელთა მონაცემებზე დაყრდნობით დასკვნები უნდა გავაკეთოთ მთელზე.

არსებობს შერჩევის სამი სახე:

1. შემთხვევითი შერჩევა, რომლის დროსაც მნიშვნელოვანია ის, რომ კვლევის სუბიექტი იყოს კვლევითი ერთობლიობის წევრი და იგი არ იყოს შერჩეული სხვა რაიმე მოტივით. მაგალითად, თუ საჭიროა ასი გამოსაკვლევიდან ათის გამოკვლევა, მაშინ უნდა შეირჩეს ყოველი მეათე. ამ შემთხვევაში შერჩევის ზომა იქნება ათის ტოლი (საერთოდ, სოციოლოგიურ გამოკვლევებში შერჩევის პროპორციის ოპტიმალურ ზომად მიაჩნიათ 3000-დან 360-ის შერჩევა).

2. რაიონირებული შერჩევის დროს ხდება საკვლევი ობიექტის დარაიონება, გენერალური ერთობლიობის მნიშვნელოვან ჯგუფებად დაყოფა და შერჩევაც. ამ ჯგუფებიდან ანუ რაიონებიდან ხდება რაიონული შერჩევა, რაც აადვილებს კვლევის პროცესს.

3. ძვოტის პრინციპით შერჩევა არსებითად იგივეა, რაც რაიონული პროპორციული შერჩევა. ასეთი შერჩევის დროს მეტი მნიშვნელობა ენიჭება გენერალური ერთობის ძირითადი

მახასიათებლების მიხედვით; ქვოტის შესაბამისად შერჩევას ასაკის, სქესის, პროფესიის თუ სხვა ნიშნების დაცვით. ქვოტის პრინციპით შერჩევისას მთავარია იცნობდე საკვლევ ობიექტს, რომ იქიდან პროპორციულად შეარჩიო კვლევაში უშუალოდ მონაწილენი.

ამგვარად, შერჩევითი კვლევისათვის აუცილებელი და მთავარია გენერალური ერთობლიობის სტრუქტურიდან ორგანულად გამომდინარეობდეს შერჩეული ნაწილის სტრუქტურა, მაგალითად, თუ ვიკვლევთ სტუდენტების პროფორიენტაციის საკითხს, უნივერსიტეტის სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან, ანუ გენერალური ერთიანობიდან თანაბრად უნდა იქნან წარმოდგენილნი სხვადასხვა ფაკულტეტების, სხვადასხვა აკადემიური მოსწრების, სოციალური წარმოშობის, ცხოვრების პირობების, აქტივობის და ა.შ. ნიშნების გათვალისწინებით.

შერჩევითი მეთოდით გამოკვლევა თავისი შესაძლებლობებით შეზღუდულია, რადგან ამ დროს სოციოლოგს საქმე აქვს არა უშუალოდ ფაქტების აღწერასთან და ადამიანთა უშუალო საქმიანობასთან, არამედ გამოსაკითხ რესპონდენტებთან, მათ შეხედულებებთა და მოსაზრებებთან; ე.ი. რეალურ მოვლენებსა და მკვლევარს შორის რესპონდენტია, რომლის აზრი და გადმოცემული შეხედულებები ხშირად სუბიექტურია და მთლად არ შეესაბამება ობიექტურ რეალობას (სუბიექტურობის მომენტისაგან ასევე არ არის თავისუფალი სოციოლოგიც, როგორც მკვლევარი); ამიტომ, ამ მეთოდს დაჰკრავს სუბიექტურობის ელფერი, რომლის განეიტრალებაზე სოციოლოგმა მაქსიმალურად უნდა იზრუნოს.

სუბიექტური მომენტის მინიმუმამდე დაყვანა და კვლევის ობიექტზე რეალური ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა **საველე კვლევის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს სოციოლოგის მიერ საკვლევი ობიექტის საველე პირობებში კვლევას საზოგადოებრივ მოვლენებზე, პროცესებზე, ფაქტებზე, უშუალო დაკვირვების გზით.

საველე ანუ უშუალო დაკვირვებით კვლევა შეიძლება წარიმართოს აშკარად და ფარულად, იმისდამიხედვით, ცნობილია თუ არა გამოკვლევის მიზნები მათთვის, ვისაც იკვლევდნენ. ასეთი კვლევა მეტად ეფექტურია, მითუმეტეს, თუ მკვლევარი ფარული და უცნობია დაკვირვების სუბიექტისათვის.

გარკვეული შეზღუდულობა საველე მეთოდსაც ახასიათებს კერძოდ, შესაძლებელია, რომ რასაც სოციოლოგი აკვირდება ერთი კონკრეტული ვითარების დროს სულაც არ აღმოჩნდეს ნიშანდობლივი სხვა სოციალური ფაქტებისათვის. უშუალო დაკვირვებამ მიმდინარე პროცესებსა და მიდგომებში შეიძლება შეიტანოს შეშფოთება და შეცვალოს კვლევის რეალური სურათი რაც შეიძლება მოიხსნილი და გამოსწორებულ იქნეს გამოკითხვის მეთოდის საშუალებით.

სოციოლოგიური კვლევის მეთოდთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია **გამოკითხვის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს სოციალური ინფორმაციის მოპოვებას, ზეპირი ან წერილობით-კითხვა-პასუხის საშუალებით, რომლის დროსაც მკვლევარი ავლენს გამოსაკითხი ადამიანების შეხედულებებს, პოზიციებს განწყობილებებს გარკვეულ საკითხებზე. იგი სოციალური ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ეფექტური და გავრცელებული მეთოდია.

გამოკითხვის მეთოდით კვლევა, ძირითადად, შეიძლება მოხდეს სტანდარტიზებულად – წინასწარ შემუშავებული კითხვარით, ან არასტანდარტიზირებულად – კითხვარის გარეშე, რესპონდენტთან სოციოლოგის უშუალოდ გასაუბრების საშუალებით; თუმცა, ზოგჯერ იყენებენ გამოკითხვის შუალედურ ფორმასაც – სტანდარტიზირებულ ინტერვიუს, ე.ი. ინტერვიუს აღებასთან ერთად მკვლევარი ავსებს გამოსაკითხ ფურცელს. შესაბამისად, ძირითადად არსებობს გამოკითხვის ორი ფორმა: 1. ანკეტური გამოკითხვა და 2. ინტერვიუ. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე.

1. ანკეტური გამოკითხვა წარმოადგენს სოციოლოგიური ინფორმაციის მოპოვებისა და შეგროვების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს. ანკეტური გამოკითხვის მთავარი ატრიბუტია ანკეტა, რომელშიც საგანგებოდ შერჩეული კითხვები ჯგუფდება ფორმისა და შინაარსის მიხედვით. ფორმის მიხედვით კითხვარი შეიძლება იყოს: 1. ღია, დახურული, ან ნახევრად დახურული; 2. პირდაპირი და ირიბი; 3. პირადული და საერთო. შინაარსის მიხედვით კი კითხვარი უნდა გამოხატავდეს საკვლევი სოციალური ფაქტის არსს და მის შეფასებას.

კვლევის პროგრამიდან გამომდიარე, ანკეტაში შერჩეული და დაჯგუფებული უნდა იყოს ის კითხვები, რომელთა მეშვეობითაც მივიღებთ უფრო მეტ და სრულ ინფორმაციას საკვლევი ობიექტის შესახებ და მოგვცემს ობიექტური დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადების საშუალებას.

თავად ანკეტაში კითხვათა რაოდენობა განსაზღვრული არ არის; უნდა ვიცოდეთ, რომ იგი იყოს ოპტიმალური, ზომიერი. იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს: 1. ანკეტის

შესავსებად არ უნდა სჭირდებოდეს 30 წუთზე მეტი, მისი შევსებით არ უნდა გადავღალოთ რესპონდენტი; 2. გამოკითხვის ობიექტისადმი ინტერესი კითხვიდან კითხვამდე უნდა იზრდებოდეს; 3. კითხვები უნდა იყოს ნათლად და არა ორაზროვნად დასმული, ზუსტადფორმულირებული; 4. კითხვები თანდათან უნდა რთულდებოდეს (სასურველია რთული კითხვების ანკეტის შუაგულში მოხვედრა).

ანკეტას წინ უნდა ერთვოდეს გარკვეული შესავალი, რომელიც რესპონდენტს მოკლედ გააცნობს გამოკითხვის თემასა და მიზანს, მისცემს მას ორიენტირს ანკეტის შესავსებად – (ნიმუში):

პატივცემულო კოლეგა! მოგმართავთ თხოვნით, გამოთქვათ თქვენი აზრი შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმის შესახებ.

თქვენი გულახდილი და საქმიანი პასუხები მოგვცემენ განზოგადების საშუალებას, რის საფუძველზეც შემუშავებული იქნება შესაბამისი რეკომენდაციები.

კითხვებზე შესაძლო პასუხები მეტწილად მოყვანილია ანკეტაში, გთხოვ, ყურადღებით გაეცნოთ და აღნიშნოთ ის პასუხი, რომელსაც ეთანხმებით (თუ არცერთი პასუხი არ გაკმაყოფილებთ, გამოტოვილ ადგილზე ჩაწერეთ თქვენი ვარიანტი).

წინასწარ გიხდით უღრმეს მადლობას!

როგორც აღვნიშნეთ, ფორმის მიხედვით არსებობს ღია ტიპის კითხვები, რომლებზედაც ასარჩევი პასუხები მოცემული არ არის და რესპონდენტს შესაძლებლობა ეძლევა, გამოხატოს თავისი აზრი და დააფიქსიროს იგი თავის ანკეტაში, იქვე

სპეციალურად გამოყოფილ ცარიელ ადგილზე (ღია კითხვებით უფრო ღრმად ვწვდებით რესპონდენტის დამოკიდებულებას საკვლევ ობიექტზე).

დახურული კითხვის დროს პასუხები წინასწარ არის მოცემული: „დიახ", „არა", ან „მიძნელდება პასუხის გაცემა", რომელთაც რესპონდენტმა ერთ-ერთს უნდა გაუსვას ხაზი და დააფიქსიროს თავისი დამოკიდებულება.

დახურული ტიპის კითხვად ითვლება ისეთი კითხვები, როგორიცაა, მაგალითად: „რა მოგწონთ თქვენს ორგანიზაციაში?" და ჩამოთვლილი იქნება პასუხის ვარიანტები, რომლებშიაც უნდა შეარჩიოთ ერთი ან რამდენიმე პასუხი და შემოხაზოთ.

ნახევრადდახურული ტიპის კითხვების დროს პასუხები, უმრავლეს შემთხვევაში, მოცემულია წინასწარ; მაგრამ, წინასწარი პასუხების გარდა, დამატებულია ფრაზა: „სხვა ვარიანტი", სადაც რესპონდენტს შესაძლებლობა აქვს, დააფიქსიროს თავისი აზრი მოცემულ პრობლემებზე.

კითხვების მეორე ჯგუფს წარმოადგენს პირდაპირი და ირიბი კითხვები, რომლებიც გამოიყენება ფაქტების დასადგენად ან უარსაყოფად. კვლევის პროცესში, ზოგჯერ, საჭირო ა პირდაპირ დასმული კითხვა შეიცვალოს ირიბი კითხვით, რათა რესპონდენტისაგან მივიღოთ უფრო გულწრფელი და ობიექტური პასუხი.

კითხვარით მიღებული ინფორმაციის საიმედოობისა და ობიექტურობის გადასამოწმებლად სოციოლოგიაში არსებობს საკონტროლო კითხვები. საკონტროლო კითხვები ისმება ანკეტის სხვადასხვა ადგილებში, ძირითადი კითხვერბისაგან მოშორებით; მაგალითად, თუ რესპონდენტისაგან სამსახურისადმი

დამოკიდებულების გარკვევა გვაინტერესებს და შესაბამისად ვთავაზობთ პასუხის ვარიანტებს: 1. „სამსახური მომწონს"; 2. „უფრო მომწონს, ვიდრე არა"; 3. „უფრო არ მომწონს, ვიდრე მომწონს"; 4. „უგულოდ ვეკიდები"; 5. „აბსოლუტურად არ მომწონს"; 6. „არ ვიცი". ამ შემთხვევაში, საკონტროლო კითხვა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: „ხომ არ გაქვთ სამსახურის შეცვლის სურვილი?" ამ საკონტროლო კითხვით შეფარულად გავარკვევთ და გადავამოწმებთ რესპონდენტის ჭეშმარიტ დამოკიდებულებას სამსახურისადმი.

მოპოვებული ინფორმაციის საიმედოობისა და ობიექტურობის საკონტროლოდ ძალიან ეფექტურია ანკეტირების დროს რესპონდენტზე დაკვირვება და თავისუფალი ინტერვიუს აღება. ანკეტირების დაწყებამდე, უპირველეს ყოვლისა, უნდა მომზადდეს ანკეტის პროექტი, თავისი სადაზვერვო კითხვით, რომელიც სასინჯად დაურიგდებათ რამდენიმე რესპონდენტს, რათა დავრწმუნდეთ ანკეტის უნაკლობასა და ქმედითუნარიანობაში. ნაკლოვანებების გამოსასწორებლად (თუკი ასეთი იარსებებს), იგი საჭირო რაოდენობით უნდა გავამრავლოთ და მოვამზადოთ გამოსაკითხად.

ანკეტებით გამოკითხვის დროს, საჭიროების შემთხვევაში, დაცული უნდა უყოს რესპონდენტთა სრული ანონიმურობა.

2. ინტერვიუ სოციოლოგიური გამოკითხვის ერთ-ერთი ძირითადი სახეა, რომლის დროსაც სოციოლოგი ინფორმაციას მოიპოვებს უშუალოდ რესპონდენტისაგან. ინტერვიუ არის წინასწარ დაპროგრამებული და მიზანმიმართული საუბარი რესპონდენტთან. ინტერვიუს პროცესში ინტერვიუერი (ინტერვიუს ამღები) რესპონდენტისაგან (ვისგანაც იღებენ ინტერვიუს)

გამოკითხვის საშუალებით იღებს საჭირო ინფორმაციას, იგი ახდენს რესპონდენტის პასუხების ფიქსირებას.

ინტერვიუ ერთად-ერთი მეთოდია, იგი შეუცვლელია, რადგან თუნდაც სხვა მეთოდებით იგივე ხარისხის ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია. ინტერვიუ განსაკუთრებით ეფექტურია: დაზვერვითი სამუშაოების, პრობლემების დაზუსტების, საკონტროლო გამოკვლევის დროს, ანომალიური ქცევების, ადამიანთა შინაგანი სამყაროს შესასწავლად (როგორიცაა სქესობრივი, ქორწინება-განქორწინების და სხვა მორალური საკითხები), იგი იძლევა საკვლევი პრობლემის სოციალურ-ფსიქოლოგიურ მექანიზმებში უფრო ღრმად შეღწევის შესაძლებლობას. მას შეუძლია უფრო მეტი გულწრფელობითა და ობიექტურობით დაადგინოს რეალური სურათი. თუმცა, შეგვიძლია ვისაუბროთ აღნიშნული მეთოდის ნაკლოვანებებზეც, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი მოითხოვს უფრო მეტ დროს, კვალიფიკაციას, პიროვნების ფსიქოლოგიის ცოდნას, გაგების უნარსა და ტაქტის გრძნობას.

ინტერვიუების დროს უნდა გამოვყოთ რესპონდენტთა სამი ტიპი: ექსპერტი, პასუხისმგებელი პირი და რესპონდენტი.

ექსპერტი არის პირი, რომელიც პროფესიული საქმიანობისა და გამოცდილების გამო საკვლევ საკითხზე ფლობს მეტ ინფორმაციას, ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში მას უნდა გავაცნოთ კვლევის პროგრამა, გეგმა, მივიღოთ რჩევები პროგრამის დაზუსტებაში, მეთოდიკის შერჩევაში, ჰიპოთეზის წამოყენებაში და, საერთოდ, ყველა წვრილმანის დაზუსტებაში.

პასუხისმგებელი პირი არის ის რესპონდენტი, რომელიც სამსახურეობრივი მდგომარეობის გამო უფლებამოსილია, ნება დართოს ინტერვიუს ჩატარებაზე. იგი უნდა დავარწმუნოთ

გამოკვლევის ჩატარების აუცილებლობაში და მისი შედეგების პრაქტიკულ გამოყენებაში.

რესპონდენტი კი არის გამოკვლევაში მონაწილე რიგითი პირი, რომელიც აძლევს ინტერვიუს.

ინტერვიუერი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს კეთილგანწყობილი მოსაუბრე, უნდა იმსახურებდეს რესპონდენტის სიმპათიებს, რადგან თუკი თავიდანვე საუბარი დაიწყება უხერხულ და დაძაბულ ვითარებაში, შემდგომ კეთილგანწყობის შექმნა გართულდება. ინტერვიუერმა რესპონდენტთან გაცნობის შემდეგ უნდა ჩამოუყალიბოს მას საუბრის მიზანი, დაასახელოს ორგანიზაცია, რომელსაც იგი წარმოადგენს და შემდეგ გადავიდეს კითხვათა თანმიმდევრულად დასმაზე, ნეიტრალურიდან თანდათან უფრო მნიშვნელოვანზე.

არსებობს ინტერვიუს რამდენიმე სახე: თავისუფალი, სტანდარტიზებული და ფოკუსირებული. თავისუფალ ინტერვიუს, როგორც წესი, არ აქვს გეგმა და წინასწარ მომზადებული შეკითხვები. ინტერვიუერები თვითონ აყალიბებენ კითხვებს, საუბრის თემას. მას უფრო ხშირად იყენებენ გამოკვლევის საწყის სტადიაზე, ექსპერტებთან საუბრისას.

სტანდარტიზებული ანუ ფუნდამენტურია ინტერვიუ, როცა წინასწარ შემუშავებული გეგმითა და კითხვებით ინტერვიუერი იცავს გამოკითხვის ყველა პარამეტრს.

ფოკუსირებული ანუ მიზანმიმართული ინტერვიუს მიზანია კონკრეტული ფაქტის შესახებ საზოგადოებრივი აზრის დადგენა. რესპონდენტს აფიქსირებინებენ კვლევაზე თავის აზრს და სთხოვენ შეფასებას.

ინტერვიუს დროს რესპონდენტისათვის დასმული კითხვები შეიძლება იყოს მთლიანად დახურული.

ღია კითხვებით ინტერვიუ ტარდება წინასწარ მომზადებული გეგმის მიხედვით და პასუხები სათანადოდ ფიქსირდება.

დახურული კითხვებით რესპონდენტს მიმართავენ ანკეტისათვის დამახასიათებელი დახურული კითხვებით და ისიც პასუხობს დადებითად ან უარყოფითად. ინტერვიუერი ვერ ცვლის კითხვათა შინაარსს და თანმიმდევრობას, ვერ დასვამს დამატებით შეკითხვას. დახურული ან სტანდარტიზებული ინტერვიუ განსაკუთრებით გამოიყენება მოსახლეობის აღწერის დროს.

3. სოციომეტრული მეთოდი.

როგორც ცნობილია, ყოველ სოციალურ ჯგუფს გააჩნია როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური სტრუქტურა; ამ სტრუქტურების გამოსაკვლევად იყენებენ სოციომეტრიულ მეთოდს, რომლითაც იკვლევენ მცირე სოციალური ჯგუფის სტრუქტურებს, პიროვნებათა შორის ურთიერთობებს.

სოციალური ჯგუფის ფორმალურ სტრუქტურა შრომითი საქმიანობის სპეციფიკის, კოლექტივის წევრთა პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციისა და სხვა ნიშნების მიხედვით ყალიბდება.

არაფორმალური სტრუქტურა კი გულისხმობს სუბიექტურ, ფარულ, ემოციურ მიმართებებსა და დამოკიდებულებებს მცირე სოციალურ ჯგუფის წევრთა შორის.

სოციომეტრიული გამოკვლევა ავლენს არაფორმალური სტრუქტურებისა და შრომითი კოლექტივის ცალკეულ პიროვნებათა ღირებულებითი ორიენტაციის შესაბამისობა-შეუსაბამობის დონეს, რასაც შედეგად მოაქვს საკვლევი ჯგუფის სოციალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესება.

თავი II.

2.1. მოპოვებული ინფორმაციის დამუშავება

ინფორმაციის დამუშავება მეტად რთული და საპასუხისმგებლო ამოცანაა, ამიტომ იგი განსაზღვრული წესით უნდა შესრულდეს, რისთვისაც გამოყენებითი სოციოლოგია მათემატიკასა და გამოთვლით ტექნიკას იყენებს.

მკვლევარს გარკვეული ცოდნა უნდა გააჩნდეს ინფორმაციის როგორც მოპოვების, ისე მისი დამუშავების წესზე. სოციოლოგიური კვლევის პროცესში შეისწავლება საკვლევი ობიექტის დამახასიათებელი მხარეები და თვისებები, დგინდება მათ შორის არსებული განმეორებადი მიმართებები და კავშირები რასაც გამოვხატავთ რიცხვებით, მაგალითად, სოციალური ჯგუფის მახასიათებლებს: ასაკობრივ, სქესობრივ, ეროვნული, განათლების და ა.შ. ასევე, რიცხვობრივი მაჩვენებლებით შეგვიძლია გამოვხატოთ სტრუქტურული მახასიათებლები, სოციალ-ფსიქოლოგიური განწყობილებების და დამოკიდებულებების ხარისხობრივი მაჩვენებლები და სხვა.

სოციოლოგები იყენებენ გაზომვის სხვადასხვა საშუალებებს, როგორც, მაგალითად, მედიცინაში ტემპერატურის გასაზომად იყენებენ შკალურ თერმომეტრს, ასევე, სოციოლოგიაში კვლევის დროს იყენებენ სოციალური ობიექტის მდგომარეობის გასაზომად შკალურ პრინციპს. შკალები რიცხვობრივ მაჩვენებელთა სისტემებია, რომლებზეც ასახულია საზომი სიდიდის მნიშვნელობები და თანმიმდევრობა. არსებობს რიგითი დასახელებითი, ინტერვალური, მიმართებითი და სხვა შკალები.

დოკუმენტების ანალიზი.

დოკუმენტების ანალიზი, უპირველესად ყოვლისა, წარსული ფაქტებისა და პროცესების კვლევას ეხება, თუმცა დოკუმენტური ანალიზით ბევრ თანამედროვე და მიმდინარე პრობლემებსაც არკვევენ. სანდო და სარწმუნო ისტორიულ თუ მიმდინარე პროცესების ამსახველ მასალებზე დაყრდნობით შესაძლებელია უფრო ღრმად ჩავწვდეთ საზოგადოების ცვალებადობის ტენდენციებს, სოციალური მოძრაობის პროცესებს, თუ საზოგადოების განვითარებაში არსებულ სხვა ნებისმიერ პრობლემათა მიზეზებს.

დოკუმენტურ მასალებს მიეკუთვნება სამთავრობო გადაწყვეტილებები, საარქივო მასალები, ოფიციალური სტატისტიკა პირადი წერილები, მემუარები, მოგონებები. სოციოლოგები, აგრეთვე იყენებენ: კინოდოკუმენტალისტების, ფოტოდოკუმენტალისტების იკონოგრაფიულ დოკუმენტებს, ფონეტიკურ და სტენოგრაფიულ ჩანაწერებს. ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობის გარეშე შეუძლებელია სოციალური მოვლენების რეპროდუქცია, რომელთა ცოდნა და გათვალისწინება აუცილებელია საკითხის ობიექტურად გამოკვლევისათვის.

დოკმენტებზე მუშაობის დროს, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია, უნდა დავაფიქსიროთ თუ რა ფორმის ინფორმაციასთან გვაქვს საქმე. არსებობს ინფორმაციის დაფიქსირების ოთხი სახე:

- წერილობითი ინფორმაცია (ტექსტური ფორმით);
- სტატისტიკური მონაცემები (ციფრული ფორმით);
- იკონოგრაფიული მონაცემები (კინო, ფოტო მასალები);
- ფონეტიკური მონაცემები (ხმოვანი მონაცემები).

ამავე დროს, დოკუმენტები უნდა დახარისხდეს პირად და ოფიციალურ დოკუმენტებად.

პირადი დოკუმენტებია: დღიურები, ავტობიოგრაფიები, წერილები და სხვა.

ოფიციალური დოკუმენტებია ორგანიზაციაში შექმნილი და არსებული დოკუმენტები: 1. მიმდინარე დოკუმენტაცია – ბრძანებები, შემოსული და გასული დოკუმენტები; 2. პერიოდული ანგარიშის დოკუმენტები; 3. არაპერიოდული მიმოხილვითი ხასიათის დოკუმენტები – ანგარიშები, კომისიების მოხსენებები.

დოკუმენტური ანალიზის გავრცელებული მეთოდია კონტენტანალიზი. მას რაოდენობრივი ანალიზის მეთოდსაც უწოდებენ – ეს არის ტექსტის შინაარსის მეცნიერული ანალიზი. იგი გამოიყენება ყველგან ლიტერატურათმცოდნეობაში, კრიმინოლოგიაში და სხვაგან, სადაც ტექსტის შინაარსში ჩაღრმავებაა საჭირო. ამ მეთოდით, უმთავრესად, აანალიზებენ ძირითად ცნებებს, ტერმინებს, სტანდარტულ ფრაზებს, სტერეოტიპებს. კონტენტ-ანალიზი კვლევის ობიექტის შინაარსობრივი ინტერპრეტაციაა.

კონტენტანალიზის ამოცანაა, დაადგინოს, თუ როგორ აისახება ინფორმაციულ სიმრავლეში მკვლევარისათვის საინტერესო და მნიშვნელოვანი ერთეულები, რომლებიც გამოყოფილი უნდა იყოს, ეს შეიძლება იყოს ტექსტში მოხსენიებული პირები და მათი სტატუსი, გარკვეული პიროვნული მახასიათებლები, თვისებები, ეპითეტები, თანამდებობები და ა.შ. კონტენტანალიზის მეთოდი გამოიყენება მაშინ, როცა გამოკვლევისათვის საჭიროა განსაკუთრებული სიზუსტე და ობიექტურობა. როდესაც მოცემულია არასისტემატიზირებული

მასალის უზარმაზარი მასივი; როცა პასუხები ანკეტების ღია კითხვებზე ან კვლევის მიზნისთვის მნიშვნელოვანი კატეგორიები ხშირად გვხვდება შესასწავლ საბუთებში, როდესაც საკვლევი პრობლემისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შესასწავლი ინფორმაციის წყაროს – ენას, მის სპეციფიკურ თავისებურებებს.

2.2. ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება

მოპოვებული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზისათვის აუცილებელია პირველადი სოციოლოგიური ინფორმაციის კლასიფიკაცია და განზოგადება, სტატისტიკური ცხრილების შედგენა, გრაფიკებისა და დიაგრამების აგება, ხვედრითი წილების, პროცენტების, საშუალოარითმეტიკულის გაანგარიშება, კორელაციური კავშირების ანალიზი და სხვა ანალოგიური მაჩვენებლების გამოთვლა. ასევე, აუცილებელია შეგროვილი ანკეტებისა და ბლანკების გადარჩევა და შემოწმება, მათი კოდირება (ЭВМ-სათვის), მიღებული მონაცემების დაჯგუფება.

დაჯგუფება წარმოადგენს სოციოლოგიური ინფორმაციის განზოგადების უმარტივეს ფორმას. დაჯგუფების დროს რესპონდენტები სხვადასხვა შერჩეული ნიშნით გადანაწილდებიან სხვადასხვა ჯგუფებში, რომეთა რაოდენობა დამოკიდებულია შერჩევის ნიშანზე, რის შედეგადაც ადვილდება ჯგუფების შედარება შემდგომი უფრო ღრმა ანალიზისათვის. დაჯგუფების ნიშნის შერჩევა დამოკიდებულია კვლევის მიზანზე. დაჯგუფების ნიშნის შეცვლა ცვლის საბოლოო შედეგს, ერთიდაიგივე მასალის ანალიზი სხვადასხვა ნიშნების მიხედვით განსხვავებულ შედეგს იძლევა; ამიტომ, დაჯგუფების ნიშნების სწორად შერჩევას

უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. ინფორმაციის დაჯგუფება ხდება: ნომინალური, რანგობრივი და რაოდენობრივი ნიშნით.

ნომინალური ნიშნით შერჩევა გულისხმობს: საქმიანობას, ეროვნებას.

რანგობრივი – ფიზიკურ შრომას, ინტელექტუალურ შრომას.

რაოდენობრივი – ასაკობრივ გრადაციებს.

არსებობს, აგრეთვე, კომბინირებული დაჯგუფება, ასეთი დაჯგუფებებია: სტრუქტურული, ტიპოლოგიური და ანალიტიკური; რომელთა გამოყენებას განსაზღვრავს გამოკვლევის მიზნები. მაგალითად, თუ გვსურს დავადგინოთ გამოსაკითხთა ასაკობრივი შემადგენლობა, მაშინ გამოვიყენებთ სტრუქტურულ დაჯგუფებას, ასაკობრივი ინტერვალების მიხედვით; თუ გვაინტერესებს გამოკითხულთა კერძო საკუთრებასთან დამოკიდებულების განსაზღვრა, მაშინ უნდა გამოყენებულ იქნეს ტიპოლოგიური დაჯგუფება; ხოლო, ანალიტიკური დაჯგუფება გამოიყენება მაშინ, როცა გამოკვლევის საგანი ორი ან მეტი ნიშნის მიხედვით გვინდა გამოვავლინოთ; მაგალითად, არის თუ არა კავშირი ზნეობრივ აღზრდასა და ამ თემაზე შესაბამისი ლიტერატურის კითხვას შორის. ე.ი. ანალიტიკური დაჯგუფებით ვადგენთ ორ მოვლენას შორის ურთიერთკავშირს.

სოციოლოგიურ გამოკვლევებში გამოჰყოფენ რესპონდენტთა რამოდენიმე ჯგუფს (ასაკის, განათლების, სქესის, საცხოვრებელი ადგილის და ა.შ.). ყოველ ჯგუფს შეესაბამება გამოყოფილი, დადგენილი ციფრი ან ჯგუფის რაოდენობრივი მახასიათებელი. ასეთ რიგს სოციოლოგები უწოდებენ

დანაწილების რიგს. არსებობს ორი სახის დანაწილება – ვარიაციული და ატრიბუტული.

– ვარიაციული რიგი ეფუძნება შესასწავლი მოვლენის რაოდენობრივ პარამეტრებს.

– ატრიბუტული კი ასახავს დაჯგუფებას თვისობრივი პარამეტრების მიხედვით.

დასამუშავებლად ვარგისი ანკეტების დაჯგუფებისა და დანომვრის შემდეგ, ხდება ინფორმაციული მასალის კოდირება, ყოველ მათგანზე თავისი შიფრ-კოდის დატანა. კოდირება ხორციელდება ორ-სამ ეტაპად. შემდეგ, მსგავსი პასუხების ვარიანტები ჯგუფდებიან და ყოველ მათგანს ვანიჭებთ ცალკე კოდს (კოდირება არის ინფორმაციის თვისობრივი და რაოდენობრივი მხარეების დამაკავშირებელი რგოლი) და ასე გადაეცემა ოპერატორს მანქანური დამუშავებისათვის (თუ დასამუშავებელი მასალა მცირე რაოდენობის არის, შესაძლებელია მისი ხელით დამუშავება).

როცა ინფორმაციის შეგროვება და დამუშავება დასრულდება, უნდა შეეუდგეთ მის ანალიზს, შეფასებასა და ინტერპრეტაციას.

2.3. მონაცემთა ინტერპრეტაცია

კვლევის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისათვის გამოიყენება მათემატიკური, სტატისტიკური და ლოგიკური მეთოდები. აღნიშნული მეთოდების საშუალებით პირველად ინფორმაციას მანქანური დამუშავებისა და სხვა

პროცედურების გავლის შედეგად უნდა მიეცეს ისეთი სახე, რომ შესაძლებელი იყოს მისი შინაარსობრივი ინტერპრეტაცია.

ინტერპრეტაციის მიზანია მათემატიკურ და სტატისტიკურ-ციფრულ ფორმაში მოცემული მონაცემები. გარდაქმნას სოციოლოგიურ მონაცემებად, რომლის შინაარსობრივი გაგება და ინტერპრეტაცია ყველა სოციოლოგისთვის იქნება შესაძლებელი. მიღებული და დამუშავებული ინფორმაციის შინაარსობრივი ანალიზის დროს კი ხდება მისი ლოგიკურად დალაგება და გააზრება.

გარდა ზემოხსენებული მეთოდების ეფექტურად გამოყენებისა, მოპოვებული ინფორმაციის ინტერპრეტაციისას ძალზედ მნიშვნელოვანია სოციოლოგიის მომზადების დონე, მისი გამოცდილება და ალღო.

არის შემთხვევები, როდესაც მონაცემები ვერ იძლევიან სათანადო ინფორმაციას და ვერ ხერხდება მისი შინაარსობრივი ინტერპრეტაცია; ასეთ შემთხვევაში დასკვნის გაკეთება, რომლის რამოდენიმე ალტერნატიული ვარიანტი შეიძლება არსებობდეს მთლიანად სოციოლოგის თეორიულ მომზადებასა და პრაქტიკულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული.

2.4. ანგარიშის მომზადება

სოციოლოგიური კვლევის დასკვნით ნაწილში უმნიშვნელოვანესი პროცესია ანგარიშის მომზადება, სადაც ჩამოყალიბებული იქნება: წინადადებები, დასკვნები და პრაქტიკული რეკომენდაციები.

ანგარიშის შედგენის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ ინდუქციის მეთოდით, რაც გულისხმობს ანგარიშის ტექსტში მონაცემების თანდათანობით თანმიმდევრულ შეყვანას, წამოწეული ჰიპოთეზის შესაბამისად, რათა პასუხი გაეცეს მთავარ ჰიპოთეზას.

ანგარიშის წერა იწყება საკვლევი პრობლემის აქტუალობის დასაბუთებით, კვლევის პარამეტრების დახასიათებით, სადაც იგულისხმება ინფორმაციის შეგროვების მეთოდების დადგენა, შერჩევა, მონაწილეთა რაოდენობისა და კვლევის ვადების განსაზღვრა. შემდეგ უნდა დახასიათდეს საკვლევი ობიექტი სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნებით (სქესი, ასაკი, განათლება და ა.შ.).

ანგარიში უნდა სრულდებოდეს მეცნიერულ დასკვნებზე დაფუძნებული საქმიანი წინადადებებით, პრაქტიკული რეკომენდაციებით და მომავალზე გათვლილი პროგნოზებით.

საბოლოოდ შედგენილ ანგარიშს თან უნდა ერთვოდეს დანართი, სადაც შედის კვლევის ყველა მეთოდოლოგიური და მეთოდური საბუთები: პროგრამა, გეგმა, ინსტრუქციები, ყოველგვარი ცხრილები, გრაფიკები, ინდივიდუალური თვალსაზრისები, კვლევაში გამოყენებული ანკეტები და კითხვები, რომლებიც არ იქნენ გამოყენებული და შეტანილი ანგარიშში. ისინი გამოგვადგებიან საჭირო შემთხვევაში კვლევის სრულყოფილად წარმოდგენისათვის და, აგრეთვე, დიდ დახმარებას გაგვიწევენ ახალი გამოკვლევის მომზადებაში.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დასკვნების გაკეთების დროს ზოგადთეორიული მეთოდოლოგიის დონეზე ამა თუ იმ მოვლენის ახსნაში არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ მიზეზ-შედეგობრივი კავშირებით, ანუ დიალექტიკური თეორიით, რადგან

სოციოლოგიური პრობლემების სრული კვლევა და ობიექტური დასკვნების გაკეთება ვერ ხერხდება მხოლოდ დიალექტიკური მეთოდოლოგიით. თანამედროვე სოციოლოგიაში დიალექტიკური მეთოდის პარალელურად წარმატებით იყენებენ სინერგეტიკულ* მეთოდს, რომელიც ყოვლისმომცველობის პრეტენზიით შემოვიდა მეცნიერებაში.

სინერგეტიკული მეთოდის მიხედვით, სამყაროში არსებობს ისეთი ფაქტები და მოვლენები, რომლებიც ვერ აიხსნებიან მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებით. შემთხვევითობის ფაქტის დიალექტიკურ-მატერიალისტური ახსნა, რომ შემთხვევითობა არის აუცილებლობის გამოვლენის ფორმა მათ არ მიაჩნიათ სარწმუნოდ და დამაჯერებლად. სინერგეტიკოსების მიხედვით როგორც არსებობს დეტერმინირებული, კანონზომიერი მოვლენები, ასევე, ობიექტურად, დამოუკიდებლად, თავისთავად არსებობს შემთხვევითი ფაქტებიც. ამგვარად, სინერგეტიკა არის „თვითორგანიზებადი", „თვითრეგულირებადი" და „თვითმართვადი" მოვლენებისა და პროცესების ამხსნელი მეთოდი და სოციოლოგიაში იგი გამოიყენება სწორედ ასეთი ფაქტებისა და მოვლენების კვლევისათვის, რომ მკვლევარმა შემთხვევითი ფაქტები არ დატოვოს უყურადღებოდ და განიხილოს ისინი როგორც ზოგადი თვისებების მქონე ჩვეულებრივი მოვლენები.

---

* სინერგეტიკა – წარმოიშვა XX საუკუნის დასაწყისში, ქვანტურ მექანიკაში, რომელიც ასაბუთებს, რომ ყოველ ცალკე აღებულ მოვლენას (რომელიც შეიძლება შემთხვევით მოვლენად მივიჩნიოთ) თავად გააჩნია თავისი არსებობის საფუძვლები, რომლებიც არ აიხსნებიან ცნობილი ზოგადი კანონზომიერებით.

ლიტერატურა

1. ვ. ასათიანი – გამოყენებითი სოციოლოგია, 2006 წ.
2. ა. ბერძენიშვილი – პოლიტიკური სოციოლოგია, 2006 წ.
3. შ. კვირტია, თ. ზალდასტანიშვილი, თ. ყანდარელი – სოციოლოგიის საკითხები. 2005 წ.
4. ე. კოდუა – სოციოლოგია; ნაკ. I-II., 1998 წ.
5. ბ. ლუტიძე – სოციოლოგია, 2002 წ.
6. ლ. მეზვრიშვილი – ეკონომიკური სოციოლოგია. 2003 წ.
7. ვ. ქვაჩახია – ფილოსოფიის შესავალი, თავი VIII, 1983 წ.
8. ი. შეპანსკი – სოციოლოგიის ელემენტარული ცნებები 1997 წ.
9. ლ. ჯახაია – ზოგადი სოციოლოგიის შესავალი, 2005 წ.
10. Американская Социология, М. 1972 г.
11. Кон И.С. – Социология личности, М. 1967 г.
12. Колесников Ю.С. – Прекладная Социология, М. 2001 г.
13. Кравченко А.И. Социология, М. 1999 г.
14. Гиденс Э. - Социология, М, 2005 г.
15. Масионис Дж. - Социология, М. 2004 г.
16. Радугин А.А., Радугин К.А. - Социология, М. 1997 г.
17. Смелзер Н. - Социология, М. 1994 г.
18. Хеллевик О. – Социологический метод, М. 2002 г.
19. Фролов С.С. - Социология, М. 1994 г.
20. Ядов В.А.–Социологические исследования, методология, программа, М.1987

ტექნიკური რედაქტორი: ც. ბაღაშვილი

გადაეცა წარმოებას 16.VII.2008 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად.
ქაღალდის ზომა 60X84 1/16 ნაბეჭდი თაბახი 7,5
ტირაჟი 300 ეგზ.
გამომცემლობა „ბეორგიკა“, თბილისი, 2008 წ.